

სემუელ ჰანგთინგტონი

ცივილიზაციათა შეჯახება და
მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა



სარჩევი

ცივილიზაციის ბუნება	3
ურთიერთობა ცივილიზაციებს შორის.....	10
ცივილიზაციათა სტრუქტურა.....	12
ბირთვი სახელმწიფოები და გამყოფი ხაზები.....	17
ისლამი და დასავლეთი	20
ცივილიზაციები და ბირთვი სახელმწიფოები. ახალი კონფიგურაციები	24
დასავლეთი მსოფლიოში.....	29
ცივილიზაციური ომი და წესრიგი	35
დასავლეთი - უნიკალური, არა უნივერსალური კულტურული უკურეაქცია.....	42
დასავლეთის მხარდაჭერა	47
ჰანტინგტონის ”ცივილიზაციათა შეჯახების” თეორია ქართულ პრესაში	51
როგორი იქნება საქართველოს არჩევანი ცივილიზაციათა ომში: ცივილიზაციათა შეჯახება უკვე მოხდა	51
ერაყის ომი პოლიტოლოგიური ჰიპოთეზების ჭრილში.....	57
რა გვიჩინასწარმეტყველა შემუეულ ჰანტინგტონმა?.....	63
ცივილიზაციათა შეჯახება	66
ჰანტინგტონი სამუელ ფილიპსი.....	67
დემოკრატიის გამოწვევები საქართველოში.....	67
შემუეულ ჰანტინგტონი და „მესამე მსოფლიო ომი“	71
„ისლამური სახელმწიფოს“ ტერაქტები და ჰანტინგტონის თეზისი.....	75

1993 "Foreign Affairs" - გამოქვეყნდა ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის სემუელ პ.ჰანტინგტონის სტატია "ცივილიზაციათა შეჯახება" (ეს სტატია 1997 წელს ქართულად ცალკე ბროშურის სახით გამოიცა). სამი წლის შემდეგ გამოვიდა იმავე ავტორის წიგნი სათაურით "The Clash of Civilizations and Remaking of the World Order" (N.Y., 1996, 368 p.). მასში განვითარებული და დაზუსტებულია სტატიის ძირითადი დებულებები. თარგმანში წარმოდგენილია რამდენიმე ნაწყვეტი ჰანტინგტონის დასახელებული წიგნიდან.

ცივილიზაციის ბუნება

კაცობრიობის ისტორია - ცივილიზაციათა ისტორიაა. შეუძლებელია კაცობრიობის განვითარება სხვა ცნებებით წარმოვიდგინოთ. ისტორიაში ერთმანეთს ცვლიან ცივილიზაციათა თაობებიც ძველი შუმერული და ეგვიპტურიდან - კლასიკურისა და მეზოამერიკულის გავლით - ქრისტიანულისა და ისლამურისაკენ, აგრეთვე ჩინური და ინდური ცივილიზაციების თანმიმდევრული სახეცვლილებების გავლით. ისტორიის მთელ მანძილზე ცივილიზაციები ადამიანებს იდენტიფიკაციის ყველაზე ფართო შესაძლებლობებს აძლევდნენ. ცივილიზაციათა სათავეები, წარმოშობა, აღმავლობა, ურთიერთქმედება, მიღწევები, დაცემა და დაისი დაწვრილებით შეისწავლეს გამოჩენილმა ისტორიკოსებმა, სოციოლოგებმა, ანთროპოლოგებმა... მათ შექმნეს ცივილიზაციათა შედარებითი ანალიზისადმი მიძღვნილი ვრცელი და დახვეწილი სამეცნიერო ლიტერატურა. საკვლევი საკითხის შერჩევის, მეთოდოლოგიის, გამოკვლევათა და კონცეფციათა ფოკუსირების თვალსაზრისით, ამ ლიტერატურაში აზრთა დიდი სხვადასხვაობაა. მაგრამ ცივილიზაციათა ბუნების, იდენტურობის და დინამიკის თაობაზე ფართო თანხმობაა მიღწეული.

ჯერ ერთი, "ცივილიზაციისა" (მხოლოდით რიცხვში) და "ცივილიზაციების" (მრავლობით რიცხვში) ცნებები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ცივილიზაციის იდეა XVIII საუკუნის ფრანგმა განმანათლებლებმა "ბარბაროსობის" ცნების საპირისპიროდ განავითარეს. ცივილიზებული საზოგადოება პრიმიტიულისაგან იმით განირჩეოდა, რომ ბინადარი, საქალაქო და განათლებული იყო. ცივილიზებულობა კარგი იყო, არაცივილიზებულობა - ცუდი.

ცივილიზაციათა კონცეფცია გვთავაზობდა სტანდარტს, რომელიც საზოგადოების შეფასების შესაძლებლობას იძლეოდა. XIX საუკუნეში ევროპელებმა დიდი ინტელექტუალური, დიპლომატიური და პოლიტიკური ენერგია დახარჯეს იმ კრიტერიუმების შესამუშავებლად, რომლებიც საჭირო იყო ვერდიქტის გამოსატანად საკმაოდ ცივილიზებულია თუ არა ესა თუ ის არაევროპული საზოგადოება, რათა მიღებულ იქნას საერთაშორისო სისტემის წევრად, სადაც ევროპელები დომინირებენ. მაგრამ დროთა განმავლობაში ცივილიზაციათა შესახებ სულ უფრო ხშირად საუბრობდნენ მრავლობით რიცხვში. ეს ნიშნავდა უარის თქმას ცივილიზაციის, როგორც ერთ-ერთი ან ძირითადი იდეალის, განსაზღვრაზე და ცივილიზებულობის ერთადერთი სტანდარტის არსებობის თაობაზე წარმოდგენის გადასინჯვას. ამ სტანდარტს, ბროდელის სიტყვით, შეესაბამებოდა "მხოლოდ რამდენიმე პრივილეგირებული ხალხი ან ჯგუფი, "კაცობრიობის ელიტა". მხედველობის არეში კი მოხვდა მრავალი ცივილიზაცია, რომელთაგან თითოეული თავისებურად ცივილიზებული იყო. მოკლედ, ცივილიზაციამ მხოლოდობით რიცხვში "დაკარგა თავისი თვისებები და ხარისხის სინჯი", ხოლო ცივილიზაციები, რომლებზეც მრავლობით რიცხვში ლაპარაკობენ, შეიძლება ფრიად არაცივილიზებულნი აღმოჩენილიყვნენ იმ აზრით, რომელიც გადმოიცემა მხოლოდობით რიცხვით.

მეორე, ყველგან, გერმანიის გარდა, ცივილიზაციას კულტურულ მთლიანობად მიიჩნევენ. XIX ს. გერმანელმა მოაზროვნეებმა მკაფიო ზღვარი გაავლეს, ერთი მხრივ, ცივილიზაციას, რომელიც მოიცავს მექანიკას, ტექნოლოგიას, მატერიალურ ფაქტორებს და, მეორე მხრივ, კულტურას შორის, რომელიც აერთიანებს ფასეულობებს, იდეალებს და საზოგადოების უფრო მაღალ ინტელექტუალურ-მხატვრულ და მორალურ ნიშან-თვისებებს. ეს დაყოფა შენარჩუნებულ იქნა გერმანულ აზროვნებაში, მაგრამ სხვაგან არსად ყოფილა აღიარებული. ზოგიერთი ანთროპოლოგი "აყირავებდა" კიდევ ამ კავშირს და კულტურას მიიჩნევდა პრიმიტიულ, უცვლელ, არაურბანიზებულ საზოგადოებათა მახასიათებლად, ხოლო უფრო რთულ, განვითარებულ, ურბანიზებულ და დინამიკურ საზოგადოებებს ცივილიზაციებად თვლიდა. მაგრამ კულტურისა და ცივილიზაციის გამიჯვნის ამ მცდელობას მხარდაჭერა არ მოჰყოლია, და გერმანიის გარეთ უპირატესად ეთანხმებიან ბროდელს იმაში, რომ სურვილი - გერმანულ ყაიდაზე გაიმიჯნოს კულტურა და ცივილიზაცია - მაცდურია და არასწორი.

ცივილიზაცია და კულტურაც ის ცნებებია, რომლებიც აღნიშნავს ხალხთა ცხოვრების ყოვლისმომცველ სტილს, ამასთან, ცივილიზაცია - ესაა კულტურა სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ორივე ცნება მოიცავს "ფასეულობებს, ნორმებს, ინსტიტუტებს და აზროვნების წესებს, რომელთაც ურთიერთმონაცვლე თაობები პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებენ". ბროდელის მიხედვით, ცივილიზაცია - ესაა "სივრცე", "კულტურული არეალი", "კულტურულ მახასიათებელთა და ფენომენტთა ერთობლიობა". ვალერსტაინი მას განსაზღვრავს როგორც მსოფლმხედველობას, ზნე-ჩვეულებათა, სტრუქტურებისა და კულტურათა (როგორც მატერიალური, ასევე "მაღალი") განსაკუთრებულ ურთიერთკავშირს, რომელიც ქმნის თავისებურ ისტორიულ მთლიანობას და თანაარსებობს (თუნდაც ყოველთვის ერთდროულად არა) ამ ფენომენტის სხვა ნაირსახეობებთან". დოუსონის მიხედვით, ცივილიზაცია - ესაა "განსაზღვრული ხალხის კულტურული შემოქმედების განსაკუთრებული, ორიგინალური პროცესი"; დიურკჰეიმისა და მოსისათვის - "თავისებური მორალური გარემო, რომელიც მოიცავს ერების რაღაც რაოდენობას, და რომელშიც თითოეული ეროვნული კულტურა მხოლოდ მთელის კერძო ფორმაა". შპენგლერის მიხედვით, ცივილიზაცია "კულტურის გარდუვალი ბედია... ყველაზე გარეგნული და ხელოვნური მდგომარეობა, რომელიც შეუძლია მიიღოს განვითარებული კაცობრიობის ნაირსახეობებმა. იგი დასასრულია". კულტურა საერთო თემაა ცივილიზაციის პრაქტიკულად ყველა განსაზღვრებისათვის.

კულტურის საკვანძო ელემენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ცივილიზაციას, ჯერ კიდევ ათენელებმა ჩამოთვალეს, როცა სპარტელებს არწმუნებდნენ, რომ არ დანებდებოდნენ სპარსელებს მრავალი ანგარიშგასაწევი მოსაზრება არ გვამღევს ამის ნებას, კიდევაც რომ გვინდოდეს ამის გაკეთება, - ამბობდნენ ისინი. - პირველი და მთავარი - ღმერთების სახეები და სამყოფელნი, დამწვარი და ნანგრევებად ქცეული ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ შური ვიძიოთ მათთვის, და არ გაფურიგდეთ ადამიანს, რომელმაც ეს ჩაიდინა. მეორე - ბერძენთა რასას ერთი სისხლი და ერთი ენა გვაქვს, თაყვანს ვცემთ და მსხვერპლს ვწირავთ ერთსა და იგივე ღმერთებს; ერთნაირი ზნე-ჩვეულებანი გვაქვს; არ ეგების ყოველივე ამის ღალატი.

სისხლი, ენა, რელიგია, ცხოვრების წესი აერთიანებდა ბერძენებს და განასხვავებდა მათ სპარსელებისა და სხვა არა-ბერძენებისაგან. მაგრამ, როგორც ბერძენები აღნიშნავდნენ, ცივილიზაციის განმსაზღვრელი ყველა ობიექტური ელემენტიდან უმნიშვნელოვანესია რელიგია. კაცობრიობის

ისტორიის დიდი ცივილიზაციები მტკიცედ უკავშირებდნენ თავიანთ თავს დიდ მსოფლიო რელიგიებს. ეთნიკურად და ენით ერთ, მაგრამ რელიგიით განსხვავებულ ხალხებს შეუძლიათ დაუშვან ძმათაძველი ომები, როგორც ეს მოხდა ლიბანში, ყოფილ იუგოსლავიასა და ინდოსტანში.

ხალხების დაყოფა ცივილიზაციებად - კულტურული ნიშნით - და რასებად - ფიზიკური ნიშნით - მნიშვნელოვნად ემთხვევა ერთმანეთს. და მაინც - ცივილიზაციები და რასები ერთი და იგივე არ არის. ერთი და იგივე რასის ხალხები შეიძლება ცივილიზაციური თვალსაზრისით ღრმად გამოიჯნულნი იყვნენ. განსაკუთრებით დიდი მისიონერული რელიგიები - ქრისტიანობა და ისლამი - სხვადასხვა რასებზე გავრცელდნენ. ძირეული განსხვავებანი ადამიანთა ჯგუფებს შორის ეხება მათ ფასეულობებს, სარწმუნოებას, ინსტიტუტებსა და სოციალურ სტრუქტურებს, და არა ფიზიკურ ზომებს, თავის ფორმასა და კანის ფერს. მესამე, ცივილიზაციები ყოვლისმომცველია, ანუ არც ერთი შემაღენელი ნაწილის გაგება არ შეიძლება იმ ცივილიზაციისაგან მოწყვეტით, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს. ცივილიზაციები, ამტკიცებდა ტოინბი, "მოიცავენ და თავად არ არიან მოცულნი სხვის მიერ". ცივილიზაცია "მთლიანობაა". ცივილიზაციებს, - განაგრძობს ამ აზრს მელკო, - ახასიათებს ინტეგრირების გარკვეული ხარისხი. მათი ნაწილები განისაზღვრება ერთმანეთთან და მთელთან ურთიერთობით. თუ მოცემული ცივილიზაცია შედგება სახელმწიფოებისაგან, ეს სახელმწიფოები უფრო მჭიდროდ იქნებიან დაკავშირებული ერთმანეთთან, ვიდრე ცივილიზაციის გარე სახელმწიფოებთან. მათ შეიძლება უფრო ხშირად იომონ და უფრო ხშირად დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა. ისინი მეტად ურთიერთდამოკიდებული იქნებიან ეკონომიკური თვალსაზრისით. მათში იარსებებს ურთიერთშეღწევადი ესთეტიკური და ფილოსოფიური მიმდინარეობანი.

ცივილიზაცია უფართოესი კულტურული ერთობაა. სოფლებს, რეგიონებს, ეთნიკურ ჯგუფებს, ხალხებს, რელიგიურ ჯგუფებს გააჩნიათ განსაკუთრებული კულტურები, კულტურული მრავალფეროვნების სხვადასხვა დონეზე. სამხრეთ იტალიის სოფლის კულტურა განსხვავებულია ჩრდილოეთ იტალიის სოფლის კულტურისაგან, მაგრამ ორივე იტალიური კულტურის ნაწილი იქნება, რაც განასხვავებს მათ გერმანული სოფლებისაგან. ევროპულ წარმონაქმნებს, თავის მხრივ, გააჩნიათ საერთო კულტურული ნიშნები, რაც განასხვავებს მათ ჩინური თუ ინდუისტური საზოგადოებებისაგან. მაგრამ ჩინელები, ინდუსები და

დასავლეთის ხალხები არ შედიან არც ერთ უფრო დიდ კულტურულ ერთობაში. ისინი შეადგენენ ცივილიზაციებს. ამგვარად, ცივილიზაცია წარმოადგენს ადამიანთა ყველაზე ფართო კულტურულ დაჯგუფებას და მათი კულტურული იდენტიფიკაციის ყველაზე ფართო წრეს - იმის გარდა, რაც საერთოდ განასხვავებს ადამიანებს სხვა ცოცხალი არსებებისაგან. ცივილიზაციას განსაზღვრავს აგრეთვე ისეთი ზოგადი ობიექტური ელემენტები, როგორცაა ენა, ისტორია, რელიგია, ტრადიციები, ინსტიტუტები და ადამიანთა სუბიექტური თვითიდენტიფიკაცია. ადამიანებს იდენტიფიკაციის რამდენიმე დონე გააჩნიათ რომის მცხოვრებს ინტენსივობის სხვადასხვა ხარისხით შეუძლია თავს უწოდოს რომაელი, იტალიელი, კათოლიკე, ქრისტიანი, ევროპელი, დასავლელი ადამიანი. ცივილიზაცია, რომელსაც ის ეკუთვნის, ყველაზე ვრცელი სფეროა, რომელთანაც ის საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ახდენს. ცივილიზაცია - ესაა ყველაზე დიდი "ჩვენ", სადაც ადამიანი, კულტურული თვალსაზრისით, თავს შინ გრძნობს, ამავე დროს, იგი გვყოფს "ჩვენ" "მათ"-გან, ვინც ამ ცივილიზაციის მიღმაა.

ცივილიზაციები შეიძლება მოიცავდეს ადამიანთა დიდ რაოდენობას (ჩინური), ან ძალიან მცირეს (ინგლისურენოვანი კარიბული). ისტორია იცნობს ადამიანთა მცირე ჯგუფებს, რომელთაც გააჩნდათ ინდივიდუალური კულტურა ისე, რომ არ ჰქონდათ სხვა უფრო ფართო კულტურული იდენტიფიკაცია. მასშტაბისა და მნიშვნელობის მიხედვით განარჩევენ ძირითად და პერიფერიულ ცივილიზაციებს (ბეგბი), ან კიდევ ძირითადას და შეჩერებულ თუ შეწყვეტილ ცივილიზაციებს (ტონზი). ჩვენი წიგნი ეძღვნება კაცობრიობის ისტორიაში ძირითადად მიჩნეულ ცივილიზაციებს.

ცივილიზაციებს არ გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული საზღვრები, ზუსტი საწყისი და დასასრული. ადამიანებმა შეიძლება ხელახლა გაიაზრონ თავიანთი იდენტურობა, რის შედეგად ცივილიზაციის კომპოზიცია და მოხაზულობა დროთა განმავლობაში იცვლება. ხალხთა კულტურები ურთიერთქმედებენ და გადაფარავენ ერთმანეთს. მათი მსგავსებისა და განსხვავების ხარისხი ასევე არსებითად ვარირებს. მიუხედავად ამისა, ცივილიზაციები აზრით აღსავსე მთლიანობებია; ისინი რეალურად არსებობენ, თუმცა მათ შორის საზღვრები იშვიათადაა მკაფიო.

მეოთხე, ცივილიზაციები მოკვდავია, ამასთან, ისინი დიდხანს ცოცხლობენ. ისინი განიცდიან ევოლუციას, ადაპტირდებიან და წარმოადგენენ ადამიანთა ყველაზე მუდმივ გაერთიანებებს, უაღრესად ხანგრძლივი პერსპექტივის რეალობებს. მათი უნიკალური და

განსაკუთრებული არსი მდგომარეობს მათ ხანგრძლივ ისტორიულ მემკვიდრეობითობაში. არსებითად, ცივილიზაციები "ყველაზე ხანგრძლივი ისტორიები". იმპერიები განიცდიან აღმავლობა-დაცემას, მთავრობები მოდიან და მიდიან, ცივილიზაციები კი რჩებიან და გაივლიან "პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ გადატრიალებებსაც კი". ბოუზმანი ასკვნის, რომ "საერთაშორისო ისტორია ახდენს სწორ დოკუმენტირებას თეზისისა იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური სისტემები მიზანთა მიღწევის წარმავალი საშუალებებია, რომლებიც ცივილიზაციათა ზედაპირზე ძევს, და რომ ენობრივი და სულიერი თვალსაზრისით გაერთიანებული ყველა საზოგადოების ბედი, საბოლოო ჯამში, დამოკიდებულია გარკვეული პირველადი მასტრუქტურებელი იდეების გადარჩენაზე, რომელთა ირგვლივ ერთიანდებიან ურთიერთმომდევნო თაობები და ამით ახდენენ საზოგადოების მემკვიდრეობითობის სიმბოლიზებას". პრაქტიკულად, XX საუკუნის ყველა ძირითადი მსოფლიო ცივილიზაცია ან ათასწლეულის განმავლობაში არსებობდა, ან, ლათინური ამერიკის მსგავსად, რომელიღაც სხვა ხანგრძლივად არსებული ცივილიზაციის შთამომავალია.

უძლებენ რა დროის გამოცდას, ცივილიზაციები, ამასთანავე, ევოლუციას განიცდიან. ისინი დინამიურნი არიან, აქვთ აღმავლობისა და დაცემის პერიოდები, ერთმანეთს ერწყმიან, იყოფიან და, როგორც ცნობილია ყველა სტუდენტი-ისტორიკოსისათვის, ქრებიან და შთაინთქმებიან დროში. მათი ევოლუციის ფაზები შეიძლება სხვადასხვაგვარად დადგინდეს. კვიგლის მიხედვით, ცივილიზაციები შვიდ სტადიას გაივლიან: შერევა, მომწიფება, ექსპანსია, კონფლიქტების პერიოდი, უნივერსალური იმპერია, დაქვეითება და შეჭრა. მელკომ შემოიტანა ცვლილებათა შემდეგი მოდელი: ჩამოყალიბებული ფეოდალური სისტემა - გარდამავალი ფეოდალური სისტემა - გარდამავალი სახელმწიფოებრივი სისტემა - ჩამოყალიბებული იმპერიული სისტემა. ტონიზი თვლიდა, რომ ცივილიზაციები ვითარდება რაღაც გამოწვევათა პასუხად, შემდეგ ისინი გაივლიან ზრდის პერიოდს, რომელიც მოიცავს გარემოზე მზარდ კონტროლს, რაც შექმნილია შემოქმედებითი უმცირესობის მიერ; ზრდის პერიოდს მოსდევს სირთულეთა ხანა, უნივერსალური სახელმწიფოს წარმოშობა და შემდეგ - დეზინტეგრაცია. მნიშვნელოვანი განსხვავების მიუხედავად, ყველა ეს თეორია ეთანხმება ერთმანეთს იმაში, რომ ცივილიზაციები გაივლიან სირთულეთა და კონფლიქტების პერიოდს, მოძრაობენ უნივერსალური სახელმწიფოსაკენ, შემდეგ კი - დაქვეითებისა და

დეზინტეგრაციისაკენ.

მეხუთე, რადგან ცივილიზაციები კულტურული, და არა პოლიტიკური მთლიანობებია, ისინი არ ახორციელებენ მართლმსაჯულებას, არ კრებენ გადასახადებს, არ ომობენ, არ დებენ ხელშეკრულებებს და არ აკეთებენ სხვა საქმეებს, რომლებითაც დაკავებულია მთავრობები. ცივილიზაციები შეიძლება განირჩეოდნენ პოლიტიკური შემადგენლობით, დროდადრო ეს შემადგენლობა იცვლება ერთი ცივილიზაციის შიგნითაც. ისინი შეიძლება მოიცავდნენ ერთ ან მრავალ პოლიტიკურ ერთეულს. ეს ერთეულები შეიძლება იყოს ქალაქ-სახელმწიფოები, იმპერიები, ფედერაციები, კონფედერაციები, ეროვნული სახელმწიფოები, მრავალეროვანი სახელმწიფოები; ყველა მათგანს შეიძლება ჰქონდეს მმართველობის სხვადასხვა ფორმა. ცივილიზაციის ევოლუციის კვალობაზე, მისი შემადგენელი ნაწილების რიცხვი და ბუნება, ჩვეულებრივ, იცვლება. როგორც ლ.პაი აღნიშნავდა, ჩინეთი ცივილიზაციაა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ სახელმწიფო იყოს. იაპონია - ესაა ცივილიზაცია-სახელმწიფო. მაგრამ ცივილიზაციათა უმრავლესობაში შედის ერთზე მეტი სახელმწიფო ან სხვა პოლიტიკური მთლიანობა. თანამედროვე მსოფლიოში ცივილიზაციათა უმრავლესობა მოიცავს ორ ან მეტ სახელმწიფოს.

და ბოლოს, მკვლევარები, ჩვეულებრივ, თანხმდებიან უმნიშვნელოვანესი ისტორიული და დღევანდელ მსოფლიოში არსებული ცივილიზაციების იდენტიფიკაციაზე. განსხვავებულია მათი თვალსაზრისები ისტორიაში არსებულ ცივილიზაციათა რაოდენობაზე. კვიგლი ითვლიდა 16 აშკარა ისტორიულ და 8 სავარაუდო დამატებით ცივილიზაციას; ტოინბი ასახელებდა ჯერ 22, შემდეგ 23-ს; შპენგლერმა გამოყო რვა ძირითადი კულტურა. მაკნეილი მთელი ისტორიის მანძილზე 9 ცივილიზაციას ხედავდა, ბეგბი - 9 ან 12, თუ ჩინური და დასავლური ცივილიზაციებიდან გამოვყოფდით იაპონურსა და მართლმადიდებლურს. ბროდელი ასახელებდა 9, როსტოვანი კი 7 უმნიშვნელოვანეს თანამედროვე ცივილიზაციას. ეს განსხვავება ნაწილობრივ იმაზეა დამოკიდებული, ჩავთვალოთ თუ არა ისეთი კულტურული ჯგუფები, როგორებიცაა ჩინელები და ინდუსები, ერთიან ისტორიულ ცივილიზაციად თუ ორ ან მეტ ერთმანეთთან ახლო მდგომ ცივილიზაციად, რომელთაგან ერთი მეორეს გამოეყო. განსხვავებათა მიუხედავად, იდენტურობა საკამათო არ არის. ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე მელკო ასკვნის, რომ არსებობს "გონივრული თანხმობა" 12 უმნიშვნელოვანესი ცივილიზაციის შესახებ, რომელთაგან შვიდი უკვე გაქრა (მესოპოტამიური, ეგვიპტური, კრეტის, კლასიკური,

ბიზანტიური, ცენტრალურამერიკული, ანდური). რამდენიმე მკვლევარი უმატებს კიდევ რუსულ მართლმადიდებლურ ცივილიზაციას, როგორც დამოუკიდებელს, განსხვავებულს მშობელი ბიზანტიური და დასავლურქრისტიანული ცივილიზაციებისაგან. ჩვენი მიზნისათვის სასურველი იქნებოდა იმ ექვს ცივილიზაციას თანამედროვე სამყაროში დავუმატოთ კიდევ ლათინურამერიკული და, შესაძლოა, აფრიკული ცივილიზაციები.

ურთიერთობა ცივილიზაციებს შორის

150 წლის მანძილზე დასავლეთის შიდაცივილიზაციურ პოლიტიკაში ბატონობდა დიდი რელიგიური განხეთქილება, რელიგიური და დინასტიური ომები. ვესტფალის ზავიდან საუკუნენახევრის განმავლობაში კონფლიქტები დასავლურ სამყაროში მიმდინარეობდა უპირატესად ხელმწიფე-იმპერატორებს, აბსოლუტურ მონარქებს, კონსტიტუციურ მონარქებს შორის, რომელთაც სურდათ თავიანთი ბიუროკრატიის, არმიის, მერკანტილური ეკონომიკური ძალის და, რაც მთავარია, სამართავი ტერიტორიის გაზრდა. თანდათან ისინი ქმნიდნენ ეროვნულ სახელმწიფოებს. საფრანგეთის რევოლუციით დაწყებული, მთავარი კონფლიქტები მიმდინარეობდა ერებს და არა ხელმწიფეებს შორის. 1793 წელს, რ.პალმერის სიტყვით, "დამთავრდა მეფეთა ომები; დაიწყო ხალხთა ომები". XIX საუკუნისათვის ტიპური ეს მოდელი მოქმედებდა პირველ მსოფლიო ომამდე.

1917 წლის შემდეგ, რუსეთის რევოლუციის შედეგად, ეროვნულ სახელმწიფოთა კონფლიქტს დაემატა იდეოლოგიათა კონფლიქტი ჯერ ფაშიზმს, კომუნიზმსა და ლიბერალურ დემოკრატიას, შემდეგ ორ უკანასკნელს შორის. "ცივი ომის" პერიოდში ამ ორმა იდეოლოგიამ ხორცი შეისხა ორ ზესახელმწიფოში; თითოეული მათგანი თავის იდენტურობას საზღვრავდა იდეოლოგიის მეშვეობით, არც ერთი მათგანი არ იყო ეროვნული სახელმწიფო ტრადიციული ევროპული გაგებით. მას შემდეგ, რაც ჯერ რუსეთში, შემდეგ ჩინეთსა და ვიეტნამში ხელისუფლებაში მარქსისტები მოვიდნენ, დაიწყო ევროპული საერთაშორისო სისტემიდან პოსტევროპულ მულტიცივილიზაციურ სისტემაზე გადასვლის ფაზა. მარქსიზმი ევროპული ცივილიზაციის ნაყოფი იყო, მაგრამ იგი მასში არ დანერგილა და არ გაუმარჯვია. ამის ნაცვლად მოდერნიზებულმა და რევოლუციურმა ელიტებმა იგი არადასავლურ საზოგადოებაში შეიტანეს; ლენინმა, მაომ და ხომ მარქსიზმი თავიანთ მიზნებს მოარგეს და გამოიყენეს იმისათვის, რომ

”გამოეწვიათ” დასავლური ძალა, მოეხდინათ ხალხის მობილიზება, განემტკიცებინათ თავიანთი ქვეყნების ეროვნული იდენტურობა და ავტონომია, დასავლეთის საპირისპიროდ. ამ იდეოლოგიის კრახი საბჭოთა კავშირში, მისი არსებითი სახეცვლილება ჩინეთსა და ვიეტნამში სრულიად არ ნიშნავს, რომ ეს საზოგადოებები ისეხებენ სხვა დასავლურ იდეოლოგიას - ლიბერალურ დემოკრატიას. ისინი, ვინც დასავლეთში ფიქრობს, რომ ეს მოხდება, გაცეზული დარჩება არადასავლური კულტურების შემოქმედებითი უნარით, მოქნილობითა და ინდივიდუალობით. ამრიგად, XX საუკუნეში ცივილიზაციათა შორის ურთიერთობამ ფაზიდან, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ერთი ცივილიზაციის ცალმხრივი გავლენა ყველა დანარჩენზე, გადაინაცვლა ყველა ცივილიზაციის ინტენსიური, მყარი ურთიერთქმედების ფაზისაკენ. წინა ეპოქის ცივილიზაციათაშორისი ურთიერთობის ორივე დამახასიათებელმა ნიშანმა ქრობა დაიწყო.

ჯერ ერთი, ისტორიკოსების საყვარელი გამოთქმით, ”დასავლეთის ექსპანსია” დასრულდა და დაიწყო ”ჯანყი დასავლეთის წინააღმდეგ”. არათანაბრად, წყვეტილობით, უკანდახევებით, მაგრამ განუხრელად იკლებდა დასავლეთის ძლიერება სხვა ცივილიზაციებთან შედარებით. 1990 წელს მსოფლიო რუკა ცოტათი თუ ჰგავდა 1920 წლის რუკას. სამხედრო, ეკონომიკური ძალისა და პოლიტიკური გავლენის ბალანსი შეიცვალა. დასავლეთი კვლავ შესამჩნევ გავლენას ახდენს სხვა საზოგადოებებზე, მაგრამ მის ურთიერთობებში სხვა ცივილიზაციებთან სულ უფრო მეტად დომინირებს რეაქცია იქ მიმდინარე მოვლენებზე. არადასავლური საზოგადოებანი შორს არიან იმისგან, რომ იყვნენ დასავლური ტიპის ისტორიის უბრალო ობიექტები და სულ უფრო მეტად იქცევიან როგორც საკუთარი, ასევე დასავლური ისტორიის ძრავად და შემოქმედად.

მეორე, ამ გარემოებათა ზეგავლენით, საერთაშორისო სისტემა გასცდა დასავლეთის საზღვრებს და მულტიცივილიზაციურ სისტემად იქცა. იმავდროულად ჩაქრა ამ სისტემაში დასავლურ სახელმწიფოთა შორის საუკუნეთა მანძილზე არსებული კონფლიქტები. XX საუკუნის მიწურულს დასავლეთი, როგორც ცივილიზაცია, გამოვიდა განვითარების იმ ფაზიდან, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ”მეომარი სახელმწიფოს” ფაზა, და დაიწყო მოძრაობა ”უნივერსალური სახელმწიფოს” ფაზისაკენ. ჩვენი საუკუნის ბოლოს ეს ფაზა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული; დასავლეთის სახელმწიფოები ერთიანდებიან ორ ნახევრადუნივერსალურ სახელმწიფოდ ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში. ეს ორი მთლიანობა და მათი შემადგენელი ნაწილები

ერთმანეთთან დაკავშირებულია ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციური კავშირების უაღრესად რთული ქსელით. წინამორბედი ცივილიზაციების უნივერსალური სახელმწიფოები იყო იმპერიები. რამდენადაც ამ ცივილიზაციის პოლიტიკური ფორმა დემოკრატიას, დასავლური ცივილიზაციის წარმოშობის პროცესში მყოფი უნივერსალური სახელმწიფო იმპერია კი არა, უფრო მეტად ფედერაციის, კონფედერაციის, საერთაშორისო რეჰიმებისა და ორგანიზაციების ერთობლიობაა.

XX საუკუნის დიდ პოლიტიკურ იდეოლოგიათა რიცხვს ეკუთვნიან ლიბერალიზმი, სოციალიზმი, ანარქიზმი, კორპორატივიზმი, მარქსიზმი, კომუნიზმი, სოციალ-დემოკრატია, კონსერვატივიზმი, ნაციონალიზმი, ფაშიზმი და ქრისტიანული დემოკრატია. ყველა მათგანს ერთი საერთო აქვს - ისინი დასავლური ცივილიზაციის პროდუქტებია. არც ერთ სხვა ცივილიზაციას არ შეუძლებია მნიშვნელოვანი პოლიტიკური იდეოლოგია. დასავლეთს კი არ შეუქმნია რამდენადმე დიდი რელიგია. ყველა დიდი მსოფლიო რელიგია არადასავლურ ცივილიზაციათა ნაყოფია და მათი უმრავლესობა დასავლურ ცივილიზაციაზე ადრე გაჩნდა. იმის კვალობაზე, რაც მსოფლიო გამოდის დასავლური ფაზიდან, იდეოლოგიები, რომლებიც დასავლური ცივილიზაციის გვიანდელ პერიოდს უკავშირდებოდნენ, ქვეითდება, მათ ადგილს კი იჭერს რელიგიები და იდენტურობისა და მრწამსის სხვა ფორმები, რომელთაც საფუძვლად კულტურა უდევთ. დასავლური ცივილიზაციის ალერგიული პირმშო - ვესტფალის ზავის შემდგომ მომხდარი გამიჯვნა რელიგიისა საერთაშორისო პოლიტიკისგან - უკანასკნელ დღეებს ითვლის, და რელიგია, ედვარდ მორტიმერის ვარაუდით, "როგორც ჩანს, სულ უფრო მეტად ჩაერევა საერთაშორისო ურთიერთობებში". კულტურებისა და რელიგიების ცივილიზაციათაშორისი შეჯახება თანდათან დევნის პოლიტიკური იდეების მიერ დასავლეთში წარმოშობილ შიდაცივილიზაციურ კონფლიქტს.

ცივილიზაციათა სტრუქტურა

"ცივი ომის" წლებში ქვეყნები ზესახელმწიფოებთან კავშირს ამყარებდნენ როგორც მოკავშირეები, სატელიტები, დამოუკიდებელი, ნეიტრალური ან მიუმხრობელი სახელმწიფოები. "ცივი ომის" დამთავრების შემდეგ ქვეყნები ცივილიზაციებთან კავშირს ამყარებენ როგორც წევრი-ქვეყნები (member states), ბირთვი სახელმწიფოები (core

states), მარტოხელა (lone states), გაბზარული (cleft states) და გახლეჩილი (torn states) ქვეყნები. როგორც ტომებსა და ერებს, ცივილიზაციებსაც აქვთ პოლიტიკური სტრუქტურა. წვერი-ქვეყანა ახდენს საკუთარი თავის სრულ იდენტიფიკაციას ერთ ცივილიზაციასთან (მაგალითად, ეგვიპტე - არაბულ-ისლამურ ცივილიზაციასთან, იტალია - დასავლეთევროპულთან). ცივილიზაცია შეიძლება მოიცავდეს ადამიანებს, რომლებიც, თუმცა მისი წევრები არიან, მაგრამ ცხოვრობენ ქვეყნებში, სადაც დომინირებენ სხვა ცივილიზაციის წევრები. ცივილიზაციაში ყოველთვის არის ერთი ან რამდენიმე ადგილი, რომელსაც მისი წევრები თვლიან ამ ცივილიზაციის კულტურის ძირითად წყაროდ (ან წყაროებად). ეს წყაროები ხშირად განლაგებულია ამ ცივილიზაციის ბირთვ სახელმწიფოში (ან სახელმწიფოებში) - ყველაზე ძლიერში ან კულტურული თვალსაზრისით ძირითადში.

ბირთვი სახელმწიფოების რიცხვი და როლი სხვადასხვა ცივილიზაციაში განსხვავებულია. იგი იცვლება დროშიც. იაპონური ცივილიზაცია პრაქტიკულად იდენტურია ერთადერთი იაპონური ბირთვი სახელმწიფოსი. ჩინურ, მართლმადიდებლურ და ინდუისტურ ცივილიზაციებს გააჩნიათ თითო აბსოლუტურად დომინირებული ბირთვი სახელმწიფო, მის გარდა კი - სხვა წვერი-სახელმწიფოები, აგრეთვე ხალხი, რომელიც დაკავშირებულია ამ ცივილიზაციასთან, მაგრამ ცხოვრობს ქვეყნებში, სადაც დომინირებენ სხვა ცივილიზაციის ხალხები (ოკეანისგალმა ჩინელები, რუსეთის ახლო საზღვარგარეთი, თამილები შრი-ლანკაში). დასავლეთს ისტორიულად ყოველთვის გააჩნდა რამდენიმე ბირთვი სახელმწიფო; ახლა მას ორი ბირთვი აქვს. შეერთებული შტატები და ფრანგულ-გერმანული ბირთვი ევროპაში; დიდი ბრიტანეთი - მათ შორის არსებული ძალის დამატებითი ცენტრია.

ისლამს, ლათინურ ამერიკას და აფრიკას ბირთვი სახელმწიფოები არა აქვთ. ნაწილობრივ ეს აიხსნება დასავლეთის სახელმწიფოთა იმპერიალისტური პოლიტიკით, რომლებმაც გაინაწილეს აფრიკა, ახლო და შუა აღმოსავლეთი, უფრო ადრეულ საუკუნეებში და ნაკლებად აშკარად - ლათინური ამერიკაც. ისლამური ბირთვი სახელმწიფოს არარსებობა მრავალ სერიოზულ პრობლემას უქმნის როგორც ისლამურ, ისე არაისლამურ საზოგადოებებს. რაც შეეხება ლათინურ ამერიკას, ალბათ, ესპანეთს შეეძლო გამხდარიყო ესპანურენოვანი და, საერთოდ, იბერიული ცივილიზაციის ბირთვი სახელმწიფო. მაგრამ მისმა ლიდერებმა შეგნებულად აირჩიეს ევროპული ცივილიზაციის წვერი სახელმწიფოს როლი, ინარჩუნებდნენ რა კულტურულ კავშირებს თავიანთ ყოფილ კოლონიებთან. სიდიდე, რესურსები, მოსახლეობა,

სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი ბრაზილიას ლათინური ამერიკის ლიდერობის უფლებას აძლევს; შესაძლოა, იგი ლიდერი გახდეს კიდევ. მაგრამ ბრაზილია ლათინური ამერიკისათვის იგივეა, რაც ირანი ისლამური სამყაროსათვის. ყველა სხვა ნიშნით ისინი შეეფერებიან ბირთვი სახელმწიფოს ამპლუას, რომ არა სუბცივილიზაციური განსხვავებანი (რელიგიური - ირანისათვის და ლინგვისტური - ბრაზილიისათვის), რომლებიც მათ ამ როლის საკუთარ თავზე ადებს უშლის. ამრიგად, ლათინურ ამერიკაში რამდენიმე სახელმწიფო თანამშრომლობს და მეტოქეობს ლიდერობისათვის. სიტუაციას ლათინურ ამერიკაში ის გარემოებაც ართულებს, რომ მექსიკა ცდილობს ხელახალ თვითიდენტიფიკაციას როგორც ჩრდილოამერიკული ქვეყანა; მის მაგალითს შეიძლება მიბამონ ჩილემ და სხვა სახელმწიფოებმა. საბოლოოდ, ლათინურამერიკული ცივილიზაცია შეიძლება ჩაიყლაპოს და იქცეს სამნაწილიანი დასავლური ცივილიზაციის ქვევარიანტად. ტროპიკულ აფრიკაში რომელიმე ბირთვი სახელმწიფოს ლიდერობის უნარი შემოიფარგლება მისი დაყოფით ფრანგულ და ინგლისურენოვან ნაწილებად. რაღაც პერიოდში კოტ-დ'ივუარი ფრანგულენოვანი აფრიკის ბირთვი სახელმწიფო იყო. მაგრამ იმავე როლს მნიშვნელოვანწილად ასრულებდა საფრანგეთი, რომელიც კოლონიების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მათთან მჭიდრო ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკურ კავშირს ინარჩუნებდა. ორივე აფრიკული ქვეყანა, რომლებიც ყველაზე მეტად შეეფერებიან ბირთვი სახელმწიფოების როლს, ანგლოფონურია. სიდიდე, რესურსები და მდებარეობა ნიგერიას პოტენციურ ბირთვ სახელმწიფოდ აქცევს, მაგრამ შიდაცივილიზაციური ერთობის არარსებობა, მასობრივი კორუფცია, პოლიტიკური არასტაბილურობა, რეპრესიული მთავრობა და ეკონომიკური პრობლემები მკვეთრად ზღუდავენ მის ამ შესაძლებლობას. სამხრეთ აფრიკის მშვიდობიანი (მოლაპარაკებათა საფუძველზე) ჩამოცილება აპარტეიდისაგან, მისი ინდუსტრიული განვითარება, სხვა აფრიკულ ქვეყნებთან შედარებით მაღალი ეკონომიკური განვითარების დონე, სამხედრო შესაძლებლობანი, ბუნებრივი რესურსები და გამოცდილი შავ-თეთრი ხელმძღვანელობა ნათლად გამოკვეთს ამ სახელმწიფოს, როგორც აფრიკის სამხრეთი ნაწილის - ინგლისური და, შესაძლოა, მთელი ტროპიკული აფრიკის - ლიდერის როლს.

მარტოხელა სახელმწიფოს არ გააჩნია კულტურული ერთობა სხვა საზოგადოებებთან. ეთიოპია, მაგალითად, იზოლირებულია იქ გაბატონებული ამხარული ენისა და კოპტური შრიფტის, გაბატონებული

რელიგიის - კოპტური მართლმადიდებლობის, თავისი იმპერიული წარსულის, მეზობლებისაგან (რომლებიც უმეტესად მუსლიმები არიან) რელიგიური განსხვავების გამო. თუმცა ჰაიტის ელიტა ტრადიციულად კმაყოფილდებოდა თავისი კულტურული კავშირებით საფრანგეთთან, მაგრამ კრეოლურმა ენამ, შამანიზმმა, მონა-რევოლუციონერთაგან წარმომავლობამ და მკაცრმა ისტორიამ ჰაიტი მარტოხელა ქვეყნად აქცია. "ყველა ერი უნიკალურია, - შენიშნავდა სიდნეი მინცი, - მაგრამ ჰაიტი, გარკვეული თვალსაზრისით, ერთადერთია..."

ყველაზე მნიშვნელოვანი მარტოხელა ქვეყანა იაპონიაა. იგი არავისთან იყოფს თავის განსაკუთრებულ კულტურას, იაპონელი ემიგრანტებიც კი სხვა ქვეყნებში მცირერიცხოვანნი არიან და არ ექვემდებარებიან ასიმილაციას (მაგალითად, ამერიკელი იაპონელები). იაპონიის მარტოობას ისიც აძლიერებს, რომ მისი კულტურა უკიდურესად სპეციფიკურია და არ მოიცავს რომელიმე უნივერსალისტურ რელიგიას (ქრისტიანობა, ისლამი) ან იდეოლოგიას (ლიბერალიზმი, კომუნიზმი), რომლებიც შეიძლება ექსპორტირებული ყოფილიყო სხვა საზოგადოებებში და ამით დამყარებულიყო კულტურული კავშირი სხვა საზოგადოებებთან.

თითქმის ყველა ქვეყანა შინაგანად არაერთგვაროვანია და მოიცავს ორ ან მეტ ეთნიკურ, რასობრივ და რელიგიურ ჯგუფს. ბევრი ქვეყანა იმდენად დაყოფილია, რომ უთანხმოებანი და კონფლიქტები ამ ჯგუფებს შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ სახელმწიფოთა პოლიტიკაში. დაყოფის სიღრმე დროთა განმავლობაში იცვლება. თუ განსხვავება მეტად დიდია, ამას შეიძლება მოჰყვეს მასობრივი ძალმომრეობა და საფრთხე შეექმნას ქვეყნის არსებობას. ასეთი საფრთხე და მოძრაობა ავტონომიისა ან განცალკევებისათვის უფრო ხშირად წარმოიშობა მაშინ, როცა კულტურული განსხვავება ემთხვევა გეოგრაფიულ განსახლებას. თუ კულტურა და გეოგრაფია ერთმანეთს არ ემთხვევა, დამთხვევა შეიძლება მიღწეულ იქნას გენოციდის ან იძულებითი მიგრაციის გზით. ქვეყნები განსაკუთრებული კულტურული ჯგუფებით, რომლებიც იმავე ცივილიზაციას ეკუთვნიან, შეიძლება იქცნენ ღრმად გახლეჩილ ქვეყნებად რეალურად მიმდინარე (ჩეხოსლოვაკია) ან შესაძლებელი სეცესიით (კანადა). მაგრამ ღრმა განხეთქილების წარმოშობის შესაძლებლობა გაცილებით მეტია "გაბზარულ" ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის მსხვილი ჯგუფები სხვადასხვა ცივილიზაციას ეკუთვნიან.

ასეთი დაყოფა და მისი თანამდევი დამაბულობა ხშირად წარმოიშობა მაშინ, როცა იგივე ცივილიზაციის კუთვნილი უფრო მსხვილი დაჯგუფება ცდილობს აქციოს სახელმწიფო საკუთარ

პოლიტიკურ ინსტრუმენტად, თავისი ენა, რელიგია და სიმბოლოები - სახელმწიფოებრივად; ამის გაკეთება სცადეს ინდუსებმა, სინგალებმა და მუსლიმებმა ინდოეთში, შრი-ლანკასა და მალაიზიაში. "გაბზარულ" ქვეყნებში, რომლებიც გათიშულობის ხაზის ორივე მხარეს არიან განლაგებული, არსებობს განსაკუთრებული პრობლემები ერთიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით... გათიშულობის ცივილიზაციური ხაზების გამთიშველი ზეგავლენა განსაკუთრებით შესამჩნევია იმ "გაბზარულ" ქვეყნებში, რომელთა ერთიანობა "ცივი ომის" წლებში შენარჩუნებული იყო მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით ლეგიტიმირებული ავტორიტარული კომუნისტური რეჟიმებით. კომუნიზმის კრახის შემდეგ იდეოლოგია შეცვალა კულტურამ, როგორც მიზიდულობისა და განზიდულობის მაგნიტმა. "გაბზარულ" ქვეყანაში მსხვილი ჯგუფები, რომლებიც ორ ან მეტ ცივილიზაციას ეკუთვნიან, აცხადებენ "ჩვენ სხვადასხვა ხალხი ვართ და სხვადასხვა ცივილიზაციას ვეკუთვნით". განზიდვის ძალები მათ ერთმანეთს აშორებს, და ისინი მიისწრაფიან სხვა საზოგადოების ცივილიზაციური მაგნიტისაკენ. გახლეჩილი ქვეყნები გაბზარულისაგან იმით განირჩევიან, რომ მათში უპირატესობა აქვს ერთ ცივილიზაციას, მაგრამ მათ ლიდერებს სურთ ცივილიზაციური იდენტურობის შეცვლა. ისინი აცხადებენ "ჩვენ ერთი ხალხი ვართ და ერთად უნდა ვიყოთ ერთ სამყაროში, მაგრამ ჩვენ გვინდა ამ სამყაროს შეცვლა". "გაბზარული" ქვეყნის ხალხისაგან განსხვავებით, გახლეჩილი ქვეყნის ადამიანებს საერთო აზრი აქვთ იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენენ თავად, მაგრამ ვერ თანხმდებიან იმაში, თუ რომელი ცივილიზაცია მიიჩნიონ თავისად.

როგორც წესი, მათი ლიდერების უმრავლესობა იღებს ქემალისტურ სტრატეგიას და წყვეტს, რომ მათმა საზოგადოებამ უნდა უარყოს არადასავლური კულტურა და ინსტიტუტები, შეუერთდეს დასავლეთს, ერთდროულად მოდერნიზდეს და ვესტერნიზდეს. რუსეთი გახლეჩილი ქვეყანა იყო პეტრე დიდის დროიდან, იქ აზრთა სხვადასხვაობა იყო იმის თაობაზე, ქვეყანა დასავლური ცივილიზაციის ნაწილია თუ განსაკუთრებული ევრაზიული მართლმადიდებლური ცივილიზაციის ბირთვი. ცხადია, მუსტაფა ქემალის ქვეყანა კლასიკური გახლეჩილი ქვეყანა იყო, რომელიც 1920 წლიდან ცდილობდა მოდერნიზაციას, ვესტერნიზაციას და დასავლეთის ნაწილად ქცევას. ორი საუკუნის მანძილზე მექსიკა საკუთარ თავს განსაზღვრავდა როგორც ლათინურამერიკული ქვეყანა, აშშ-ს საპირისპიროდ; 1980 წ. ლიდერებმა იგი გახლეჩილ ქვეყნად აქციეს, სცადეს რა მისი განსაზღვრა როგორც ჩრდილოამერიკული საზოგადოებისა. 1990 წ. ავსტრალიის

ლიდერებმა, პირიქით, სცადეს გაეწყვიტათ კავშირი დასავლეთთან და ქვეყანა აზიის ნაწილად ექციათ, რითაც შექმნეს "უკუღმა გახლეჩილი" ქვეყანა.

გახლეჩილ ქვეყნებს ორი ფენომენი განარჩევს. მათი ლიდერები ლაპარაკობენ მათზე როგორც "ხიდზე" ორ კულტურას შორის, დამკვირვებლები კი ორსახიან იანუსს ადარებენ.

ბირთვი სახელმწიფოები და გამყოფი ხაზები

ცივილიზაციები - ადამიანთა ყველაზე მსხვილი ტომებია, ცივილიზაციათა შეჯახება კი - ტომთაშორისი კონფლიქტი გლობალური მასშტაბით. მსოფლიოში, რომელიც ახლა იქმნება, სახელმწიფოები და ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა ცივილიზაციას ეკუთვნიან, თავიანთ ინტერესებს იცავენ მესამე ცივილიზაციისაგან; საერთო მიზნიდან გამომდინარე, მათ შეუძლიათ შექმნან შეზღუდული, ამ მიზნების შესაბამისი ტაქტიკური კავშირები და კოალიციები. ურთიერთობა სხვადასხვა ცივილიზაციის ჯგუფებს შორის თითქმის არასოდეს არ იქნება ახლო და მჭიდრო; ჩვეულებრივ, იგი "ნელთბილია", ხშირად კი - მტრული. წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული კავშირები სხვადასხვა ცივილიზაციის სახელმწიფოთა შორის, მაგალითად, "ცივი ომის" დროინდელი სამხედრო კავშირები, როგორც ჩანს, სულს ღაფავენ და უკვალოდ გაქრებიან. არც იმ იმედებს უწერია ახდენა, რომლებიც უკავშირდებოდა რუსეთისა და ამერიკის ლიდერების მიერ ერთხელ წამოყენებულ ცივილიზაციათაშორისი მჭიდრო პარტნიორობის იდეას. ჩამოყალიბებადი ცივილიზაციათაშორისი ურთიერთობის ხასიათი იმერყევებს "თავშეკავებიდან" ძალის გამოყენებამდე, მაგრამ უმეტესად მათ შუა შეჩერდება. მრავალ შემთხვევაში ისინი მიუახლოვდება "ცივ მშვიდობას", რომელიც, როგორც ბორის ელცინი აღნიშნავდა, დამახასიათებელი იქნება ურთიერთობისათვის დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. სხვაგვარი ცივილიზაციათაშორისი ურთიერთობანი მეტნაკლებად "ცივი ომის" მდგომარეობის შესაფერისი იქნება. ცნება *la guerra fria* მოიგონეს ესპანელებმა XIII საუკუნეში, ხმელთაშუაზღვისპირეთის მუსლიმებთან თავიანთი "რთული თანაარსებობის" აღსანიშნავად. ჩვენი საუკუნის 90-იან წლებში ბევრმა დაინახა, როგორ ჩაღდება ხელახლა დასავლეთსა და მუსლიმებს შორის "ცივილიზაციური ცივი ომი". ცივილიზაციათა სამყაროში ეს ერთადერთი შემთხვევა არაა, რომელსაც შეესაბამება

აღნიშნული ცნება. ცივი მშვიდობა, ცივი ომი, სავაჭრო ომი, კვაზი-ომი, რთული მშვიდობა, ჩახლართული ურთიერთობანი, მძაფრი მეტოქეობა, თანაარსებობა-შეჯიბრი, გამალებული შეიარაღება - ამ ტერმინებით ყველაზე ხშირად აღინიშნება ურთიერთობა სხვადასხვა ცივილიზაციის კუთვნილ მთლიანობებს შორის. ნდობა და მეგობრობა იშვიათია. ცივილიზაციათაშორისი კონფლიქტი ორ ფორმას იღებს. ლოკალურ დონეზე წარმოიშობა კონფლიქტები გამყოფი ხაზების გასწვრივ - მეზობელ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც სხვადასხვა ცივილიზაციას ეკუთვნიან, სხვადასხვა ცივილიზაციურ ჯგუფებს შორის სახელმწიფოს შიგნით, ან კიდევ - იმ ჯგუფებს შორის, რომლებიც ცდილობენ ახალ სახელმწიფოთა შექმნას ძველის ნანგრევებზე, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიაში. კონფლიქტები გამყოფ ხაზებზე განსაკუთრებით ხშირად წარმოიშობა მუსლიმურ და არამუსლიმურ ქვეყნებს შორის. გლობალურ დონეზე წარმოიშობა კონფლიქტი სხვადასხვა ცივილიზაციის ბირთვ სახელმწიფოებს შორის. ასეთი კონფლიქტების საგანი კლასიკურია საერთაშორისო ურთიერთობისათვის. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ კონფლიქტები:

1) გავლენისათვის გლობალური პროცესების ფორმირებასა და ისეთი გლობალური საერთაშორისო ორგანიზაციების მოქმედებაზე, როგორებიცაა გაერო, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი;

2) სამხედრო ძლიერებისათვის; ასეთი კონფლიქტები ვლინდება უთანხმოებებში ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის, შეიარაღებაზე კონტროლის და სხვა საკითხთა გამო;

3) ეკონომიკური ძლიერებისა და კეთილდღეობისათვის; ეს კონფლიქტები ვლინდება კამათში ვაჭრობის, კაპიტალდაბანდებების და სხვა პრობლემათა ირგვლივ;

4) ადამიანებისათვის; ასეთი კონფლიქტები გამოწვეულია ერთი ცივილიზაციის სახელმწიფოთა მისწრაფებით, დაიცვან თავიანთი თანამომენი სხვა ცივილიზაციაში, დისკრიმინაცია მოახდინონ ან გაამევიონ თავიანთი ტერიტორიიდან სხვა ცივილიზაციათა წარმომადგენლები;

5) მორალური ფასეულობებისა და კულტურისათვის; ასეთი კონფლიქტები წარმოიშობა მაშინ, როცა სახელმწიფო, სხვა ცივილიზაციათა ხალხებთან ურთიერთობის დროს, ცდილობს დანერგოს და თავს მოახვიოს მათ საკუთარი ფასეულობები;

6) დროდადრო - ტერიტორიებისათვის; ასეთ შემთხვევებში ბირთვისეული ("გულის") სახელმწიფოები მონაწილეობენ კონფლიქტებში ცივილიზაციათა გამყოფ მიჯნებზე და წინა რიგებში იბრძვიან.

ცხადია, ეს პრობლემები ოდითგან იყო ადამიანთა შორის კონფლიქტების წყარო. მაგრამ თუ მათში ჩართულია სახელმწიფოები, რომლებიც სხვადასხვა ცივილიზაციას ეკუთვნიან, კულტურული განსხვავება ამწვავებს კონფლიქტს. ერთმანეთთან დაპირისპირებაში ბირთვი სახელმწიფოები ცდილობენ თავიანთი ცივილიზაციური კოჰორტის შემჭიდროებას, სხვა ცივილიზაციათა მხარდაჭერის მოპოვებას, განხეთქილების შეტანას მოწინააღმდეგე ცივილიზაციის რიგებში. თავიანთი მიზნების მისაღწევად ეს ქვეყნები მიმართავენ დიპლომატიურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საიდუმლო მოქმედებებს, პროპაგანდისტულ ზემოქმედებასა და იძულებასთან ერთად. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ბირთვმა სახელმწიფოებმა პირდაპირ გამოიყენონ ძალა ერთმანეთის წინააღმდეგ - იმ სიტუაციათა გამოკლებით, როგორც არსებობს მახლობელ აღმოსავლეთსა და ინდოსტანში, სადაც ისინი ერთმანეთს ესაზღვრებიან ცივილიზაციის გამყოფ მიჯნათა გასწვრივ. სხვა შემთხვევაში ომი ბირთვ სახელმწიფოებს შორის მოსალოდნელია ორი გარემოების არსებობის შემთხვევაში. პირველი, მათ შეიძლება იფეთქონ ლოკალურ ჯგუფებს შორის მაშინ, როცა კონფლიქტი გამყოფი მიჯნის გასწვრივ ესკალირდება და თანამომენი, მათ შორის ბირთვი სახელმწიფოები, ირაზმებიან ლოკალური მეომარი მხარეების მხარდასაჭერად. ამასთან, დაპირისპირებულ ცივილიზაციათა ბირთვი სახელმწიფოებისათვის ასეთი პერსპექტივა წარმოადგენს ძლიერ სტიმულს გამყოფი მიჯნის გასწვრივ კონფლიქტის შეკავების ან მოგვარებისათვის. მეორე, ომი ბირთვ სახელმწიფოებს შორის შეიძლება დაიწყოს ცივილიზაციათა შორის ძალთა გლობალური თანაფარდობის შეცვლის გამო. მაგალითად, თუკიდიდე თვლიდა, რომ პელოპონესის ომი ძველბერძნული ცივილიზაციის შიგნით ათენის ძლიერების ზრდის გამო. სწორედ ასევე, დასავლური ცივილიზაციის ისტორია - ესაა ისტორია "ჰეგემონიისათვის ომისა" სახელმწიფოებს შორის, რომლებიც განიცდიდნენ აღმავლობასა და დაცემას. რამდენად განაპირობებს ერთნაირი ფაქტორები კონფლიქტების გამწვავებას სხვადასხვა ცივილიზაციათა ბირთვ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც აღმავლობის ან დაცემის გზაზე დგანან, დამოკიდებულია იმაზე, ახალი სახელმწიფოს აღმავლობისადმი დამოკიდებულებისა და შეგუების რა ფორმას ირჩევენ ამ ცივილიზაციებშიც ბალანსის შენარჩუნებას თუ გამარჯვებულისადმი

მიმხრობას. მეორე ფორმა, ალბათ, უფრო დამახასიათებელია აზიური ცივილიზაციებისათვის, ჩინეთის სახელმწიფოს აღმავლობა კი, როგორც ჩანს, უბიძგებს სხვა ცივილიზაციათა სახელმწიფოებს (აშშ, ინდოეთი, რუსეთი), შეეცადონ ამ ძვრის დაბალანსებას. ის, რომ დასავლეთის ისტორია გადაურჩა ჰეგემონიისათვის ომს დიდ ბრიტანეთსა და აშშ შორის, ხოლო გადანაცვლება Pax Britanica-დან Pax Americana-საკენ, შეიძლება ითქვას, მშვიდობიანად დამთავრდა, მნიშვნელოვანწილად აიხსნება ორი საზოგადოების მჭიდრო კულტურული ნათესაობით. ასეთი ნათესაობის არარსებობა დასავლეთსა და ჩინეთს შორის ბალანსის შეცვლის პირობებში კონფლიქტს გარდუვალს არ ხდის, მაგრამ ზრდის მის შესაძლებლობას. ისლამის დინამიზმი მუდმივ წყაროდ იქცევა მრავალრიცხოვანი შედარებით მცირე ომებისათვის გამყოფი მიჯნების გასწვრივ; ჩინეთის აღმავლობა პოტენციური წყაროა მსხვილი ცივილიზაციათაშორისი ომისათვის ბირთვ სახელმწიფოებს შორის.

ისლამი და დასავლეთი

ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსი, მათ შორის პრეზიდენტი ბილ კლინტონი, ამტკიცებდა, რომ დასავლეთს პრობლემები აქვს არა ისლამთან, არამედ მხოლოდ მძვინვარე მუსლიმ ექსტრემისტებთან მიმართებაში. ისტორიის თოთხმეტი საუკუნე საწინააღმდეგოს მეტყველებს. ურთიერთობა ისლამსა და ქრისტიანობას - როგორც დასავლურს, ისე აღმოსავლურს - შორის ხშირად ფრიად შფოთიანი იყო. თითოეული მათგანი მეორისათვის "სხვა" იყო. კონფლიქტი ლიბერალურ დემოკრატიასა და მარქსიზმ-ლენინიზმს შორის XX საუკუნეში - მხოლოდ უმნიშვნელო და ზედაპირული ისტორიული ფენომენია ისლამსა და ქრისტიანობას შორის განუწყვეტელ, ღრმა კონფლიქტურ ურთიერთობასთან შედარებით. დროდადრო იყო მშვიდობიანი თანაარსებობაც, მაგრამ უფრო ხშირად ურთიერთობა იღებდა მძაფრი მეტოქეობის ან მეტ-ნაკლებად "ცხელი" ომის სახეს. ჯონ ესპოზიტო წერდა, რომ "ისტორიული განვითარება... ხშირად აყენებდა ამ ორ საზოგადოებას კონკურენტთა მდგომარეობაში, დროდადრო კი ისინი სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ ერთმანეთს ძალაუფლების, მიწისა და სულებისათვის". საუკუნეთა მანძილზე ორი რელიგიის ბედი შედგებოდა ურთიერთმომდევნო აღმავლობა-დაცემათაგან, რომლებიც წააგავდნენ უზარმაზალ ტალღებსა და მათ შორის სიმშვიდეს.

საწყის არაბულ-ისლამურ ნახტომს (VII საუკუნის დასაწყისიდან VIII საუკუნის შუა ხანებამდე) მოჰყვა ისლამის ბატონობის დამყარება

ჩრდილოეთ აფრიკაში, იბერიაში, მახლობელ და შუა აღმოსავლეთში, სპარსეთსა და ჩრდილოეთ ინდოეთში. შემდეგ ისლამისა და ქრისტიანობის გამყოფი მიჯნა სტაბილური იყო დაახლოებით ორი საუკუნის მანძილზე. XII საუკუნის ბოლოს ქრისტიანებმა აღიდგინეს კონტროლი დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთზე, დაიპყრეს სიცილია და მიიტაცეს ტოლედო. 1095 წელს ქრისტიანებმა დაიწყეს ჯვაროსნული ლაშქრობები და საუკუნენახევრის განმავლობაში თანდათან სულ უფრო ნაკლები წარმატებით ცდილობდნენ ქრისტიანული მმართველობის აღდგენას წმინდა მიწასა და მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე მახლობელ აღმოსავლეთში; 1291 წელს მათ დაკარგეს უკანასკნელი საყრდენი - აკრა. ამასობაში ასპარეზზე გამოჩნდნენ თურქ-ოსმალები. მათ ჯერ ბიზანტია დაასუსტეს და დაიმორჩილეს ბალკანეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის დიდი ნაწილი. 1453 წელს მათ დაიპყრეს კონსტანტინოპოლი, 1529 წელს კი ვენა. "თითქმის ათასი წლის განმავლობაში, - შენიშნავდა ბერნარ ლუისი, - დაწყებული მავრების პირველი გამოჩენით ესპანეთში, თურქების მხრივ ვენის მეორე ალყამდე ევროპას ისლამის მხრივ მუდმივი საფრთხე ემუქრებოდა". ისლამი ერთადერთი ცივილიზაციაა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა დასავლეთის არსებობის შენარჩუნებას, თანაც ასეთი რამ, სულ მცირე, ორჯერ მაინც მოხდა.

XV საუკუნეში ვითარება თანდათან იცვლება. ქრისტიანები ნელ-ნელა იბრუნებენ იბერიის ნახევარკუნძულს, აგვირგვინებენ რა ამ ამოცანის გადაწყვეტას 1492 წელს გრენადაში. ევროპელთა წარმატებებმა ზღვაოსნობაში პორტუგალებსა და სხვა ევროპელებს საშუალება მისცა, შემოევლოთ ისლამური ჰართლენდისათვის, მიეღწიათ ინდოეთის ოკეანისათვის და მის იქით გასულიყვნენ. ამავე დროს რუსებმა ბოლო მოუღეს მონღოლთა ორსაუკუნოვან უღელს. შემდეგ ოსმალთა იმპერიამ უკანასკნელად სცადა წინ გაჭრა და 1683 წელს ოსმალები კვლავ გარსშემოერთყნენ ვენას. მათი დამარცხება გახდა ხანგრძლივი უკანდახევის დასაწყისი, რომელსაც მოჰყვა ბალკანეთის მართლმადიდებელი ხალხების ბრძოლა ისმალთაგან გათავისუფლებისათვის, ჰაბსბურგთა იმპერიის გაფართოება და რუსების დრამატული შეტევა შავი ზღვისა და კავკასიის მიმართულებით. ერთი საუკუნის განმავლობაში "ქრისტიანობის რისხვა" "ევროპის ავადმყოფად" იქცა. პირველ მსოფლიო ომის ბოლოს ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და იტალიამ სასიკვდილო დარტყმა მიაყენეს მას და ოსმალთა ხელში დარჩენილ მიწებზე, თურქეთის რესპუბლიკის გამოკლებით, პირდაპირი ან არაპირდაპირი მმართველობა დაამყარეს. 1920 წლისათვის მხოლოდ ოთხი ისლამური ქვეყანა - თურქეთი, საუდის არაბეთი, ირანი და

ავღანეთი - რჩებოდა თავისუფალი არამუსლიმური მმართველობის ამა თუ იმ ფორმისაგან.

თავის მხრივ, დასავლური კოლონიალიზმის უკანდახევა დაიწყო 20-30-იან წლებში და დრამატულად დაჩქარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. საბჭოთა კავშირის დაშლამ კიდევ რამდენიმე ისლამურ საზოგადოებას მოუტანა თავისუფლება. ერთ-ერთი გამოთვლით, 1757-1919 წლებს შორის არამუსლიმურ მთავრობებს ისლამურ ტერიტორიებზე 90-ზე მეტი შენაძენი ჰქონდათ. 1995 წლისათვის მათგან 69 კვლავ მუსლიმთა კონტროლქვეშ იყო, 45 დამოუკიდებელ სახელმწიფოში კი მაჰმადიანი მოსახლეობა ჭარბობდა. ამ ცვლილებათა ძალადობრივი ბუნება აისახა იმ ფაქტში, რომ 50 პროცენტს იმ ომებიდან, რომელთაც ადგილი ჰქონდა 1820-1929 წლებში განსხვავებული რელიგიის მქონე სახელმწიფოთა წყვილებს შორის, შეადგენდა მაჰმადიანთა და ქრისტიანთა ომები.

კონფლიქტის ამ მოდელის მუდმივობის მიზეზები არ იძებნება ისეთ წარმავალ ფენომენებში, როგორცაა ქრისტიანული პასიონარობა XII საუკუნეში ან XX საუკუნის ისლამური ფუნდამენტალიზმი. ისინი მომდინარეობენ ამ ორი რელიგიისა და მათზე დამყარებული ცივილიზაციების ბუნებიდან. ერთის მხრივ, კონფლიქტმა წარმოშვა განსხვავება და, პირველ რიგში, ისლამის, როგორც ცხოვრების წესის გაგება, რომელიც სცილდება რელიგიისა და პოლიტიკის ფარგლებს და აერთიანებს მაჰმადიანებს; ეს ეწინააღმდეგება დასავლურქრისტიანულ კონცეფციას ღმერთისა და კეისრის კუთვნილის განსხვავების შესახებ. მაგრამ კონფლიქტი მომდინარეობდა ორი რელიგიის მსგავსი ნიშნებისგანაც. ორივე მათგანი მონოთეისტურია და, პოლითეისტური რელიგიებისაგან განსხვავებით, არ შეუძლია ახალი ღმერთების მიღება; ორივე აღწერს სამყაროს დუალისტური ცნებებით "ჩვენ" და "ისინი". ორივე უნივერსალისტურია და პრეტენზიას აცხადებს ერთადერთ ჭეშმარიტ სარწმუნოებად ყოფნაზე, რომელსაც შეიძლება შეუერთდეს ყველა ხალხი. ორივე რელიგია ხასიათით მისიონერულია და დამყარებულია იმის რწმენაზე, რომ მისი მიმდევრები მოვალენი არიან, ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქციონ ურწმუნონი. წარმოშობის დროიდან, ისლამი ყოველთვის ფართოვდებოდა დაპყრობათა გზით; ხელსაყრელ შემთხვევაში იგივეს აკეთებდა ქრისტიანობა. "ჯიხადისა" და "ჯვაროსნული ომის" პარალელური კონცეფციები არა მხოლოდ ჰგავდა ერთმანეთს, არამედ განასხვავებდა ამ ორ რელიგიას სხვა მსოფლიო რელიგიებისაგან. ისლამსა და ქრისტიანობას, იუდაიზმთან ერთად, გააჩნია ტელეოლოგიური შეხედულება ისტორიაზე, განსხვავებით

ციკლური და სტატიკური ხედვისაგან, რომლებიც ჭარბობს სხვა ცივილიზაციებში.

მკაცრ კონფლიქტზე ისლამსა და ქრისტიანობას შორის დროდადრო გავლენას ახდენდა დემოგრაფიული აღმავლობა-დაქვეითება, ეკონომიკური განვითარება, ტექნოლოგიური ცვლილებანი და რელიგიური მრწამსის ინტენსივობა. ისლამის გავრცელებას VII საუკუნეში თან სდევდა "თავისი მასშტაბითა და სისწრაფით უპრეცედენტო" მიგრაცია არაბი ხალხებისა ბიზანტიისა და სასანიდთა იმპერიების მიწებზე. ჯვაროსნული ომები რამდენიმე საუკუნის შემდეგ იყო პროდუქტი ეკონომიკური განვითარებისა, მოსახლეობის რიცხვის ზრდისა, რამაც შესაძლებელი გახადა რაინდთა და გლეხთა დიდი რაოდენობის მობილიზება წმინდა მიწაზე სალაშქროდ. როცა პირველმა ჯვაროსანმა კონსტანტინოპოლს მიაღწია, ერთმა ბიზანტიელმა დამკვირვებელმა დაწერაყ "მთელმა დასავლეთმა, მათ შორის ადრიატიკის ზღვასა და ჰერკულესის სვეტებს შორის მცხოვრებმა ბარბაროსმა ტომებმა, დაიწყეს გადმოსახლება და მოდიოდნენ აზიაში დიდ მასებად, მთელი ავლადიდებით". XIX საუკუნეში მოსახლეობის შთამბეჭდავ ზრდას კვლავ მოჰყვა "ვულკანის ამორფქვევა" ევროპიდან - ისტორიაში უდიდესი გადასახლება ისლამური და სხვა მიწებისაკენ. ფაქტების ერთობლიობამ გაამწვავა კონფლიქტი ისლამსა და დასავლეთს შორის XX საუკუნის ბოლოს. ჯერ ერთი, ისლამური მოსახლეობის ზრდას მოჰყვა უმუშევართა და უკმაყოფილო ახალგაზრდობის რიცხვის მატება, რომელთა რიგებიდან ხდებოდა ისლამისტური საქმის მომხრეთა რეკრუტირება. ისინი ზეწოლას ახდენდნენ მეზობელ საზოგადოებებზე და სახლდებოდნენ დასავლეთში. მეორე, ისლამურმა აღორძინებამ მაჰმადიანები ხელახლა დაარწმუნა თავიანთი ცივილიზაციის, საკუთარ ფასეულობათა განსხვავებულობასა და უპირატესობაში დასავლეთთან შედარებით. მესამე, დასავლეთის მუდმივმა მცდელობამ, საყოველთაო გაეხადა თავისი ფასეულობანი და ინსტიტუტები, შეენარჩუნებინა სამხედრო და ეკონომიკური უპირატესობა, აგრეთვე ჩარეულიყო ისლამური სამყაროს შინაგან კონფლიქტებში, მაჰმადიანთა ძლიერი აღშფოთება გამოიწვია. მეოთხე, კომუნისმის დაცემასთან ერთად გაქრა დასავლეთისა და ისლამის საერთო მტერი, სამაგიეროდ თითოეული მათგანი იქცა სერიოზულ საფრთხედ მეორისათვის. მეხუთე, მაჰმადიანთა და დასავლელთა შორის კონტაქტის გაძლიერება, მათი შერევა ორივე მხარეს განუმტკიცებს საკუთარი იდენტურობის შეგრძნებას და იმის შეგნებას, რომ ეს იდენტურობა მათ ერთმანეთს აშორებს. ურთიერთქმედებამ და შერევამ გაამწვავა აგრეთვე განსხვავება

უფლებათა გაგებაში, რომლებიც გააჩნიათ ერთი ცივილიზაციის ადამიანებს ქვეყანაში, სადაც რიცხოვრებად მეორე ცივილიზაციის წარმომადგენლები ჭარბობენ. 80-90-იან წლებში როგორც ისლამურ, ისე ქრისტიანულ საზოგადოებებში მკვეთრად დაქვეითდა ურთიერთმემწყნარებლობა.

ცივილიზაციები და ბირთვი სახელმწიფოები. ახალი კონფიგურაციები

სამი "მერყევი" ცივილიზაციის ბირთვი ქვეყნები საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვან მოქმედ პირებად გვევლინებიან; დასავლეთთან და ყველა მათგანთან, ვისგანაც ისინი გამოწვევას იღებენ, ეს ქვეყნები, როგორც ჩანს, შერეულ, ორმაგ და არამყარ ურთიერთობებს დაამყარებენ. შეიცვლება თვით მათი ურთიერთობაც. იაპონია, როგორც უკვე ვაჩვენეთ, ფასეულობათა მტკივნეული გადაფასების შემდეგ, ალბათ, ჩამოშორდება შეერთებულ შტატებს, რათა დაუახლოვდეს ჩინეთს. როგორც "ცივი ომის" პერიოდის ყველა ცივილიზაციათაშორისი კავშირი, იაპონიისა და აშშ კავშირებიც უსაფრთხოების სფეროში შესუსტდება, თუმცა ფორმალურად, ალბათ, არასდროს გაწყდება. იაპონიის ურთიერთობა რუსეთთან კვლავინდებურად რთული დარჩება, რამდენადაც რუსეთი უარს ამბობს კომპრომისზე კურილის კუნძულების საკითხში, რომლებიც ოკუპირებული იქნა მის მიერ 1945 წელს. მომენტი "ცივი ომის" ბოლოს, როცა ამ საკითხის გადაწყვეტა შეიძლებოდა, რუსული ნაციონალიზმის აღმავლობის გამო, ხანმოკლე აღმოჩნდა, და აშშ-თვის არავითარი აზრი აღარა აქვს შემდგომში იაპონიის მოთხოვნათა მხარდაჭერას, როგორც ამას ადრე ვაკეთებდით.

"ცივი ომის" ბოლო ათწლეულებში ჩინეთმა წარმატებით გაათამაშა "ჩინური ბანქო" საბჭოთა კავშირისა და აშშ წინააღმდეგ. ამ ომის დამთავრების შემდეგ რუსეთმა უნდა გაათამაშოს "რუსული ბანქო". რუსეთსა და ჩინეთს, ძალთა გაერთიანების შემთხვევაში, შეუძლიათ ძირეულად შეცვალონ ევროაზიური ბალანსი დასავლეთის საზიანოდ და ააღორძინონ ყველა საფრთხე, რომლებიც არსებობდა 50-იან წლებში ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებთან დაკავშირებით, ხოლო დასავლეთთან ხელჩაკიდებული რუსეთი გლობალურ საკითხებში დამატებითი საპირისწონე აღმოჩნდებოდა კონფუციურ-ისლამურ კავშირთან მიმართებაში; ეს ჩინეთში ააღორძინებდა "ცივი ომის" დროინდელ შიშს ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი თავდასხმის გამო. მაგრამ რუსეთს თავისი პრობლემები აქვს ორივე მეზობელ

ცივილიზაციასთან ურთიერთობაში. რაც შეეხება მის ურთიერთობას დასავლეთთან, ეს პრობლემები, როგორც ჩანს, წარმავალი იქნება. "ცივი ომი" დასრულდა და გაჩნდა რუსეთსა და დასავლეთს შორის ბალანსის ხელახალი განსაზღვრის საჭიროება. ორივე მხარე უნდა შეთანხმდეს პრინციპული თანასწორობისა და თითოეულის გავლენის სფეროების შესახებ. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ:

- რუსეთი დათანხმდება ევროკავშირისა და ნატოს გაფართოებას, მათში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დასავლურქრისტიანული ქვეყნების ჩართვას, დასავლეთი კი ვალდებულიებას აიღებს არ გააფართოოს ნატო უფრო აღმოსავლეთით - თუკი უკრაინა არ გაიხლიჩება ორ სახელმწიფოდ;
- რუსეთი და ნატო დადებენ ხელშეკრულებას პარტნიორობის შესახებ, რომელიც საზღვრებს დაამტკიცებს ურთიერთთავდაუხსმელობის პრინციპს, აგრეთვე შეთანხმებას უსაფრთხოების პრობლემებზე რეგულარული კონსულტაციების თაობაზე, ერთობლივ ძალისხმევას შეიარაღების ზრდის თავიდან აცილებისა და შეიარაღების შემცირებისათვის, რაც უპასუხებდა უსაფრთხოების მოთხოვნებს იმ სახით, რომელიც მათ მიიღეს "ცივი ომის" დასრულების შემდეგ;
- დასავლეთი აღიარებს რუსეთს სახელმწიფოდ, რომელსაც ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მართლმადიდებლურ ქვეყნებში და იმ რაიონებში, სადაც მართლმადიდებლობა დომინირებს;
- დასავლეთი აღიარებს, რომ სამხრეთში, მუსლიმ ხალხებთან ურთიერთობაში, რუსეთი აწყდება პრობლემებს უსაფრთხოების სფეროში - როგორც რეალურს, ასევე პოტენციურს; დასავლეთი მზად იქნება გადასინჯოს შეთანხმება ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ევროპაში, აგრეთვე კეთილგანწყობას გამოამდგენებს სხვა ნაბიჯებისადმი, რომელთა გადადგმა დაჭირდება რუსეთს ასეთი საფრთხის წინაშე.
- რუსეთი და დასავლეთი დადებენ შეთანხმებას თანასწორუფლებიან თანამშრომლობაზე ბოსნიის ტიპის პრობლემათა მოგვარებაში, სადაც საქმე ეხება როგორც დასავლეთის, ისე მართლმადიდებელთა ინტერესებს.

თუ ამ და სხვა მსგავსი მიმართულებებით შეთანხმების მიღწევა მოხერხდება, საფიქრებელია, რომ აღარც რუსეთი და აღარც დასავლეთი აღარ შეუქმნიან ერთმანეთს ხანგრძლივ გამოწვევებს უსაფრთხოების სფეროში. ევროპაცა და რუსეთიც დემოგრაფიული თვალსაზრისით

მომწიფებული საზოგადოებებია, შობადობის დაბალი დონით და დაბერებადი მოსახლეობით ასეთ საზოგადოებებს არ გააჩნიათ ახალგაზრდული შემართება ექსპანსიისა და შეტევისათვის. "ცივი ომის" დამთავრებისთანავე რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობებში გაძლიერდა თანამშრომლობის ელემენტები. მოხერხდა სასაზღვრო დავის მოგვარება, შეიარაღებული ძალების შემცირება საზღვრის ორივე მხარეს, ვაჭრობის გაფართოება. არც ერთი მხარე მეორეს არ უმიზნებს რაკეტებს, საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაიწყეს ისლამური ფუნდამენტალიზმისადმი წინააღმდეგობის საერთო დაინტერესების შესწავლა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ რუსეთმა ჩინეთის სახით იპოვნა შეიარაღებისა და სამხედრო ტექნოლოგიის სოლიდური მყიდველი, მათ შორის ტანკების, გამანადგურებლების, სტრატეგიული ბომბდამშენების და "დედამიწა-ჰერის" კლასის რაკეტებისა. რუსეთის თვალსაზრისით, ურთიერთობათა ასეთი "დათბობა" შედეგი იყო, ჯერ ერთი, შეგნებული გადაწყვეტილებისა ჩინეთთან, როგორც აზიელ "პარტნიორთან" თანამშრომლობის შესახებ, რადგან იაპონიასთან ურთიერთობა კვლავ "ცივი" რჩებოდა, და მეორე, ეს იყო რეაქცია კონფლიქტებზე დასავლეთთან ნატოს გაფართოების, ეკონომიკური რეფორმების, შეიარაღების კონტროლის, ეკონომიკური დახმარებისა და დასავლურ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობის თაობაზე. თავის მხრივ, ჩინეთმა მიიღო დასავლეთისათვის იმის დემონსტრირების შესაძლებლობა, რომ იგი მარტო არ არის და შეუძლია შეიძინოს საომარი საშუალებანი, რომლებიც ჭირდება რეგიონში ძალის პროექციის სტრატეგიის განსახორციელებლად. ორივე მხარისათვის რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობა, ისევე როგორც კონფუციურ-ისლამური, აღნიშნავს წინააღმდეგობას დასავლეთის ძალისა და უნივერსალიზმისადმი. შენარჩუნებული იქნება თუ არა ეს კავშირი და აღმოჩნდება თუ არა იგი ხანგრძლივი - პასუხი ორ მომენტზეა დამოკიდებული. პირველი, სტაბილიზდება თუ არა რუსეთის ურთიერთობა დასავლეთთან ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე; მეორე, რამდენად დაემუქრება ჩინეთის ჰეგემონიის გაძლიერება რუსეთის ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და სამხედრო ინტერესებს. ჩინეთის ეკონომიკური დინამიზმი ციმბირს გადასწვდა, ჩინელი ბიზნესმენები, კორეელებთან და იაპონელებთან ერთად, სწავლობდნენ და იყენებდნენ იქაურ შესაძლებლობებს. ციმბირელები თავიანთ ეკონომიკურ მომავალს ხედავენ უფრო აღმოსავლეთ აზიასთან, ვიდრე ევროპულ რუსეთთან კავშირში. სულ უფრო საშიში ხდება არალეგალური ჩინური იმიგრაცია ციმბირში,

რომელმაც 1995 წელს თითქოს უკვე მიაღწია 3-5 მილიონს (შედარებისთვის რუსეთელები აღმოსავლეთ ციმბირში 7 მილიონია).

”ჩინელები მშვიდობიანი გზით იპყრობენ რუსულ შორეულ აღმოსავლეთს”, - გაფრთხილებას იძლეოდა რუსეთის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი. მას ბანს აძლევდა იმიგრაციული ხელისუფლების მაღალჩინოსანი წარმომადგენელი ”ჩვენ წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ ჩინურ ექსპანსიონიზმს”. ამას გარდა, რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობის გამწვავება შეუძლია ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას ჩინეთსა და ცენტრალური აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. ჩინეთის ექსპანსიამ შეიძლება სამხედრო ხასიათი მიიღოს - თუ ჩინეთი გადაწყვეტს, რომ მან უნდა დაიბრუნოს მონღოლეთი (რუსებმა იგი მას პირველი მსოფლიო ომის დროს ჩამოაჭრეს და ბოლო ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა სატელიტი იყო). რაღაც მომენტში ”ყვითელი ურდოები”, რომლებიც აშფოთებდა რუსეთის წარმოსახვას მონღოლთა შემოსევის დროიდან, შეიძლება კვლავ რეალობად იქცეს.

რუსეთის ურთიერთობას ისლამთან თავისი დადი დაასვა მისმა მრავალსაუკუნოვანმა ექსპანსიამ თურქების, ჩრდილო კავკასიის ხალხებისა და შუა აზიის ემირატების წინააღმდეგ. ამამად რუსეთი თანამშრომლობს თავის მართლმადიდებელ მოკავშირეებთან - სერბიასა და საბერძნეთთან, ცდილობს წინ აღუდგეს თურქეთის გავლენას ბალკანეთში; რუსეთი თანამშრომლობს კიდევ ერთ მართლმადიდებელ მოკავშირესთან - სომხეთთან, რათა შეზღუდოს თურქეთის გავლენა კავკასიაში. რუსეთი აქტიურად ცდილობდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ზემოქმედებას ცენტრალურაზიურ რესპუბლიკებზე, ჩართო რა ისინი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში და თითოეული მათგანის ტერიტორიაზე განათავსა თავისი შეიარაღებული ძალები. რუსეთის საზრუნავთაგან ცენტრალური ადგილი უჭირავს კასპიის ნავთობისა და გაზის საკითხს, აგრეთვე მარშრუტს, რომლითაც ეს ბუნებრივი რესურსები მიეწოდება დასავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპას. რუსეთი, ერთის მხრივ, ეომებოდა ჩეჩნეთის მაჰმადიან ხალხს ჩრდილოეთ კავკასიაში, მეორე მხრივ კი ტაჯიკეთში მხარს უჭერდა მთავრობას აჯანყებულთა წინააღმდეგ, რომელთა რიგებში ისლამისტი ფუნდამენტალისტები იყვნენ. ეს პრობლემები კიდევ ერთ სტიმულს ქმნიან ჩინეთთან თანამშრომლობისათვის, ცენტრალურ აზიაში ”ისლამური საფრთხის” შეკავების პირობებში. იგივე პრობლემები წარმოადგენს ძირითად მოტივს ირანთან რუსეთის დაახლოებისათვის. რუსეთმა ირანს მიჰყვიდა წყალქვეშა ნავები, ულტრათანამედროვე

გამანადგურებელი, ზომბდამშენები, "დედამიწა-ჰაერის" კლასის რაკეტები, სადაზვერვო და ელექტრონული სამხედრო აღჭურვილობა.

ამას გარდა, რუსეთი დათანხმდა ირანში ბირთვული რეაქტორის აშენებას და ირანისათვის ურანის გამამდიდრებელი აღჭურვილობის გადაცემას. სანაცვლოდ, იგი არაორაზროვნად მოელის, რომ ირანი შეაკავებს ფუნდამენტალიზმის გავრცელებას ცენტრალურ აზიაში და არაპირდაპირ წინ აღუდგება თურქეთის გავლენის გაფართოებას იქვე და კავკასიაში. უახლოეს ათწლეულებში რუსეთის ურთიერთობა ისლამთან დამოკიდებული იქნება ძირითადად იმაზე, თუ როგორ აღიქვამს იგი მის სამხრეთ პერიფერიაზე მაჰმადიანი მოსახლეობის სწრაფი ზრდიდან გამომდინარე საფრთხეს.

"ცივი ომის" დროს მესამე "მერყევი" ბირთვი სახელმწიფო - ინდოეთი - საბჭოთა კავშირის მოკავშირე იყო და ეომებოდა ჩინეთს, რამდენჯერმე - პაკისტანს. როცა მისი ურთიერთობა დასავლეთთან, განსაკუთრებით აშშ-თან მწვავე არ იყო, ისინი გაუცხოებულნი იყვნენ. "ცივი ომის" დამთავრების შემდეგ ინდოეთის ურთიერთობა პაკისტანთან, ალბათ, ფრიად კონფლიქტური იქნება - ქაშმირის, ბირთვული შეიარაღების და ინდოსტანის ნახევარკუნძულზე სამხედრო ძალთა საერთო თანაფარდობის გამო. სანამ პაკისტანი ახერხებს ისლამური ქვეყნების მხარდაჭერის უზრუნველყოფას, ინდოეთის ურთიერთობა ისლამურ სამყაროსთან რთული დარჩება. პაკისტანის საწინააღმდეგოდ, ინდოეთი, როგორც ჩანს, საგანგებო ზომებს მიმართავს, რათა დაარწმუნოს ზოგიერთი ისლამური ქვეყანა პაკისტანისგან დისტანცირების საჭიროებაში. მან ასეთი ნაბიჯი უკვე გადადგა წარსულში. "ცივი ომის" დამთავრების შემდეგ ჩინეთის მცდელობა - დაემყარებინა მეგობრული ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან - ინდოეთსაც შეეხო და მათ შორის დამაბულობა შენელდა. მაგრამ საეჭვოა, რომ ეს ტენდენცია ხანგრძლივი აღმოჩნდეს. ჩინეთი აქტიურადაა ჩაბმული სამხრეთაზიურ პოლიტიკაში და, როგორც ჩანს, ამ ხაზს მომავალშიც გააგრძელებს შეეცდება მჭიდრო ურთიერთობის შენარჩუნებას პაკისტანთან, ამ უკანასკნელის ბირთვული და ჩვეულებრივი სამხედრო პოტენციალის გამოყენებას, მიანმას ეკონომიკურ და სამხედრო მხარდაჭერას, იმავე დროს კი იქ სამხედრო-საზღვაო ბაზების შექმნას. ჩინეთის ძლიერება მატულობს ახლა, ინდოეთისამ კი შეიძლება საგრძნობლად მოიმატოს XXI საუკუნის დასაწყისში. კონფლიქტი ფრიად მოსალოდნელი ჩანს. როგორც ერთმა ანალიტიკოსმა შენიშნა, "ფარული მეტოქეობა აზიის ორ გიგანტს შორის, მათი წარმოდგენა საკუთარ თავზე როგორც დიდ სახელმწიფოებზე,

ცივილიზაციისა და კულტურის ცენტრებზე შემდგომშიც უბიძგებს მათ იქით, რომ მხარი დაუჭირონ სხვადასხვა ქვეყნებსა და კურსებს. ინდოეთი შეეცდება იქცეს არა მხოლოდ ძალთა დამოუკიდებელ ცენტრად მრავალპოლარულ სამყაროში, არამედ ჩინეთის ძალისა და გავლენის გამაწონასწორებლადაც”.

წინააღმდეგია რა ჩინეთ-პაკისტანის ალიანსისა, ინდოეთი დაინტერესებული იქნება რუსეთთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნებით და დარჩება რუსული იარაღის უმსხვილეს მყიდველად. 90-იანი წლების შუა ხანებში ინდოეთი რუსეთისაგან ყიდულობდა იარაღის ყველა უმნიშვნელოვანეს სახეობას, მათ შორის ავიამზიდს და რაკეტულ კრიოგენურ ტექნოლოგიას, რასაც მოჰყვა სანქციები აშშ მხრიდან. შეიარაღების გაუზრცელებლობის გარდა, აშშ-სა და ინდოეთს შორის არსებობს ისეთი პრობლემებიც, როგორცაა ადამიანთა უფლებები, ქაშირი და ეკონომიკური ლიბერალიზაცია. დროთა განმავლობაში, როგორც ჩანს, ამერიკა-პაკისტანის ურთიერთობა განელდება და ჩინეთის შეკავების საერთო ინტერესი დაახლოებს ინდოეთსა და აშშ-ს. ინდოეთის ძალის გავრცელება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაზე ვერ ავენებს ამერიკის ინტერესებს, სამაგიეროდ, შეიძლება დაეხმაროს მათ. ურთიერთობა ცივილიზაციებსა და ბირთვ სახელმწიფოებს შორის რთულია, არაერთგვაროვანი და ცვალებადი. სხვა ცივილიზაციის სახელმწიფოებთან ურთიერთობის დროს, ნებისმიერი ცივილიზაციის სახელმწიფოთა უმრავლესობა, როგორც წესი, ბირთვი სახელმწიფოების მაგალითს მიჰყვება. მაგრამ ყოველთვის ასე არ იქნება. ცხადია, ერთი და იგივე ცივილიზაციის ყველა სახელმწიფოს არ ექნება იდენტური ურთიერთობა სხვა ცივილიზაციის ყველა სახელმწიფოსთან. საერთო ინტერესებმა (ჩვეულებრივ, საერთო მოწინააღმდეგის არსებობა მესამე ცივილიზაციაში) შეიძლება წარმოშვას თანამშრომლობა სხვადასხვა ცივილიზაციის სახელმწიფოთა შორის. რა თქმა უნდა, კონფლიქტებს ადგილი აქვს ცივილიზაციის შიგნითაც, განსაკუთრებით - ისლამურ ცივილიზაციაში. ამასთან, ურთიერთობა გამყოფი მიჯნების გასწვრივ მცხოვრებ ჯგუფებს შორის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავებოდეს იმავე ცივილიზაციათა ბირთვი სახელმწიფოების ურთიერთობისაგან.

დასავლეთი მსოფლიოში

მსოფლიოში, სადაც კულტურულ იდენტურობას (ეთნიკურს, ეროვნულს, რელიგიურს, ცივილიზაციურს) ცენტრალური ადგილი უჭირავს, ხოლო კავშირები, ანტაგონიზმები და სახელმწიფო პოლიტიკა

ყალიბდება კულტურული სიახლოვისა თუ კულტურულ სხვაობათა გათვალისწინებით, დასავლეთმა საერთოდ და, განსაკუთრებით, აშშ-მ სამი მთავარი დასკვნა უნდა გააკეთოს.

პირველი, სახელმწიფო მოღვაწეებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ ნაყოფიერად შეცვალონ რეალობა, როცა აღიარებენ მას და კარგად ესმით იგი. ჩამოყალიბების პროცესში მყოფი პოლიტიკა, დაფუძნებული კულტურაზე, არადასავლურ ცივილიზაციათა ძლიერების ზრდა და მათი მზარდი კულტურული თავდაჯერება ფართოდაა აღიარებული არადასავლურ სამყაროში. ევროპელი ლიდერები მიუთითებდნენ კულტურულ ძალებზე, რომლებიც აახლოებენ ან აშორებენ ადამიანებს. ამერიკული ელიტა, პირიქით, უაღრესად ნელა აღიქვამს შექმნილ რეალობებს. ბუშისა და კლინტონის ადმინისტრაციები მხარს უჭერდნენ მულტიცივილიზაციური სახელმწიფოების - საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის, ბოსნიისა და რუსეთის - ერთიანობას, ამოად ცდილობდნენ რა შეეკავებინათ მძლავრი ეთნიკური და კულტურული ძალები, რომელთაც ეს ქვეყნები დანაწევრებისკენ მიჰყავდათ. ისინი მხარს უჭერდნენ მულტიცივილიზაციური ეკონომიკური ინტეგრაციის გეგმებს, რომლებიც ან უგუნური იყო, როგორც "ოპეკ"-ის შემთხვევაში, ან კი იწვევდა გაუთვალისწინებელ ეკონომიკურ და პოლიტიკურ შედეგებს - ამის მაგალითია "ნაფტა" და მექსიკა. ეს ადმინისტრაციები ცდილობდნენ მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას სხვა ცივილიზაციების ბირთვ სახელმწიფოებთან (რუსეთთან - "გლობალური პარტნიორობის" - ან საერთაშორისო ურთიერთობებში ჩინეთის "კონსტრუქციული ჩაბმის" ფორმით), თუმცა აშშ-სა და ამ ქვეყნებს შორის არსებობს ინტერესთა ბუნებრივი კონფლიქტი ამავე დროს, კლინტონის ადმინისტრაციამ ვერ შესძლო რუსეთის სრულად ჩართვა ბოსნიაში მშვიდობის დამყარების საქმეში, თუმცა ეს ომი რუსეთის, როგორც მართლმადიდებლური ცივილიზაციის ბირთვი სახელმწიფოს ინტერესებს სერიოზულად ეხებოდა. ებღაუჭებოდა რა მულტიცივილიზაციური იუგოსლავიის ქიშკას, კლინტონის ადმინისტრაციამ უარყო სერბული და ხორვატული უმცირესობის თვითგამორკვევა და ხელი შეუწყო ბალკანეთში ირანის ისლამისტური პარტნიორობის შექმნას. სწორედ ასევე, ამერიკის მთავრობამ მხარი დაუჭირა მუსლიმთა დაქვემდებარებას მართლმადიდებლური მმართველობისადმი, ბეჯითად იცავდა რა აზრს, რომ "ჩეჩნეთი, უდაოდ, რუსეთის ფედერაციის ნაწილია".

ევროპაში ფართოდ აღიარებულია გამყოფი მიჯნის არსებობა, ერთის მხრივ, დასავლურ ქრისტიანობას, მეორეს მხრივ,

მართლმადიდებლობასა და ისლამს შორის. აშშ კი, სახელმწიფო მდივნის სიტყვით, "დაუშვებლად მიიჩნევს აზრს ევროპის კათოლიკური, მართლმადიდებლური და ისლამური ნაწილების გამიჯვნის შესახებ". მაგრამ ის, ვინც ფუნდამენტურ გამიჯვნას არ აღიარებს, განწირულია მუდმივი იმედგაცრუებისათვის. თავდაპირველად ისე ჩანდა, თითქოს კლინტონის ადმინისტრაცია ვერ ამჩნევდა ბალანსის შეცვლას აშშ-სა და აღმოსავლეთაზიურ საზოგადოებებს შორის და ამიტომ დროდადრო, ზოგიერთი პრობლემის ირგვლივ, როგორც იყო ვაჭრობა, ადამიანის უფლებები ან ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა, ისეთ მიზნებს ისახავდა, რომელთა მიღწევა არ შეეძლო. აშშ მთავრობა, საერთოდ, უაღრესად რთულად ეგუებოდა ეპოქას, რომელშიც გლობალური პოლიტიკა ყალიბდება კულტურულ და ცივილიზაციურ მიმდინარეობათა ზეგავლენით.

მეორე, "ცივი ომის" დროის შესაფერისი პოლიტიკის შეცვლაზე ან მის გადასინჯვაზე უარის თქმის გამო, ზარალდებოდა ამერიკული საგარეოპოლიტიკური აზროვნებაც. ზოგიერთები ჯერ კიდევ ხედავენ საბჭოთა კავშირის აღდგენის საფრთხეს. უფრო ზოგადი ფორმით, ადამიანები ახდენენ "ცივი ომის" დროინდელი სამხედრო ალიანსების და შეიარაღების შესახებ შეთანხმებათა კანონიზებას. ისინი თვლიან, რომ ნატო ისეთივე უნდა დარჩეს, როგორც "ცივი ომის" დროს იყო, იაპონია-ამერიკის ხელშეკრულება უსაფრთხოების შესახებ აღმოსავლეთ აზიის უსაფრთხოების ცენტრალური ელემენტია, შეთანხმება რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ ურღვევია, ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ დაცული უნდა იყოს. ცხადია, "ცივი ომის" მემკვიდრეობის არც ერთი ელემენტი იოლად უკუსაგდები არ არის. მაგრამ აშშ და დასავლეთის ინტერესები არ მოითხოვს ყველა ამ შეთანხმების შენარჩუნებას "ცივი ომის" დროინდელი ფორმით. მულტიცივილიზაციური მსოფლიოს რეალობა გულისხმობს, რომ საჭიროა ნატოს გაფართოება მასში სხვა დასავლური საზოგადოებების ჩართვით, რომელთაც ამის სურვილი აქვთ. უნდა ვაღიაროთ აგრეთვე, რომ უაზრობაა ალიანსის წევრად ორი ისეთი სახელმწიფოს ყოფნა, რომლებიც ერთმანეთის დაუპინებელი მტრები არიან (თანაც არც ერთს არ გააჩნია კულტურული ნათესაობა სხვა წევრებთან). შეთანხმება რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ ადრე მოწოდებული იყო შეეკავებინა ბირთვული ომი საბჭოთა კავშირ-ამერიკას შორის, ახლა ამკარად აფერხებს აშშ-სა და სხვა ქვეყნების შესაძლებლობას, თავი დაიცვან ბირთვული საფრთხისაგან, ტერორისტულ მოძრაობათა ან უგუნურ დიქტატორთა მხრივ

თავდასხმისაგან. ამერიკა-იაპონიის შეთანხმება აბრკოლებდა საბჭოთა აგრესიას იაპონიის წინააღმდეგ. მაგრამ რა მიზანს უნდა ემსახუროს იგი "ცივი ომის" დამთავრების შემდეგ (ჩინეთის შეკავებას ან დაშინებას(ჩინეთის აღმავლობისადმი იაპონიის შეგუების პროცესის შეფერხებას(იაპონიის შემდგომი მილიტარიზაციის თავიდან აცილებას(იაპონიაში სულ უფრო მეტად დგება ექვექვემ იქ ამერიკის სამხედრო ყოფნის აუცილებლობა, ხოლო აშშ-ში - მისი ცალმხრივი ვალდებულება იაპონიის დაცვის თაობაზე. ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შემუშავდა აღმოსავლეთ ევროპაში ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულებას შორის ამ;ამად გამქრალი კონფრონტაციის შერბილების მიზნით. ახლა ეს ხელშეკრულება სირთულეებს უქმნის რუსეთს სამხრეთეთ მაჰმადიან ხალხებთან ურთიერთობაში, სადაც ის ხედავს საფრთხეს თავისი უშიშროებისათვის.

მესამე, მსოფლიოს კულტურული და ცივილიზაციური მრავალფეროვნება გამოწვევის წინაშე აყენებს დასავლურ, განსაკუთრებით კი ამერიკულ რწმენას დასავლური კულტურის უნივერსალურობის თაობაზე. ეს რწმენა გამოიხატება როგორც აღწერილობითი, ასევე ნორმატიული ფორმით. აღწერილობითი ფორმით იგი განამტკიცებს აზრს იმის თაობაზე, თითქოს ყველა საზოგადოებათა ხალხებს სურთ აითვისონ დასავლური ფასეულობანი, ინსტიტუტები და პრაქტიკა. თუ აღმოჩნდება, რომ მათ ასეთ სურვილი არა აქვთ და ისინი ინარჩუნებენ საკუთარი ტრადიციული კულტურისადმი ერთგულებას, მათში ხედავენ "ცრუ ცნობიერების" მსხვერპლთ (დაახლოებით ისე, როგორც მარქსისტები აღმოაჩენდნენ ხოლმე ასეთ ცნობიერებას პროლეტარებში, რომლებიც კაპიტალიზმს ემხრობოდნენ). ნორმატიული სახით დასავლური უნივერსალისტური რწმენა აცხადებს მთელს მსოფლიოში ადამიანებმა უნდა მიიღონ დასავლური ფასეულობანი, ინსტიტუტები და კულტურა, იმიტომ რომ მათში ხორცშესხმულია კაცობრიობის ყველაზე ამაღლებული, განათლებული, ლიბერალური, რაციონალური, თანამედროვე და ცივილიზებული აზროვნება. ეთნიკური კონფლიქტებისა და ცივილიზაციურ შეჯახებათა ფორმირებად სამყაროში დასავლურ რწმენას დასავლური კულტურის უნივერსალურობის შესახებ სამი ნაკლი აქვს. იგი მცდარია; იგი ამორალურია; იგი საშიშია. მისი მცდარობა ამ წიგნის ცენტრალური დებულებაა. აღნიშნული თეზისის მშვენიერი რეზიუმირება ეკუთვნის მაიკლ ჰოვარდს "დასავლეთში ფართოდ გავრცელებული წარმოდგენა, თითქოს კულტურული მრავალფეროვნება ისტორიული კურიოზია, რომელიც სწრაფად ქრება საერთო, დასავლეთზე ორიენტირებული,

ანგლოფონური მსოფლიო კულტურის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით... უბრალოდ არასწორია”.

რწმენა, თითქოს არადასავლურ საზოგადოებათა წარმოდგენლებმა უნდა მიიღონ დასავლური ფასეულობანი, ინსტიტუტები და კულტურა, ამორალურია, თუ გავითვალისწინებთ, რა არის აუცილებელი ამ მიზნის მისაღწევად. ევროპული სიძლიერის თითქმის უნივერსალურმა გავრცელებამ მსოფლიოში XIX საუკუნის ბოლოს და აშშ გლობალურმა უპირატესობამ XX საუკუნის მიწურულს განაპირობა დასავლური ცივილიზაციის მრავალი ელემენტის გავრცელება მთელს მსოფლიოში. მაგრამ ევროპული გლობალიზმი აღარ არსებობს. ამერიკის ჰეგემონია უკან იხევს - თუნდაც იმიტომ, რომ გაქრა "ცივი ომის" დროინდელი საბჭოთა სამხედრო მუქარისაგან აშშ დაცვის საჭიროება. კულტურა, როგორც დავამტკიცეთ, ძალაუფლებას მისდევს. თუ არადასავლურ საზოგადოებებს დასავლური კულტურის ზემოქმედებით ფორმირება უწერია, ამჯერად ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ექსპანსიით, დასავლეთის მიერ ძალის გამოყენებით. იმპერიალიზმი უნივერსალიზმის გარდაუვალი და ლოგიკური შედეგია. გარდა ამისა, როგორც მომწიფებულ ცივილიზაციას, დასავლეთს აღარ გააჩნია ეკონომიკური და დემოგრაფიული დინამიზმი, აუცილებელი იმისათვის, რომ სხვა საზოგადოებებს თავს მოახვიოს თავისი ნება. ამის ნებისმიერი მცდელობა ეწინააღმდეგება ისეთ დასავლურ ფასეულობებს, როგორცაა თვითგამორკვევა და დემოკრატია. რაც უფრო ხშირად ილაპარაკებენ აზიური და ისლამური ცივილიზაციების წარმომადგენლები თავიანთ კულტურათა უნივერსალურ მნიშვნელობაზე, მით უფრო მკაფიოდ გაიაზრებს დასავლეთი კავშირს უნივერსალიზმსა და იმპერიალიზმს შორის.

დასავლური უნივერსალიზმი საშიშია მსოფლიოსათვის, რამდენადაც შეიძლება მიგვიყვანოს მსხვილ ცივილიზაციათაშორის ომამდე ბირთვ სახელმწიფოებს შორის. დასავლეთისათვის ასეთი ომი საშიშია, რადგან შეიძლება მისი მარცხით დასრულდეს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლელები თავიანთ ცივილიზაციას მიიჩნევენ გაბატონებულად, როგორც არასდროს, ამასობაში კი უფრო სუსტი აზიური, ისლამური და სხვა საზოგადოებები ძალას იკრებენ. ყველა ცივილიზაცია გაივლის წარმოშობის, აღმავლობისა და დაცემის ერთსა და იგივე საფეხურებს. დასავლეთი სხვებისაგან განირჩევა არა იმით, თუ როგორ ვითარდებოდა, არამედ თავისი ფასეულობებისა და ინსტიტუტების განსაკუთრებული ხასიათით. ეს განსაკუთრებით ეხება ქრისტიანობას, პლურალიზმს, ინდივიდუალიზმს, კანონის ძალას,

რომელთაც დასავლეთს საშუალება მისცეს, ჩამოეყალიბებინა თანამედროვე საზოგადოება, გაეფართოებინა თავისი გავლენა მსოფლიოზე და სხვა საზოგადოებათა შურის საგანი გამხდარიყო. როგორც არტურ შლეზინგერ-უმცროსი ამბობდა, ევროპა წარმოადგენს "ინდივიდუალური თავისუფლების, პოლიტიკური დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და კულტურული თავისუფლების უნიკალურ წყაროს... ეს სულ ევროპული იდეებია და არა აზიური, აფრიკული, ახლოაღმოსავლური, სესხების შემთხვევათა გარდა". ისინი დასავლურ ცივილიზაციას უნიკალურს ხდიან, იგი ღირებულია არა იმიტომ, რომ უნივერსალურია, არამედ იმიტომ, რომ მართლაც უნიკალურია. შესაბამისად, დასავლელი ლიდერების პრინციპული პასუხისმგებლობა მდგომარეობს არა იმაში, რომ გარდაქმნან სხვა ცივილიზაციები დასავლური ნიმუშის მიხედვით (ამას მისი შესუსტებული ძალები არ ეყოფა), არამედ იმაში, რომ შეინარჩუნოს, დაიცვას და განაახლოს დასავლური ცივილიზაციის უნიკალური თვისებები. რამდენადაც აშშ ყველაზე ძლიერი დასავლური სახელმწიფოა, პასუხისმგებლობა, ძირითადად, მას ეკისრება.

იმისათვის, რომ, შესუსტების მიუხედავად, შენარჩუნებული იყოს დასავლური ცივილიზაციის ძალა, აშშ-სა და ევროპული სახელმწიფოების ინტერესებში იქნებოდა:

- მეტი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ინტეგრაციის მიღწევა და საკუთარი პოლიტიკის კოორდინირება ისე, რომ სხვა ცივილიზაციის სახელმწიფოებს არ შეეძლოთ დასავლეთის ქვეყნებს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე თამაში;
- ევროკავშირსა და ნატოში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პროდასავლური ქვეყნების (ვიშეგრადის ჯგუფისა და ბალტიის ქვეყნები, სლოვენია და ხორვატია) ჩართვა;
- ლათინური ამერიკის "ვესტერნიზაციისა" და დასავლეთთან ლათინური ამერიკის ქვეყნების რაც შეიძლება მჭიდრო კავშირის წახალისება;
- ისლამური ქვეყნებისა და ჩინეთის ჩვეულებრივი სამხედრო ძალისა და მასობრივი განადგურების იარაღის განვითარების შეკავება;
- დასავლეთისაგან იაპონიის ჩამოშორებისა და ჩინეთთან მისი შერიგების პროცესის შენელება;
- რუსეთის აღიარება მართლმადიდებლური სამყაროს ბირთვ სახელმწიფოდ და მსხვილ რეგიონულ ქვეყნად, რომელსაც აქვს თავისი

სამხრეთი საზღვრების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონიერი ინტერესები;

- დასავლეთის ტექნოლოგიური და სამხედრო უპირატესობის შენარჩუნების ხელშეწყობა სხვა ცივილიზაციებთან შედარებით;

- და, რაც მთავარია, აღიარება იმისა, რომ დასავლეთის ჩარევა სხვა ცივილიზაციათა საქმეებში არასტაბილურობისა და მულტიცივილიზაციურ სამყაროში პოტენციური გლობალური კონფლიქტის ყველაზე საშიში წყაროა.

“ცივი ომის” დამთავრების შემდეგ აშშ დაკავებული იყო მრავალრიცხოვანი დისკუსიებით იმის თაობაზე, როგორ უნდა იყოს აშშ სწორი საგარეო პოლიტიკური კურსი. მაგრამ ჩვენს დროში აშშ-ს არ შეუძლია არც მსოფლიოში დომინირება, არც ასპარეზიდან წასვლა. ვერც ინტერნაციონალიზმი, ვერც იზოლაციონიზმი, ვერც მრავალმხრივობა და ვერც ცალმხრივობა ჯეროვან სამსახურს ვერ გაუწევს აშშ ინტერესებს. ამის მიღწევა მხოლოდ უკიდურესობებისაგან თავის დაღწევით შეიძლება. მათ ნაცვლად უნდა ავირჩიოთ ევროპულ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის ატლანტისტური პოლიტიკა, რათა დაცული იქნას მათი საერთო უნიკალური ცივილიზაციის ინტერესები და ფასეულობანი.

ცივილიზაციური ომი და წესრიგი

გლობალური ომი ძირითად მსოფლიო ცივილიზაციათა ბირთვი სახელმწიფოების მონაწილეობით ნაკლებ სავარაუდოა, მაგრამ მთლიანად გამორიცხული არ არის. ასეთი ომი, ჩვენი აზრით, შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა ცივილიზაციის კუთვნილ სახელმწიფოთა ჯგუფებს შორის გამყოფი მიჯნის გასწვრივ კონფლიქტის ესკალაციის გამო; ამასთან, სავარაუდოა, რომ მასში მონაწილე ერთ-ერთ მხარედ ჩართული იქნებიან მუსლიმები, მეორე მხარეს - არამუსლიმები. ესკალაციის შესაძლებლობა გაიზრდება, თუ პატივმოყვარე ისლამური ბირთვი-სახელმწიფოები მეტოქეობას დაიწყებენ საბრძოლველად შემართულ თანამომხმეთა მხარდაჭერის საქმეში. იგი შემცირდება, თუკი შორეული მონათესავე ქვეყნები არ იქნებიან დაინტერესებული ომში ჩაბმით. გლობალური ცივილიზაციური კონფლიქტის უფრო საშიში წყაროა ცივილიზაციებსა და მათ ბირთვ სახელმწიფოებს შორის ძალთა ბალანსის შეცვლა. თუ იგი გაგრძელდება, ჩინეთის აღმავლობა და “კაცობრიობის ისტორიაში ამ უდიდესი მოთამაშის” მზარდი თავდაჯერება მძიმე ტვირთად დააწვება XXI საუკუნის დასაწყისის

საერთაშორისო სტაბილურობას. ჩინეთის, როგორც აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დომინირებული ძალის გამოჩენა წინააღმდეგობაში აღმოჩნდება ამერიკის ინტერესებთან - იმ სახით, როგორც ისინი ისტორიულად გაიაზრებოდა.

როგორ შეიძლება განვითარდეს აშშ-ჩინეთის ომი ამ ინტერესთა გათვალისწინებით (აზრით გადავინაცვლოთ 2010 წელში. ამერიკის ჯარებმა დატოვეს გაერთიანებული კორეა და მკვეთრად შეამცირეს თავიანთი სამხედრო ყოფნა იაპონიაში. ტაივანი და კონტინენტური ჩინეთი შეთანხმდნენ, რომ ტაივანი დარჩება de facto დამოუკიდებელი, მაგრამ აშკარად აღიარებს პეკინს თავის სიუზერენად. მისი მხარდაჭერით ტაივანს მიიღებენ გაეროში, როგორც ეს გაკეთდა 1946 წ. უკრაინასა და ბელორუსიასთან მიმართებაში. ამერიკული კომპანიები დაიწყებენ ნავთობსაბადოების სწრაფ ათვისებას სამხრეთ ჩინეთის ზღვაში - ძირითადად, ჩინეთის მფარველობით, მაგრამ ცალკეულ რაიონებში - ვიეტნამის კონტროლით. ჩინეთის თავდაჯერება ძალის პროექციის ახალ შესაძლებლობებთან დაკავშირებით გაიზრდება, და იგი გამოაცხადებს სრული კონტროლის დამყარებას ამ ზღვაზე (ჩინეთს ყოველთვის ჰქონდა პრეტენზია ამ მხრივ სუვერენობაზე). ვიეტნამი წინააღმდეგობას გაუწევს, დაიწყება საომარი მოქმედება ჩინეთისა და ვიეტნამის სამხედრო ხომალდებს შორის. 1979 წლის დამცირების გამო შურისძიების მსურველი ჩინელები თავს დაესხმიან ვიეტნამს. ეს უკანასკნელნი დახმარებისათვის აშშ-ს მიმართავენ. ჩინელები გააფრთხილებენ აშშ-ს, არ ჩაერიოს კონფლიქტში. იაპონიასა და სხვა ქვეყნებში მღელვარება დაიწყება. აშშ განაცხადებს, რომ არ მოითმენს ვიეტნამის დაპყრობას ჩინეთის მიერ, მოუწოდებს ეკონომიკური სანქციებისაკენ ჩინეთის წინააღმდეგ და სამხრეთ ჩინეთის ზღვაში გაგზავნის ერთ-ერთს ავიადარტყმის მცირერიცხოვანი ჯგუფებიდან. ჩინელები ამას თავიანთი ტერიტორიული წყლების დარღვევად გამოაცხადებენ და დაიწყებენ ზემოაღნიშნული ჯგუფებისათვის საჰაერო დარტყმების მიყენებას.

გაეროს გენერალური მდივნისა და იაპონიის პრემიერ-მინისტრის მცდელობანი, გაიმართოს მოლაპარაკება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, უშედეგო აღოჩნდება და საომარი მოქმედებები გავრცელდება აღმოსავლეთ აზიის სხვა რაიონებზე. იაპონია აკრძალავს თავის ტერიტორიაზე არსებული ამერიკული სამხედრო ბაზების გამოყენებას ჩინეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედებისათვის. აშშ ამ აკრძალვას უგულვებელყოფს, იაპონია ნეიტრალიტეტს გამოაცხადებს და ბაზების იზოლირებას განახორციელებს. ჩინეთის წყალქვეშა ნავეები და სახმელეთო ბაზირების თვითმფრინავები როგორც ტაივანის, ასევე

კონტინენტური ჩინეთის ტერიტორიიდან, სერიოზულ ზიანს მიაყენებენ ამერიკულ ხომალდებსა და სამხედრო ინფრასტრუქტურას აღმოსავლეთ აზიაში. ამასობაში ჩინეთის სახმელეთო ძალები შევლენ ჰანოიში და მოახდენენ ვიეტნამის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციას.

რადგან ჩინეთიცა და აშშ-ც ფლობენ რაკეტებს, რომელთაც შეუძლიათ ბირთვული იარაღის მიტანა ერთმანეთის ტერიტორიაზე, წარმოიშობა ფარული ჩიხი და ომის ადრეულ ეტაპებზე ეს იარაღი გამოყენებული არ იქნება. მაგრამ ორივე საზოგადოებაში, განსაკუთრებით აშშ-ში, გაჩნდება შიში ასეთი შეტევის მიმართ. მრავალი ამერიკელის წინაშე დაისმის კითხვა რისთვის უნდა ჩავიყენოთ თავი ასეთ საფრთხეში (რა გვესაქმება იმასთან, რომ ჩინეთი გააკონტროლებს სამხრეთ ჩინეთის ზღვას, ვიეტნამს და, თუნდაც, მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას (ომისადმი წინააღმდეგობა განსაკუთრებით ძლიერი იქნება აშშ სამხრეთ-დასავლეთ შტატებში, სადაც უცხოენოვანი მოსახლეობა ჭარბობს. ისინი და ამ შტატების მთავრობები განაცხადებენც "ეს ჩვენი ომი არ არის" და ეცდებიან იმოქმედონ ისევე, როგორც ახალი ინგლისი მოქმედებდა 1812 წლის ომში. მას შემდეგ, რაც ჩინეთი განიბტკიცებს თავდაპირველ წარმატებას აღმოსავლეთ აზიაში, ამერიკული საზოგადოებრივი აზრი შეიცვლება იმ მიმართულებით, რომელზეც იაპონია იმედს ამყარებდა 1942 წელს. იგი გადაიხრება იქით, რომ საფასური, რომლის გადახდა მათ მოუწევთ ჰეგემონისტური ძალის ამ უახლესი ცენტრის გასანადგურებლად, უზომოდ დიდია. ხალხი ჩათვლის, რომ უმჯობესია დაკმაყოფილება მოლაპარაკებებით, რომლებიც ბოლოს მოულებს სპორადულ საომარ მოქმედებებს ან "უცნაურ ომს", რომელიც წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში მიმდინარეობს.

მაგრამ ამასობაში ომი გავლენას იქონიებს სხვა ცივილიზაციათა ქვეყნებზე. ინდოეთი ისარგებლებს იმით, რომ ჩინეთი დაკავებულია აღმოსავლეთ აზიაში, გამანადგურებელ დარტყმას მიაყენებს პაკისტანს და მთლიანად მოსპობს მის ბირთვულ და ჩვეულებრივ სამხედრო პოტენციალს. თავდაპირველად მისი მოქმედებები წარმატებული იქნება, მაგრამ შემდეგ გააქტიურდება სამხედრო კავშირი პაკისტანს, ირანსა და ჩინეთს შორის. ირანი დაეხმარება პაკისტანს თანამედროვე მაღალტექნოლოგიური იარაღით. ინდოეთის შეტევა შეფერხდება ირანის ჯარებთან და პაკისტანელ პარტიზანებთან (სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებთან) ბრძოლაში. პაკისტანიცა და ინდოეთიც მხარდაჭერისათვის არაბულ ქვეყნებს მიმართავენ. ამასთან, ინდოეთი გააფრთხილებს მათ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ირანის გაბატონების

საფრთხის თაობაზე, მაგრამ ჩინეთის თავდაპირველი წარმატებები აშშ წინააღმდეგ სტიმულს მისცემს მსხვილ ანტიდასავლურ მოძრაობას ისლამურ ქვეყნებში. რამდენიმე ჯერ კიდევ შემორჩენილი პროდასავლური მთავრობა არაბულ ქვეყნებსა და თურქეთში ერთიმეორის მიყოლებით დაემხოა ისლამურ მოძრაობათა მიერ, რომელთა რიგები საგრძნობლად გაფართოვდება მაჰმადიანი ახალგაზრდობის ხარჯზე. დასავლეთის სისუსტით პროვოცირებული ანტიდასავლური განწყობილება გამოიწვევს არაბთა მასირებულ შეტევას ისრაელზე, შესამჩნევად შესუსტებული ამერიკული მეექვსე ფლოტი ვერ შესძლებს მის შეჩერებას.

ჩინეთი და აშშ შეეცდებიან სხვა ძირითად სახელმწიფოთა მხარდაჭერის მოპოვებას, სანამ ჩინეთი სამხედრო წარმატებებს ითვლის, იაპონია თანდათან მიემხრობა მას, გაივლის რა ევოლუციას ფორმალური ნეიტრალიტეტიდან პროჩინური ნეიტრალიტეტისაკენ, შემდეგ კი, ჩინეთის თხოვნით, მისი მოკავშირე გახდება. იაპონური ძალები მოახდენენ მათ ტერიტორიაზე დარჩენილი ამერიკული სამხედრო ბაზების ოკუპაციას, აშშ სასწრაფოდ გაიყვანენ თავის ჯარებს. აშშ ბლოკადას გამოუცხადებს იაპონიას, დაიწყება სპორადული შეტაკებები წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში. ომის დასაწყისში ჩინეთი შესთავაზებს რუსეთს ურთიერთუსაფრთხოების ხელშეკრულების დადებას (რომელიც დაახლოებით გვაგონებს ჰიტლერ-სტალინის პაქტს). მაგრამ ჩინეთის წარმატებები რუსეთზე იმის საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას მოახდენს, რაც იაპონიაზე იქონია. მოსკოვს შეაძრწუნებს ჩინეთის გამარჯვებისა და აღმოსავლეთ აზიაში მისი სრული ბატონობის პერსპექტივა. იმის კვალობაზე, რაც დაიწყება რუსეთის ევოლუცია ანტიჩინური მიმართულებით და იგი გაზრდის თავის სამხედრო ყოფნას ციმბირში, მის მოქმედებებში ჩარევას დაიწყებენ ამ მხარეში მცხოვრები მრავალრიცხოვანი ჩინელები. ჩინეთი დაიწყებს საომარ მოქმედებებს თავისი თანამემამულეების დაცვის მიზნით, დაიპყრობს ვლადივოსტოკს, ამურის ხეობას და აღმოსავლეთ ციმბირის სხვა მნიშვნელოვან რაიონებს.

სანამ საომარი მოქმედებები რუსეთსა და ჩინეთს შორის ვრცელდება ცენტრალურ ციმბირზე, იფეთქებს აჯანყება მონღოლეთში, სადაც ჩინეთმა უფრო ადრე დაამყარა თავისი "პროტექტორატი". ყველა მეომარი მხარისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ნავთობზე კონტროლს. ბირთვულ ენერგეტიკაში დიდი კაპიტალდაბანდებების მიუხედავად, იაპონია კვლავინდებურად ძლიერადაა დამოკიდებული ნავთობის იმპორტზე, ეს მას უზიძვებს

ჩინეთთან მოლაპარაკებისაკენ, სპარსეთის ყურიდან, ინდონეზიიდან და სამხრეთ ჩინეთის ზღვიდან მომავალი ნავთობის ნაკადის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. რამდენადაც ომის მსვლელობაში არაბული ქვეყნები მუსლიმი მეომრების კონტროლქვეშ აღმოჩნდება, სპარსეთის ყურიდან მომდინარე ნავთობი თანდათან ამოიწურება და დასავლეთი დამოკიდებული აღმოჩნდება რუსეთის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ნავთობის წყაროებზე. ეს აიძულებს დასავლეთს, დამატებით ძალისხმევას მიმართოს რუსეთის მისამხრობად და მხარი დაუჭიროს მის მისწრაფებას - გააფართოოს კონტროლი ნავთობით მდიდარ ისლამურ ქვეყნებზე, რომლებიც მისგან სამხრეთით მდებარეობენ.

აშშ ენერჯიულად ეცდება თავისი ევროპელი მოკავშირეების სრული მხარდაჭერის მობილიზებას. ისინი დიპლომატიურ და სამხედრო მხარდაჭერას აღმოუჩინენ აშშ-ს, მაგრამ სამხედრო მონაწილეობაზე ხალისით არ წავლენ. ჩინეთს და ირანს შეაშფოთებს დასავლეთის ქვეყნების აშშ ირგვლივ დარაზმვის შესაძლებლობა, ისე როგორც ორ მსოფლიო ომში აშშ მიდიოდა ბრიტანეთისა და საფრანგეთის დასახმარებლად. ამის თავიდან ასაცილებლად ჩინეთი და ირანი საიდუმლოდ განალაგებენ საშუალო რადიუსის რაკეტებს ბირთვული მუხტებით ბოსნიასა და ალ;ირიში, გააფრთხილებენ რა ევროპის ქვეყნებს, რომ არ ჩაერიონ საომარ კონფლიქტში. როგორც ადრე, როცა ჩინეთი დაშინებას ცდილობდა, იაპონიის გარდა, ყველა ქვეყნის რეაქცია ჩინეთისათვის სასურველის საპირისპირო იქნება. აშშ დაზვერვა აღმოაჩენს და განაცხადებს ამ რაკეტების განლაგების შესახებ, ნატოს საბჭო კი განაცხადებს, რომ ისინი დაუყოვნებლივ გატანილ უნდა იქნან. მაგრამ სანამ ნატო მოქმედებას დაიწყებს, სერბია, რომელსაც სურს დაიბრუნოს თურქებისაგან ქრისტიანთა დამცველის ისტორიული როლი, თავს დაესხმის ბოსნიას. მას შეუერთდება ხორვატია, ორივე ერთად განახორციელებს ბოსნიის ოკუპაციასა და გაყოფას, მიიტაცებს რაკეტებს და შეეცდება განაგრ?ოს ეთნიკური წმენდა, რომლის შეწყვეტა აიძულეს 1990-იან წლებში. ალბანეთი და თურქეთი შეეცდებიან დაეხმარონ ბოსნიას. საბერძნეთი და ბულგარეთი შეიჭრებიან თურქეთის ევროპულ ნაწილში. როცა თურქები ბოსფორით გაიქცევიან, სტამბულში პანიკა დაიწყება. ამ დროს ალ;ირიდან გამოშვებული ბირთვული რაკეტა მარსელის მისადგომებთან აფეთქდება, რასაც ნატო ჩრდილოეთ აფრიკის სამიზნეებზე გამანადგურებელი დარტყმებით უპასუხებს.

აშშ, ევროპა, რუსეთი და ინდოეთი ჩაბმული აღმოჩნდებიან ნამდვილ გლობალურ ომში ჩინეთის, იაპონიისა და ისლამური ქვეყნების

უმრავლესობის წინააღმდეგ. რით დამთავრდება ასეთი ომი(ორივე მხარეს გააჩნია მსხვილი ბირთვული პოტენციალი, ცხადი ხდება, რომ თუ მათი გამოყენება მინიმალურ დონეს გასცდება, ძირითადი დაპირისპირებული ძალები სერიოზულ ნგრევას განიცდიან. თუ ურთიერთმუქარა გაჭრის, ორივე მხარის ძალების გამოფიტვას შეიძლება დაზავებაზე შეთანხმება მოჰყვეს, რომელიც ვერ გადაჭრის აღმოსავლეთ აზიაში ჩინეთის ჰეგემონიის ფუნდამენტურ პრობლემას.

ალტერნატიული ვარიანტიც დასავლეთი შეეცდება ჩინეთის დამარცხებას ჩვეულებრივი შეიარაღებით. მაგრამ ჩინეთისა და იაპონიის დაახლოება ჩინეთს შეუქმნის დაცვას კუნძულოვანი სანიტარული კორდონის ფორმით, რომელიც გამორიცხავს ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების გამოყენებას ჩინეთის მსხვილი სანაპირო დასახლებებისა და სამრეწველო ცენტრების წინააღმდეგ. ალტერნატიული აღმოჩნდება ჩინეთის შემოვლა დასავლეთიდან, საომარი მოქმედებები რუსეთსა და ჩინეთს შორის აიძულებს ნატოს, მიესაღმოს მის რიგებში რუსეთის როგორც სრულუფლებიანი წევრის შესვლას და მასთან თანამშრომლობას ციმბირში ჩინეთის შეჭრის ასაცილებლად. ამასთან, ნატო მხარს დაუჭერს რუსეთის კონტროლს ცენტრალური აზიის ისლამურ ქვეყნებზე, რომლებიც ფლობენ ნავთობსა და გაზს, აგრეთვე წაახალისებს ტიბეტელების, უიღურებისა და მონღოლების აჯანყებებს ჩინეთის ბატონობის წინააღმდეგ, თანდათან შესძლებს დასავლეთისა და რუსეთის ძალების მობილიზებასა და გაშლას აღმოსავლეთ ციმბირში დასკვნითი შეტევისათვის - ჩინეთის დიდი კედლის გადალახვით - პეკინზე, მანჯურიასა და ხანების ჰართლენდზე.

როგორც არ უნდა აღმოჩნდეს ამ გლობალური ცივილიზაციური ომის უშუალო შედეგი - იქნება ეს ბირთვული ურთიერთგანადგურება, შეთანხმება საომარ მოქმედებათა შეწყვეტის თაობაზე ორმხრივი გამოფიტვის გამო, თუ რუსეთისა და დასავლეთის ჯარების შესვლა ტიანანმენის მოედანზე - ხანგრძლივი შედეგი უთუოდ იქნება ომის ყველა ძირითადი მონაწილის ეკონომიკური, დემოგრაფიული და სამხედრო ძალის მკვეთრი დაცემა. ამის შედეგად კი გლობალური ძალა, რომელიც საუკუნეების მანძილზე გადაადგილდებოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, შემდეგ კი - პირიქით, მოძრაობას დაიწყებს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ყველაზე მოგებული ცივილიზაციათა ამ ომში დარჩება ის, ვინც შესძლებს გვერდზე გადგომას. რამდენადაც დასავლეთი, რუსეთი, ჩინეთი და იაპონია სხვადასხვა ხარისხით დანგრეული იქნება, ინდოეთს შესაძლებლობა

მიეცემა, ინდუსტრიული კურსის შესაბამისად გარდაქმნას მსოფლიო - თუკი ის, ომში მონაწილეობის მიუხედავად, შესძლებს ნგრევის თავიდან აცილებას. ამერიკის მოსახლეობის დიდი ნაწილი აშშ მკვეთრ დასუსტებაში ბრალს დასდებს დასავლეთზე ორიენტირებულ, ვიწროდმოაზროვნე თეთრ ანგლოსაქსურ ელიტას; ფართო დახმარების (მარშალის გეგმის ტიპის) დაპირებათა ტალღა ლათინური ამერიკის ქვეყნების მხრივ, რომლებიც ომში არ მონაწილეობენ და ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიან, ხელისუფლების სათავეში ესპანურენოვანი ლიდერები მოვლენ. აფრიკა ბევრს ვერაფერს შესთავაზებს გარდაქმნად ევროპას; პირიქით, მის ნანგრევებზე სოციალურად დეგრადირებული ადამიანების უწყესრიგო ურდოები დარჩება. თუ ჩინეთი, იაპონია და კორეა ომით დანგრეული აღმოჩნდებიან, გავლენისა და ძალის ცენტრები აზიაშიც სამხრეთისაკენ გადაინაცვლებს; ინდონეზია, რომელიც ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა, დომინირებად სახელმწიფოდ იქცევა და, ავსტრალიელ მრჩეველთა დახმარებით, გადამწყვეტ ზეგავლენას მოახდენს მოვლენებზე ახალი ზელანდიიდან აღმოსავლეთით მიანმამდე, დასავლეთით შრი-ლანკამდე და სამხრეთით ვიეტნამამდე. ყველაფერი ეს განსაზღვრავს მომავალ კონფლიქტს ინდოეთსა და აღორძინებულ ჩინეთს შორის. ნებისმიერ შემთხვევაში, მსოფლიო პოლიტიკის ცენტრი სამხრეთისკენ გადაინაცვლებს.

თუ ეს სცენარი მკითხველს სიმართლესთან შეუსაბამო, აღვირახსნილ ფანტაზიად მოეჩვენება, მით უკეთესი. იმედი ვიქონიოთ, რომ გლობალური ცივილიზაციური ომის არც ერთი სხვა სცენარი არ აღმოჩნდება სარწმუნო. მაგრამ რაც ამ სცენარში ყველაზე მეტ შემოფოთებას იწვევს, ეს ომის წყაროებიაყ ერთი ცივილიზაციის ბირთვი სახელმწიფოს (აშშ) ჩარევა დავაში სხვა ცივილიზაციის ბირთვ სახელმწიფოსთან (ჩინეთი) და იმავე ცივილიზაციის წევრ სახელმწიფოს (ვიეტნამი) შორის. აშშ აუცილებლად ჩათვლის ჩარევას, საერთაშორისო სამართლის დაცვას, აგრესორის დასჯას, ნაოსნობის თავისუფლების დაცვას, თავისთვის სამხრეთ ჩინეთის ზღვის ნავთობის მისადგომის უზრუნველყოფას და აღმოსავლეთ ჩინეთში ერთადერთი სახელმწიფოს გაბატონების აცილებას. ჩინეთი ასეთ ჩარევას აუტანლად მიიჩნევს და ჩათვლის მას წამყვანი თავდაჯერებული დასავლური სახელმწიფოს ტიპიურ ცდად - დაამციროს და დააშინოს ჩინეთი, მოახდინოს მისი გავლენის კანონიერი სფეროს შიგნით წინააღმდეგობის პროვოცირება და წაართვას მას შესაფერისი როლი მსოფლიო პოლიტიკაში.

ამგვარად, თავიდან რომ ავიცილოთ მსხვილი ცივილიზაციური ომების ეპოქა, ბირთვმა სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ სხვა

ცივილიზაციის შიგნით მიმდინარე კონფლიქტებში ჩარევისაგან. ზოგ სახელმწიფოს, განსაკუთრებით აშშ-ს, გაუჭირდება დაეთანხმოს ამ ჭეშმარიტებას. ასეთი თავშეკავება პირველი და აუცილებელი პირობაა მულტიპოლარულ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. მეორე პირობა - ერთობლივი შუამავლობის წესი - იმაში მდგომარეობს, რომ ბირთვ სახელმწიფოებს მართებთ ერთმანეთთან მოლაპარაკება მათ ცივილიზაციებში შემავალ სახელმწიფოებს ან ჯგუფებს შორის გამყოფი მიჯნების გასწვრივ ომის შეკავების ან შეწყვეტის თაობაზე.

დასავლეთი - უნიკალური, არა უნივერსალური კულტურული უკურეაქცია

მოდერნიზაცია და ეკონომიკური განვითარება არც მოითხოვს და არც განაპირობებს კულტურულ ვესტერნიზაციას. პირიქით, იგი იწვევს ადგილობრივ კულტურათა გამოცოცხლებასა და აღორძინებას. ინდივიდუალურ დონეზე, ადამიანთა მოძრაობა დიდ ქალაქებისაკენ, ტრადიციულ ურთიერთობათა გაწყვეტა და უცხო გარემოში გადნაცვლება იწვევს გაუცხოების გრძნობის წარმოშობას და თვითიდენტიფიკაციის კრიზისს. ამ ვითარებიდან გამოსავალს ხშირად რელიგია კარნახობს. სოციალურ დონეზე, მოდერნიზაციას მოსდევს მთელი ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების ზრდა, რაც ადამიანებს განუმტკიცებს საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის რწმენას. ამის შედეგად ბევრი არადასავლური საზოგადოება უბრუნდება ადგილობრივ კულტურას. ხშირად ეს რელიგიურ ფორმას იღებს, რელიგიის გლობალური აღორძინება სწორედ მოდერნიზაციის პირდაპირი შედეგია. არადასავლურ საზოგადოებაში ეს აღორძინება ანტიდასავლური ფორმით ვლინდება. ერთ შემთხვევაში დასავლურ კულტურას უარყოფენ როგორც ქრისტიანულსა და დამყუპველს, მეორე შემთხვევაში - როგორც საეროსა და გადამწელების გზაზე დამდგარს. ადგილობრივისაკენ დაბრუნება ყველაზე მკაფიოდ აღინიშნება ისლამურ და აზიურ საზოგადოებაში. ისლამური აღორძინება ყველა მუსლიმურ ქვეყანაში შეინიშნება. თითქმის ყველა მათგანში იგი იქცა მთავარ სოციალურ, კულტურულ და ინტელექტუალურ მოძრაობად, რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენს პოლიტიკაზე. 1996 წელს ფაქტობრივად ყველა მუსლიმური ქვეყანა, გარდა ირანისა, თავისი გარეგნული სახით, პრაქტიკით თუ ინსტიტუტებით გაცილებით უფრო ისლამური და ისლამისტურია, ვიდრე 15 წლის წინ ქვეყნებში, სადაც ისლამისტური პოლიტიკური ძალები მთავრობაში არ არიან, ისინი დომინირებენ

ოპოზიციაში და ხშირად მონოპოლიზებულიც აქვთ იგი. ყველგან ისლამურ სამყაროში ხალხი გამოდის თავიანთ საზოგადოებათა ვესტერნიზაციის წინააღმდეგ.

აღმოსავლეთ აზიის საზოგადოებებმა ერთდროულად და ხელახლა აღმოაჩინეს ადგილობრივი ფასეულობანი და სულ უფრო ხაზგასმით აღნიშნავენ განსხვავებას საკუთარ და დასავლურ კულტურათა შორის. ეს შედარებანი დასავლური კულტურის სასარგებლოდ არ ჯამდება. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში აზიისა და სხვა არადასავლელი ხალხები შურით შესცქეროდნენ დასავლური საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობას, ტექნოლოგიურ წინსვლას, სამხედრო ძალასა და პოლიტიკურ მთლიანობას. ამ წარმატებათა საიდუმლოს ისინი დასავლურ პრაქტიკასა და ჩვეულებებში ეძებდნენ და როცა, როგორც თავად ფიქრობდნენ, მიაგნებდნენ გასაღებს, ცდილობდნენ მოერგოთ იგი თავიანთი საზოგადოებებისათვის. მაგრამ ახლა ძირეული ცვლილება მოხდა. დღეს აღმოსავლეთ აზიელები თავიანთ დრამატულ ეკონომიკურ განვითარებას უკავშირებენ არა დასავლური კულტურის იმპორტს, არამედ საკუთარი კულტურის ერთგულებას. ისინი ამტკიცებდნენ, რომ წარმატებას მიაღწიეს არა დასავლეთთან დამსგავსების გამო, არამედ იმიტომ, რომ განხვავებულნი დარჩნენ დასავლეთისაგან. როცა არადასავლური საზოგადოებები გრძნობდნენ საკუთარ სისუსტეს დასავლეთთან ურთიერთობაში, ბევრმა მათმა ლიდერმა აღიარა თვითგამორკვევის, ლიბერალიზმის, დემოკრატიის, მშვიდობის დასავლური იდეები იმათვის, რომ დაპირისპირებოდნენ დასავლეთის გლობალურ ბატონობას. დღეს, როცა ეს საზოგადოებანი აღარ არიან სუსტნი და, პირიქით, მზარდ ძლიერებას ამჟღავნებენ, ისინი „ადამინის უფლებათა იმპერიალიზმად“ ნათლავენ იმ ფასეულობებს, რომელთაც ცოტა ხნით წინ იყენებდნენ საკუთარი ინტერესების დამკვიდრებისათვის. რამდენადაც უკან იხევს დასავლეთის ძალა, იმდენად იკლებს დასავლურ ფასეულობათა და კულტურის მიმზიდველობა. დასავლეთი აღმოჩნდა იმის საჭიროების პირისპირ, რომ მოერგოს რეალობას, როცა მას აღარ შეუძლია თავს მოახვიოს არადასავლურ საზოგადოებებს საკუთარი ფასეულობანი. არსებითად, მსოფლიოს დიდი ნაწილი ხდება სულ უფრო მეტად თანამედროვე (მოდერნული) და ნაკლებად დასავლური.

ამ ტენდენციის ერთ-ერთ გამოვლინებაა ის, რასაც რონალდ დორმა (Ronald Dore) “მეორე თაობის ფენომენი” უწოდა. როგორც ყოფილი კოლონიების, ასევე დამოუკიდებელი არადასავლური ქვეყნების „პირველი ხიდი“ ან „პოსტ-დამოუკიდებელი“ თაობა ხშირად

განათლებას იღებდა დასავლეთის უნივერსიტეტებში, რომელიმე დასავლურ კოსმოპოლიტურ ენაზე. ნაწილობრივ იმის გამო, რომ ეს იყო პირველი თაობა საზღვარგარეთ წასული ემოციური მოზარდებისა, მათ მიერ დასავლური ფასეულობანი და ცხოვრების წესი საკმაოდ ღრმად იქნა ათვისებული. მეორე, გაცილებით მრავალრიცხოვანი თაობის უმრავლესობა განათლებას იღებს შინ, პირველი თაობის მიერ დაარსებული უნივერსიტეტებში, ადგილობრივ ენაზე. ამ უნივერსიტეტების კონტაქტი მეტროპოლიის კულტურასთან გაცილებით უფრო ნაკლებია. ამ კულტურის ცოდნა ღარიბდება არასრულყოფილი თარგმანის გამო. აღნიშნულ უნივერსიტეტებში აღზრდილი თაობა ვერ ეგუება უფროსი, დასავლეთში განათლებამიღებული თაობის ბატონობას, რის გამოც ხშირად ოპოზიციის რიგებში ექცევა. რადგან დასავლეთის გავლენა მცირდება, ახალგაზრდა მიზანსწრაფულ ლიდერებს არ შეუძლიათ იყურონ დასავლეთისაკენ, მისი მხრივ ძალითა და კეთილდღეობით უზრუნველყოფის იმედით. მათ უნდა ეძიონ წარმატების წყაროები საკუთარ საზოგადოებებში, მიიღონ ამ საზოგადოების ფასეულობანი და კულტურა.

აღსანიშნავია დემოკრატიის პარადოქსი, რომელიც თან ახლავს ამ მოვლენებს: არადასავლური საზოგადოებანი ამჯობინებენ დასავლური სტილის არჩევნებს, რომელთა შედეგად ხშირად ანტიდასავლური ძალები მოდიან. 1960-იან და 1970-იან წლებში დასავლურ და პროდასავლურ მთავრობებს განვითარებად ქვეყნებში გადატრიალებები და რევოლუციები ემუქრებოდა, 1980-იან და 1990-იან წლებში კი მათ არჩევნებში დამარცხების საფრთხე უფრო აშინებთ. დემოკრაციას ახასიათებს ტენდენცია გააძლიეროს საზოგადოების ადგილობრივი ხასიათი, და არა ის, რომ იგი კოსმოპოლიტური გახადოს. არადასავლურ საზოგადოებათა პოლიტიკოსები ვერ გაიმარჯვებენ არჩევნებში თავიანთი დასავლურობის დემონსტრირების გზით. საარჩევნო შეჯიბრი უბიძგებს მათ ეძიონ ყველაზე პოპულარული სვლები, ასეთები კი ეთნიკური, ნაციონალისტური და რელიგიური თემების, ამას შედეგად მოსდევს ძალითა მობილიზაცია დასავლეთზე ორიენტირებული ელიტისა და, საერთოდ, დასავლეთის წინააღმდეგ. პროცესი, რომელიც უკვე დაიწყო შრი-ლანკაში 1950იან წლებში, გავრცელდა აზიის, აფრიკისა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში; იგი აღინიშნა რელიგიურად ორიენტირებული პარტიების გამარჯვებით ინდოეთში, თურქეთში, ბოსნიასა და ისრაელში 1995 და 1996 წლების არჩევნებში. ამრიგად, დემოკრატიზაცია წინააღმდეგობაშია ვესტერნიზაციათან.

ყოველივე ეს აქარწყლებს დასავლელთა ვარაუდს, რომ დასავლური კულტურა მსოფლიო კულტურად იქცევა. ყოველი კულტურა ორი ძირითადი ელემენტისაგან შედგება, ესენია: ენა და რელიგია. ამტკიცებდნენ, რომ ინგლისური ენა მსოფლიო ენად იქცევა. ის მართლაც იქცა ლინგუა ფრანცა-დ საერთაშორისო ბიზნესში, დიპლომატიაში, საერთაშორისო ინსტიტუტებში, ტურიზმში, ავიაციაში. ინგლისურის გამოყენება ინტერკულტურული ურთიერთობისათვის თავისთავად გულისხმობს სხვადასხვა კულტურათა არსებობას. ფაქტობრივად, ინგლისურად მოლაპარკე წილი მსოფლიოს მოსახლეობაში მცირეა და კიდევ უფრო მცირდება. ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორის სიდნეი ს. ქიულბერტის (Sidey C. Culbert) მონაცემებით, 1958 წელს ინგლისური ადამიანთა დაახლოებით 9,8%-თვის იყო მშობლიური ან მეორე ენა; 1992 წელს - 7,6%-თვის. უცხო ენა მსოფლიოს მოსახლეობის 92%-თვის არ არის საერთაშორისო ენა. 1958 წელს ადამიანთა 24% ლაპარაკობდა 5 ძირითადი დასავლური ენიდან ერთ-ერთ ენაზე, 1992 წელს - 21%-ზე ნაკლები. ასეთივე სიტუაციაა რელიგიის მხრივ. დასავლელი ქრისტიანები ამჟამად, ალბათ, მოსახლეობის 30% შეადგენენ, მაგრამ მათი ხვედრითი წილი განუხრელად კლებულობს და ზოგიერთი თვლის, რომ დაახლოებით ათიოდე წელიწადში მუსლიმთა რიცხვი გადააჭარბებს ქრისტიანებისას.

კულტურის ორი ძირითადი ელემენტის - ენისა და რელიგიის - თვალსაზრისით, დასავლეთი უკან იხევს. მ. ჰოვარდის დაკვირვებით, “დასავლეთის საერთო რწმენა, რომ კულტურული მრავალფეროვნებისა სწრაფად იცვლება ერთიანი, დასავლეთზე ორიენტირებულ, ანგლოფონური მსოფლიო კულტურით, რომელიც აყალიბებს ძირეულ ფასეულობებს, უბრალოდ, არ არის მართალი”.

დასავლური კულტურის მიმზიდველობის კლებასთან ერთად, ძირითად პრობლემად დასავლეთსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის ურთიერთობაში იქცა დასავლური კულტურის, როგორც უნივერსალურის, დანერგვის სულ უფრო ნაკლები შესაძლებლობა. კომუნისტების კრახმა გამოაცოცხლა თვალსაზრისი, რომ დემოკრატიული ლიბერალიზმის იდეოლოგიამ გლობალურად გაიმარჯვა და ამგვარად, იგი უნივერსალურად ძლიერია. დასავლეთს, ძირითადად, შეერთებულ შტატებს, რომელიც ყოველთვის მისიონერი ერის როლშია, სწამს, რომ არადასავლელმა ხალხებმა უნდა მიიღონ დემოკრატიის, თავისუფალი ბაზრის, შეზღუდული ხელისუფლების, სახელმწიფოსა და ეკლესიის გაყოფის, ადამიანის უფლებათა, ინდივიდუალიზმის, კანონიერების დასავლური ფასეულობანი და

დანერგონ ისინი თავიანთ ინსტიტუტებში. სხვა ცივილიზაციებში უმცირესობა ითვისებს და ნერგავს ამ ფასეულობებს, მაგრამ არადასავლურ ცივილიზაციებში უმრავლესობის დამოკიდებულება მათდამი მერყეობს სკეპტიციზმიდან ინტენსიურ ოპოზიციამდე. რაც უნივერსალიზმია დასავლეთისათვის, იმპერიალიზმია დანარჩენებისათვის.

არადასავლელები მოურიდებლად მიუთითებენ სხვაობაზე დასავლურ პრინციპებსა და დასავლურ პრაქტიკას შორის. უნივერსალისტური პრეტენზიების საპასუხოდ, დასავლეთს ფარისევლობასა და ორმაგი სტანდარტების აღიარებაში ადანაშაულებენ. მაგალითად, ამტკიცებენ, რმ დემოკრატია მკვიდრდება, მაგრამ არა იმ შემთხვევაში, რომცა ხელისუფლების სათავეში ფუნდამენტალისტები მოდიან; იარაღის გაუვრცელობლას უქადაგებენ ირანსა და ერაყს, მაგრა არა ისრაელს; თავისუფალი ვაჭრობა ეკონომიკური ზრდის ელექსირია, მაგრამ არა სოფლის მეურნეებისათვის; ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი დგას ჩინეთისთვის, მაგრამ არა საუდის არეუთისათვის; აგრესიისგან იცავენ ნავთობით მდიდარ ქუვეითელებს, მაგრამ არა ნავთობის არმქონე ბოსნიელებს.

რწმენა იმისა, რომ არადასავლელმა ხალხებმა უნდა მიიღონ დასავლური ფასეულობანი, ინსტიტუტები და კულტურა, თუ მას სერიოზულად განვიხილავთ, უზნეოა. ევროპის გავლენის უკიდევანო გავრცელებას XIX საუკუნის ბოლოს და აშშ გლობალურ ბატონობას XX საუკუნის მეორე ნახევარში მოჰყვა დასავლური ცივილიზაციის მრავალი ასპექტის გავრცელება მთელ მსოფლიოში. მაგრამ ევროპული გლობალიზმი აღარ არსებობს, შეერთებული შტატების ჰეგემონია კი სუსტდება იმის გამო, რომ იგი აღარ არის საჭირო ცივი ომის საბჭოური საფრთხისაგან დასაცავად. ძალის კლებას კულტურაც მიჰყვება. დასავლური კულტურის ხელახლა გავრცელება მხოლოდ ძალისმიერი ექსპანსიით თუ იქნება შესაძლებელი. იმპერიალიზმი უნივერსალიზმის აუცილებელი და ლოგიკური შედეგია. უნივერსალიზმის მომხრეთაგან ძნელად თუ ვინმე დაუჭერს მხარს მილიტარიზაციასა და იძულებას, რაც საჭირო იქნებოდა მიზნის მისაღწევად. ამის ნებისმიერი მცდელობა ეწინააღმდეგება თვითგამორკვევისა და დემოკრატის ევროპულ ფასეულობებს. ესეც რომ არ იყოს, დასავლეთს, როგორც მომწიფებულ ცივილიზაციას, აღარ გააჩნია ეკონომიკური და დემოგრაფიული დინამიზმი, რომელიც საჭირო იქნებოდა ზემოთაღნიშნულის განსახორციელებლად. მალაიზიის პრემიერ-მინისტრმა მაჰათირმა ევროპის სახემწიფოთა მთავრობების მეთაურებს განუცხადა: „ევროპული

ფასეულობები - ევროპული ფასეულობებია, აზიური კი - უნივერსალური ფასეულობანი". იმის კვალობაზე, რომ აზიური და ისლამური ცივილიზაციები იწყებენ თავიანთ კულტურათა უნივერსალურობის მტკიცებას, დასავლელები დაინახავენ კავშირს უნივერსალიზმსა და იმპერიალიზმს შორის და დააფასებენ პლურალისტური სამყაროს ღირსებებს.

დასავლეთის მხარდაჭერა

დადგა დრო, დასავლეთი გათავისუფლდეს უნივერსალიზმის ილუზიისაგან და დაამტკიცოს საკუთარი ცივილიზაციის ძალა, მთლიანობა და სიცოცხლისუნარიანობა. დასავლეთის ინტერესებში არ შედის სხვა ხალხების დავაში სხვადასხვა ფორმით ჩარევა. მომავალში პასუხისმგებლობა რეგიონული კონფლიქტების მოგვარებისათვის ამ რეგიონთა წამყვანი ცივილიზაციების ლიდერ სახელმწიფოებს უნდა დაეკისროთ. „მთელი პოლიტიკას - ადგილობრივი პოლიტიკა“, და ამ ჭეშმარიტების დასკვნა გახლავთ: „მთელი ძალაუფლება - ადგილობრივი ძალაუფლება“. ვერც გაერო და ვერც აშშ ვერ შესძლებენ მოაგვარონ ადგილობრივი კონფლიქტები ადგილობრივი ძალის რეალობის გაუთვალისწინებლად. ნებისმიერმა, ვინც კი ოდნავ ერკვევა კრიმინალისტიკაში, კარგად იცის, რომ ადგილობრივი კანონისა და წერსიგის დაცვის გარანტი შემოვლაზე მყოფი პოლიციელია და არა ჰორიზონტზე პოლიციის მოტორიზებული რაზმის გამოჩენის შესაძლებლობა. მულტიპოლარულ, მულტიცივილიზაციურ მსოფლიოში დასავლეთმა უნდა დაიცვას საკუთარი, და არა სხვა ხალხთა ინტერესები, არ ეცადოს მოაგვაროს კონფლიქტები სხვა ხალხთა შორის, რომლებიც მისთვის მცირე მნიშვნელობა აქვს ან სულაც უმნიშვნელოვა.

დასავლეთი მომავალი მნიშვნელოვანწილად მის ერთიანობაზეა დამოკიდებული. ცივილიზაციათა მკვლევარები აღნიშნავენ, რომ დასავლეთმა განვლო მოქიშპე სახელმწიფოებად დაყოფის პერიოდი და მიიწევს უნივერსალური სახელმწიფოსკენ, რაც შეიძლება გახდეს განახლების წყარო ამ დაცემა-დეზინტეგრაციის პრელუდია. ეს სტადია ჯერ კიდევ დაუსრულებელია, ჩამოუყალიბებელი, დასავლეთის ერი-სახელმწიფოთა და ორი ნახევრადუნივერსალური სახელმწიფოს - ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკაში - ფორმირების ტენდენციით. ამ ორი წარმონაქმნსა და მათ წევრებს ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციური კავშირების უაღრესად რთული ქსელი აერთიანებს. წინა ცივილიზაციათა უნივერსალურ სახელმწიფოებს იმპერიები

წარმოადგენდნენ. რადგან დემოკრატია დასავლური ცივილიზაციის პოლიტიკური ფორმაა, მომავალი უნივერსალური სახელმწიფო იმპერია კი არ იქნება, არამედ ფედერაციათა, კონფედერაციათა და საერთაშორისო რეჟიმების ერთობლიობა.

ამ ვითარებაში დასავლეთის ამოცანაა დინამიზმის შენარჩუნება და თანმიმდევრული წინსვლა. დასავლეთის ერთიანობა უფრომ მეტად აშშ-ზეა დამოკიდებული, ვიდრე ევროპაზე. ამჟამად აშშ სამი მიმართულებით მიიწევს წინ: სამხრეთით - ლათინოამერიკელების მზარდი მიგრაციით, ესპანურენოვანი მოსახლეობის რაოდენობისა და ძალის ზრდით; მექსიკის ჩართვით ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაში და NAFTA-ს გავრცელების პერსპექტივით დასავლეთ სახევისფეროს სხვა ქვეყნებზე; აგრეთვე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცვილილებებით ლათინურ ამერიკაში, რომლებიც სულ უფრო მეტად ამსგავსებს მას აშშ-ს. ამავე დროს, აშშ მიიწევს დასავლეთისაკენ - აღმოსავლეთ აზირუ საზოგადოებათა კეთილდღეობისა და გავლენის ზრდის, წყნარი ოკეანის თანამეგობრობის განვითარების მცდელობით, რომლის ხორცშესხმაა წარმოადგენს APEC-ის (აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამეგობრობა) ფორუმი; აზიიდან მიგრაციით. თუ დემოკრატია, თავისუფალი ბაზარი კანონის უზენაესობა, სამოქალაქო საზოგადოება, ინდივიდუალიზმი და პროტესტანტიზმი დამკვიდრდება ლათინურ ამერიკაში, კონტინენტზე, რომლის კულტურას ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდა დასავლეთთან, იგი შეერწყება დასავლეთს და იქცევა ასეთი დაახლოება შეუძლებელია. აზია რჩება ეკონომიკურ და პოლიტიკურ გამოწვევად პირველ რიგში აშშ-სა და, აგრეთვე, ევროპისათვის. მესამე მიმართულება - ევროპისაკენ - ყველაზე მნიშვნელოვანია. მსგავსი ფასეულობანი, ინსტიტუტები, ისტორია და კულტურა განაპირობებს შემდგომ მჭიდრო კავშირს შეერთებულ შტატებსა და ევროპას შორის. სასურველი და აუცილებელია კავშირების გაღრმავება ატლანტიკის გასწვივ, რაც მოიცავს ურთიერთობას ევროპა-ამერიკურლი თავისუფალი ეკონომიკური შეთანხმების ფარგლებში; აგრეთვე ჩრდილოატლანტიკური ეკონომიკური ორგანიზაციის, როგორც ნატოს-ს პარტნიორის შექმნა.

ევროპასა და ამერიკას შორის არსებული უთანხმოებანი გამომდინარეობს არა მათი ინტერესების დაპირისპირებიდან, არამედ მათი პოლიტიკიდან მესამე მხარესთან მიმართებაში. სხვა პრობლემებთან ერთად, ისინი მოიცავს მუსლიმთა მხარდაჭერის საკითხს ბოსნიაში, ისრაელის უშიშროების პრიორიტეტს ახლო აღმოსავლეთში, აშშ-ს ძალისხმევას

საჯარიმო სანქციების განხორციელებისათვის ამ კომპანიათა წინააღმდეგ, რომელთაც ბიზნესი აქვთ ირანთან და კუბასთან, სრულ ეკონომიკურ სანქციებს ერაყის წინააღმდეგ, ადამიანთა უფლებებისა და შეიარაღების ზრდის საკითხს ჩინეთში და სხვ. არადასავლური სახელმწიფოები, განსაკუთრებით ჩინეთი, აქტიურად იყენებენ ამ უთანხმოებებს დასავლეთის ქვეყნების ერთმანეთის წინააღმდეგ წაქეზებისათვის. თავად უთანხმოებანი, ძირითადად, წარმოიშობა განსხვავებული გეოპოლიტიკური პერსპექტივებიდან, საშინაო პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. დასავლეთის ერთიანობის შენარჩუნებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო მოვლენებზე დასავლეთის გავლენის შემცირების შესაწინააღმდეგ. დასავლეთის ხალხებს გაცილებით მეტი საერთო აქვთ ერთმანეთთან, ვიდრე აზიის, შუა აღმოსავლეთის ან აფრიკის ხალხებთან. დასავლეთის სახელმწიფოთა ლიდერებს აქვთ ურთიერთდობისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბებული ტრადიცია, რაც, იშვიათაი გამონაკლისის გარდა, არ გააჩნიათ სხვა ქვეყნების ლიდერებთან. გაერთიანებული დასავლეთი სერიოზულ როლს შეასრულებს საერთაშორისო არენაზე, დაყოფილი და დაცალკევებული და შესაძლებლობას მისცემს არადასავლურ სახელმწიფოებს, გამოიყენონ მათ შორის არსებული ურთიერთობანი და შესთავაზონ ხანმოკლე წარმატებათა შანსი ზოგიერთ დასავლურ ქვეყანას, მთელი დასავლეთისათვის ხანგრძლივი დანაკარგების ფასად. დასავლეთის თანმიმდევრული წინსვლა გულისხმობს როგორც დასავლური კულტურის შენარჩუნებას დასავლეთის ფარგლებში, ასევე დასავლეთის საზღვრების დადგენას. ეს მოითხოვს არადასავლური ქვეყნებიდან იმიგრაციული პროცესების კონტროლს, რაც გააკეთა ყველა მთავარმა ევროპულმა ქვეყანამ და რის გაკეთებასაც იწყებს აშშ; აგრეთვე, დასავლურ კულტურაში იმიგრანტთა ასიმილაციის უზრუნველყოფას. ეს ნიშნავს იმის აღიარებასაც, რომ ცივი ომის შემდგომ პერიოდში ნატო დასავლური ცივილიზაციის უსაფრთხოების ორგანიზაციაა და მისი უპირველესი მიზანია ამ ცივილიზაციის დაცვა და შენარჩუნება. ამდენად, ქვეყნებს, რომლებიც ისტორიულად, რელიგიურად და კულტურულად ეკუთვნიან დასავლეთს სურვილის შემთხვევაში, უნდა მიეცეთ ნატო-ში შესვლის შესაძლებლობა. ფაქტიურად, ესაა ბალტიის სახელმწიფოები, სლოვენია და ხორვატია, მაგრამ არა ისინი, ვინც ისტორიულად მუსლიმი ან ორთოდოქსი იყო. რადგან უკანასკნელ ხანს დებატები ნატოს-ს გაფართოების ირგვლივ მიმდინარეობს, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ნატო-ს მისიის შეცვლასთან ერთად, თურქეთისა და

საბერძნეთის კავშირები ნატო-სთან შესუსტდება და მათი წევრობა ან დასრულდება, ან მნიშვნელობას დაკარგავს. ნატო-დან გამოსვლას თურქეთის კეთილდღეობის პარტია თავის მიზნად აცხადებს, საბერძნეთი კი რუსეთის მოკავშირე ხდება.

დასავლეთმა განვლო განვითარების ევროპული ფაზა, რომელიც რადენიმე საუკუნე გაგრძელდა, და ამერიკული ფაზა, რომელიც ამ საუკუნეს მოიცავს.

თუ ჩრდილოეთ ამერიკა და ევროპა განაახლებენ თავიანთ მორალურ სახეს, გამოიყენებენ კულტურულ ერთობას, განავითარებენ ეკონომიკურ და პოლიტიურ ინტეგრაციას და თანამშრომლობას უსაფრთხოებისათვის ნატო-ს ფარგლებში, მათ შეუძლიათ შექმნან დასავლური კეთილდღეობისა და გავლენის მესამე, ევროამერიკული ფაზა. დასავლეთის ლიდერების უმთავრესი პასუხისმგებლობაა არა სხვა ცივილიზაციათა დასავლურად გარდაქმნა, რაც მათ შესაძლებლობებს აღემატება, არამედ დასავლური ცივილიზაციის უნიკალური ნიშნების დაცვა და განახლება. ეს პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, ეკისრება ყველაზე ძლიერ დაავლურ ქვეყანას - აშშ-ს. გლობალიზმი და იზოლაციონიზმი ვერ დაიცავენ აშშ-ს ინტერესებს. ეს ინტერესები ყველაზე უკეთ იქნება დაცული, თუ აშშ უარს იტყვის ასეთ უკიდურესობებზე და დაადგება ევროპულ პარტნიორებთან მჭიდრო ანტლანტიკური თანამშრომლობის გზას, მათთვის საერთო, უნიკალური ცივილიზაციის დასაცავად.

ინგლისურიდან თარგმნა **ნინო ჩიქოვანმა**
2003 წ.

http://www.culturedialogue.com/resources/library/translations/huntington_1.shtml

ჰანთინგტონის ”ცივილიზაციათა შეჯახების” თეორია ქართულ პრესაში

როგორი იქნება საქართველოს არჩევანი ცივილიზაციათა ომში: ცივილიზაციათა შეჯახება უკვე მოხდა

11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებულ ტერორისტულ აქტებს მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტს ვერ ვუწოდებთ. შეიძლება ითქვას: ეს უფრო ცივილიზაციური, კულტურული, რელიგიური კონფლიქტების გამოვლინებაა დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ქრისტიანულ კულტურასა და ისლამურ ფუნდამენტალიზმს შორის. ალბათ, სწორედ, ამ ლოგიკიდან გამომდინარე პრეზიდენტი ბუში მომავალ საპასუხო აქციას ჯვაროსნულ ომს უწოდებს. CNN-ის დღევანდელი აგენდა ასე ჟღერს: ომი ტერორის წინააღმდეგ.

კაცობრიობის ისტორია იშლება ერთმანეთისგან იზოლირებულ და განსხვავებულ კულტურათა ისტორიებად. ცნობილია, რომ ცივილიზაციათა შეჯახების ფონზე ცალკეული კულტურები დეგრადაციას განიცდიან. მართალია, დასავლური ცივილიზაცია დღეს ყველაზე გავლენიანია, მაგრამ არ არის ერთადერთი. მას უპირისპირდება ისლამური ფუნდამენტალიზმი, როგორც ცივილიზაცია და კულტურული ფენომენი. ისლამური ფუნდამენტალიზმის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ დასავლურ ფასეულობათა სისტემაში ინტეგრაცია მათ თვითმყოფადობას დააკარგვინებთ. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ირანის ისლამური რევოლუცია, რომელიც ქვეყნის დასავლურ რელსებზე გადაყვანის წინააღმდეგ იყო მიმართული. გავიხსენოთ: რევოლუციამდე ირანი ეკონომიკურად იმდენად ძლიერი იყო, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასაც აძლევდა სესხებს. ირანის შაჰი მრავალცოლიანობის ინსტიტუტის გაუქმებასაც აპირებდა. მაგრამ რევოლუციის შემდეგ, სულ რაღაც ორ კვირაში, ფუნდამენტალიზმმა ქვეყანა შუა საუკუნეების დონის ქვეყნად გადააქცია. ირანი, მართლაც, ტრაგიკული, დრამატული, მაგრამ ყველაზე მკაცრი ილუსტრაციაა ფუნდამენტური პოლიტიკის რეალიზაციისა მთელ მსოფლიოში. თუმცა, არსებობს პარადოქსული ტენდენცია: დღეს დასავლეთის ეკონომიკური სტრატეგია საჭიროებს ენერგომატარებლებს. ენერგომატარებლების წყარო კი, ძირითადად, ისლამური ქვეყნებია. მათი ეკონომიკური პოტენციალი იზრდება, მაგრამ მსოფლმხედველობრივი, კულტურული პოტენციალი, პირიქით, წარსულს უბრუნდება. ამრიგად, ისლამურ ქვეყნებში მსოფლმხედველობრივი კონფლიქტი ადვილად პოულობს თავის ეკონომიკურ ბაზას, დასაყრდენს. თუ იდეოლოგია კონსერვატულია (არ აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს ისლამური თუ ქრისტიანული), ის აუცილებლად კონფლიქტში იქნება თანამედროვეობასთან. მაგრამ დღეს არსებობს უამრავი ისლამური ქვეყანა, რომელიც თავის თვითმყოფადობასაც ინარჩუნებს და, ამავე დროს, თანამედროვეობასთანაც ჰარმონიაშია. უფრო მეტიც, თანამედროვე ცივილიზაცია ამ ქვეყნების, როგორც ენერგომატარებლების, ბაზისის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა.

რამაზ საყვარელიძე, ექსპერტი: "11 სექტემბრის შემდეგ, შესაძლოა, ისლამის წინააღმდეგ მიმართული პროცესები სტიქიურად განვითარდეს. ექსპერტთა შეფასებებს, შეიძლება, განსხვავებული შედეგები მოჰყვეს. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ისლამური ფუნდამენტალიზმისა და ისლამის მიმდევრები, როგორც ასეთი. არაპუმანური რელიგია არ არსებობს. ისლამი თავის თავში აგრესიას არ ატარებს, ისევე, როგორც

ქრისტიანობა. თუმცა, ჯვაროსნული ომების დროს და ინკვიზიციის პერიოდში აგრესიის გამოვლინებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. ასე რომ, რადიკალიზმის შემთხვევაში ნებისმიერი იდეოლოგია ბუმერანგის ეფექტის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს, ანუ თავად დაუპირისპირდეს იმ ღირებულებებს, რომლის მატარებელიც არის. მაგრამ დღეს ისლამში გაძლიერდა ფუნდამენტალიზმის გამოვლინება. ყოველგვარი ფუნდამენტალიზმი კი გარკვეული რედუქცია, უკან დაბრუნებაა. როგორც წესი, არც ერთი ფუნდამენტალისტური მოძრაობა პროგრესის მომხრე არ არის. ირანმა თანამედროვე ცივილიზაციის მონაპოვარზე უარი თქვა. შედეგად, მივიღეთ მიკროკულტურა. ხდება კულტურათა და არა რელიგიური შეჯახება. შუა საუკუნეების აღმოსავლეთი უპირისპირდება თანამედროვეობას. 11 სექტემბრის ტრაგედია ამის ნათელი გამოვლინებაა. მაგრამ, როგორც წესი, ადამიანები, რომლებიც ამ იდეოლოგიურ მანქანას ქმნიან, პოლიტიკურ მიზნებს ისახავენ. საქმე ფსიქოლოგიურ პრობლემასთან გვაქვს. მანიაკალური იდეით შეპყრობილ ადამიანებს ხელეწიფებათ სხვის ფსიქიკაზე მანიპულირება. ამისთვის რელიგიას იყენებენ. კამიკამეები ასეთი პრაქტიკის შედეგია. ფუნდამენტალიზმის იდეოლოგია ნარკოტიკულ ეფექტს იძლევა და პიროვნებას ანადგურებს. იდეოლოგიის მსხვერპლი, ნარკომანის მსგავსად, ავადმყოფია და დახმარებას საჭიროებს. მაგრამ თავად ამ იდეოლოგიის ავტორი, ნარკოტიკების გამაფრცვლელბლის მსგავსად, ბოროტმოქმედია".

მუსულმანურ ქვეყნებში პოლიტიკური და საგანმანათლებლო დონე დაბალია. შესაბამისად, ძნელია დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა. სამაგიეროდ, ადვილია ხელისუფლების ტირანიზაცია, ერთმმართველობის დამყარება. ისლამური ქვეყნები დასავლეთს პოლიტიკური, სახელისუფლებო მენტალიტეტით უპირისპირდებიან. როდესაც ეკონომიკური მექანიზმები სუსტი აქვთ, იწყებენ მილიტარული ინტერესების გავრცელებას. ეს უკვე ფუნდამენტალიზმის გამოვლინებაა. ანუ, თუ ასეთ ქვეყნებში დემოკრატიული მექანიზმები არ შეიქმნა, ეკონომიკური სიმდიდრეც ვერ იძლევა მშვიდობის გარანტიას. ომის საშიშროება მუდამ იარსებებს. თუმცა, ეკონომიკური მხარე თანამედროვე ცივილიზაციის არსებობის აუცილებელი ფაქტორია. მაგრამ რაღაც ეტაპზე თავისუფალი ბაზარი აუცილებლად მოვა კონფლიქტში პოლიტიკურ სიტუაციასთან.

რამაზ საყვარელიძე: "დასავლეთშიც ბურჟუაზიის გაძლიერებამ, ანუ ეკონომიკური ბაზრის შექმნამ დააყენა დღის წესრიგში პოლიტიკური ბაზრის, დემოკრატიის შექმნის აუცილებლობა. ისლამურ

ქვეყნებში არსებული ხელისუფლების ტრადიციები - მემკვიდრეობითობა, ხელისუფლების ფეოდალური სტრუქტურა - არცთუ ისე სინქრონულია თავისუფალ ბაზართან. მაგალითად, ინგლისმა ფეოდალური მონარქიის სტრუქტურა შეინარჩუნა, მაგრამ წინა პლანზე წამოვიდა მინისტრთა კაბინეტი, როგორც ხელისუფლების მართვის ორგანო. ირანში კი წამყვანი გახდა რელიგიური პრინციპი. დემოკრატია, თითქოს, დამკვიდრდა მხოლოდ ერთ, რელიგიურ, საკითხში. პოლიტიკურ დემოკრატias ამას ვერ დავარქმევთ. პრაქტიკულად, ასეთ ქვეყნებში პრობლემას წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის საკითხი".

კახა კაციტაძე, ექსპერტი: "დღევანდელი დასავლური ცივილიზაციის ფუნდამენტურ მახასიათებლებს შეადგენს: სამართლებრივი სახელმწიფო, მართვის დემოკრატიული სისტემა; სამოქალაქო საზოგადოება; ხელისუფლების დეცენტრალიზაცია, ადგილობრივი ინიციატივების განვითარება; ინფორმაცია, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების თუ ეკონომიკის საფუძველი. ეს მახასიათებლები ძირითად მონაპოვრებთან ერთად შეადგენენ იმას, რასაც დასავლური ცივილიზაცია შეგვიძლია ვუწოდოთ. საპირისპიროდ ამისა, მართლმადიდებლურ - აღმოსავლეთსლავური ცივილიზაცია, მის იდეოლოგთა თანახმად, გულისხმობს: სახელმწიფოს ხელისუფლების გაკულტებას, ავტოკრატias ("დერჟავნოსტის" და "სამოდერჟავიეს" შესატყვის ამ ტერმინს ვხმარობ იმდენად, რამდენადაც მას ქართულში ეკვივალენტი არ მოეპოვება), ავტორიტარულ სტილს. ამ დროს ქვეყანა "სამოდერჟეცის" ნებით იმართება და არა მოქალაქეთა ინტერესების გამომხატველი კანონებით. ითვლება, რომ ხელისუფლებამ ყოველთვის უკეთ იცის, რისი გაკეთებაა საჭირო, ვიდრე ხალხმა; ამ ცივილიზაციისთვის დამახასიათებელია სამოქალაქო ინსტიტუტების არარსებობა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ცენტრალიზებული, სახელმწიფოებრივი კონტროლი, სახელმწიფოს ზემოდან მართვა, ვერტიკალური ურთიერთობების პრიმატი ჰორიზონტალურზე, სახელმწიფო იდეოლოგიის ან კვაზიდეოლოგიის აუცილებელი არსებობა. დაუმატეთ ამას თემობრიობა ("ობშნოსტ"), მიწაზე კერძო საკუთრების არარსებობის ტრადიცია და მივიღებთ დასავლური ცივილიზაციის ალტერნატივის შთამბეჭქდავ სურათს. საკითხავი მხოლოდ ისღა რჩება, ვის სურს იცხოვროს ასეთ ცივილიზაციაში?"

რა თქმა უნდა, აღმოსავლეთში არსებობენ ქვეყნები, სადაც არჩევნები დემოკრატიულად ტარდება. მაგრამ საზოგადოებრივი

განვითარების დონე იქ იმდენად დაბალია, რომ დემოკრატიაზე საუბარიც ზედმეტია. რაც შეეხება ევროპას: მას დიდი ხანია, კრიზისის განცდა აქვს. კლასიკური ევროპის კრიზისი გარდაუვალი იყო. არისტოკრატიულმა ღირებულებებმა კლასიკური კულტურა შექმნა და ამ ღირებულებების ფარგლებში დაბადა ის, რამაც ამერიკული ცივილიზაცია წარმოშვა. ამერიკული კულტურა მთლიანად პრაგმატიზმზე აეწყო. ამერიკულ კულტურაში ფიზიკური ძალის ნაცვლად წინ წამოვიდა კომერციული, ეკონომიკური ძალის პარადიგმა. მაგრამ მსოფლიო ამ პარადიგმაზე მთლიანად ჯერ ვერ გადაიწყო.

რამაზ საყვარელიძე: "როგორც წესი, პარადიგმა თავის თავში ბევრ ხარვეზს აგროვებს, ამიტომ ახლით, თავის საწინააღმდეგოთი იცვლება ხოლმე. ისევე, როგორც, მაგალითად, პრაგმატულმა პარადიგმამ შეითავსა თავის თავში მილიტარული, ანუ ძალისმიერი, პარადიგმა. ალბათ, მომავალი პარადიგმა ამ ორს მოიცავს და თავადაც ზედ დაეშენება. განვითარება მაინც შენების პრინციპზეა დამყარებული. რაც შეეხება საქართველოს, იგი ისლამურ აღმოსავლეთისა და ქრისტიანულ დასავლეთს შორის არის მოქცეული. კავკასიური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე ღონიერი შტო ქართული კულტურაა, მაგრამ მან ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა საკუთარი სახე. მაგალითად, ჩინური ფსიქოლოგია ასახა დაოს ფილოსოფიამ და პრაქტიკამ, შემდეგ - დაოისტურმა რელიგიამ და ა.შ. ამ ეთნოსის დამოკიდებულება საკუთარი თავისა და სამყაროს მიმართ გარკვეულ ცხოვრების წესში აისახა, ეს ცხოვრების წესი - გარკვეულ ფილოსოფიაში, ფილოსოფია - რელიგიაში და ა.შ. მივიღეთ ის უნიკალური მოვლენა, რომელსაც ჩინური კულტურა ჰქვია. ანალოგიური გზა გაიარა ინდურმა კულტურამ. მაგრამ ქართულ და კავკასიურ ფსიქოლოგიას ასეთი კრისტალიზაცია არ განუცდია. თუ კავკასიურ ცხოვრების წესში ჩავიხედავთ, დავინახავთ, რომ ამ რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს ბევრი საერთო აქვთ. ეს ისეთი ერთობაა, რომელიც არც ბიზანტიურ, არც ირანულ და არც თურქულ თავისებურებებზე არ დაიყვანება. ქართველი ხალხის ცხოვრების წესის გარკვეული სპეციფიკით გამოირჩევა. ეს სპეციფიკა ერთ მთლიან სისტემად უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც ქართული ცხოვრების წესის კონცეფცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვილად განვიცდით ასიმილაციას.

დიდი ქვეყნების ცივილიზაციები, სწორედ, ამგვარმა კონცეფციებმა და შემდეგ უკვე მათმა გადასვლამ რელიგიებსა და კულტურაში გადაარჩინა. ფიზიკური კულტურა, ანუ კონცეფციად, დოქტრინად ქცეული კულტურა, ის გენია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. რაც უფრო სუსტია ეს გენი, მით უფრო დიდია შანსი, რომ მომავალში

თაობები დაიკარგოს. ასეთი თვითშემეცნება ის N1 ამოცანაა, რომელიც საქართველოს სჭირდება, რომ მყარად იგრძნოს თავი დინამიურ სამყაროში".

კახა კაციტაძე: "გაუთავებელი დავა პრორუსულ და პროდასავლურ ორიენტაციებს შორის ადასტურებს, რომ საქართველო არც ერთ ცივილიზაციას არ მიეკუთვნება. ის რუსულს, უფრო ზუსტად, აღმოსავლეთ მართლმადიდებლურს რომ განეკუთვნებოდეს, არც დადგებოდა საკითხი მისი დასავლური ორიენტაციის შესახებ. დასავლური რომ იყოს, მაშინ საერთოდ აზრს დაკარგავდა მსჯელობა მის დასავლურ ორიენტაციაზე. აქედან გამომდინარე, ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ: დღევანდელი საქართველო, ამ თვალსაზრისით, მარგინალურია, რაც ნიშნავს, რომ საქართველო არ არის ინტეგრირებული არც ერთი დიდი ცივილიზაციის ერთობაში. უახლოეს ხანში საქართველოს მოუწევს განვითარების ორი გზიდან აირჩიოს ან რომელიმე ცივილიზაციაში ინტეგრირება, ან შეინარჩუნოს მარგინალური მდგომარეობა. პირველი გზა გულისხმობს საქართველოს ინტეგრირებას რომელიმე მეზობელ ცივილიზაციაში. რამდენადაც ახლო აღმოსავლური ცივილიზაცია საერთოდ ირიცხება, რჩება აღმოსავლეთ-მართლმადიდებლური და დასავლური ცივილიზაციები."

კახა კაციტაძის თქმით, მარგინალურ მდგომარეობაში ყოფნით საქართველო საკუთარი თავის იზოლირებას მოახდენს განვითარების მაგისტრალური ხაზიდან. ასეთ პირობებში ის ვერ მოახერხებს ახალი ინფორმაციების ათვისებას, ახალი იდეების აკუმულირებას, ინვესტიციების მოზიდვას, ე.ი. ჩვენი სახელმწიფო ვერ მოახერხებს, შეასრულოს ის ამოცანები, რომლებიც ნებისმიერი სახელმწიფოს წინაშე დგას: უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოება და კეთილდღეობა. ორივე მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ საქართველო დასავლური ცივილიზაციის ორგანული ნაწილი გახდება.

ავტორი: ნინო მუსყერიძე

ახალი 7 დღე

2001-09-21

<http://www.opentext.org.ge/index.php?m=28&y=2001&art=768>

ერაყის ომი პოლიტოლოგიური ჰიპოთეზების ქრილში

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1989 წელს გამოქვეყნდა ფრანსის ფუკუიამას მეცნიერული ჰიპოთეზა "ისტორიის დასასრულის" შესახებ; 1993 წელს კი ამავე ქვეყანაში გამოქვეყნდა სამუელ ჰანთინგტონის

ავტორი და ანთაძე

02.04.2003

მეცნიერული ჰიპოთეზა "ცივილიზაციათა შეხლის" შესახებ. ორი დიდი სწავლულის პოლიტოლოგიური პროგნოზი ერთმანეთს არ ემთხვევა. რომელ მათგანს ამართლებს ბოლოხანს განვითარებული მოვლენები?

2001 წლის 11 სექტემბრის შემზარავი ტერაქტები ამერიკის შეერთებულ შტატებში და ამ ფაქტით გამოწვეული მოვლენები: ანტიტერორისტული კოალიციის შექმნა, ომი ავღანეთსა და ერაყში, - შესაძლოა, მივიჩნიოთ როგორც ფუკუიამას, ისე ჰანთინგტონის ჰიპოთეზის დადასტურებად. თუმცა ამჟამინდელი შეფასება მხოლოდ შუალედური შეიძლება იყოს. საბოლოო პასუხი დამოკიდებულია მოვლენების განვითარებაზე უახლოეს ათწლეულში.

ფრანსის ფუკუიამას ნაშრომის უმთავრესი იდეა ისაა, რომ კომუნისტების ნგრევამ ლიბერალური დემოკრატია ერთადერთ სიცოცხლისუნარიან იდეოლოგიად აქცია. ამიტომ ეს იდეოლოგია დროთა განმავლობაში მთელ მსოფლიოზე გარდაუვალად გავრცელდება და დადგება კაცობრიობის განვითარების ბოლო, პოსტისტორიული საფეხური. ფუკუიამა იზიარებს დასავლეთში ფართოდ გავრცელებულ თვალსაზრისს, რომ ლიბერალური დემოკრატისადმი მტრულად განწყობილი მოვლენა ნაციონალიზმია. ამიტომ ერთის გამარჯვება ბუნებრივად გამოიწვევს მეორის მარცხს: "ლიბერალიზმს თავისუფლად შეუძლია ნაციონალიზმთან თანაარსებობა, როცა ეს უკანასკნელი ტოლერანტული ხდება. ეს ნიშნავს, რომ ნაციონალური თვითშეგნება კერძო ცხოვრებასა და კულტურის სფეროში უნდა განიდევნოს და არ უნდა მოხდეს მისი პოლიტიზაცია. ანუ ის არ უნდა გახდეს იურიდიულად გაფორმებულ კანონთა საფუძველი. ეროვნული რაობა ღია უნდა იყოს იმგვარად, რომ აფრიკელს შეეძლოს, გახდეს ფრანგი, თუკი ილაპარაკებს ფრანგულად და აითვისებს იმ ჩვეულებებსა და ქცევის წესებს, რაც ტრადიციული ფრანგული კულტურის იერს განსაზღვრავს."

თუ ბოლო წელიწადნახევრის გლობალურ პროცესს ფუკუიამას მოსაზრებების ჭრილში გავხედავთ, შეიძლება ვაღიაროთ, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს თავდადებული ბრძოლა სწორედ ლიბერალური დემოკრატიის გავრცელებისა და დამკვიდრებისთვის. ამ კუთხით, თითქოს, ფუკუიამას მეცნიერული ჰიპოთეზა დასტურდება.

როგორ წარმოადგინა გლობალური პროცესი სამუელ ჰანტინგტონმა? მისი თვალსაზრისით, მომავალ მსოფლიოს განსაზღვრავს 7-8 განსხვავებული ცივილიზაცია, რომელთა შორის დაპირისპირება შეენაცვლება იდეოლოგიურ ბრძოლასა და კონფლიქტის სხვა ფორმებს. მომავალი მსოფლიო ომი, თუკი იგი მოხდა, იქნება ომი ცივილიზაციათა შორის. შესაბამისად, დასავლეთის ძალისხმევა, რომ მთელ მსოფლიოში გაავრცელოს დემოკრატიული და ლიბერალური ფასეულობები, სხვა ცივილიზაციების მხრიდან შემხვედრ რეაქციას შეეჯახება. საერთაშორისო ურთიერთობებში დასავლეთის ქვეყნების როლი მოიკლებს, ხოლო არადასავლური ცივილიზაციები ამ ურთიერთობათა აქტიურ მოქმედ პირებად იქცევიან: "უახლოესი მომავლის ცენტრალური კონფლიქტი იქნება შეჯახება დასავლეთსა და ისლამური ცივილიზაციის წარმომადგენელ ზოგიერთ ქვეყანას შორის, რომლებიც უკვე ემუქრებიან დასავლეთის ფასეულობებს, ინტერესებსა და ძლევამოსილებას."

ჰანტინგტონის თვალსაზრისით, მომავალ კონფლიქტებს საფუძვლად დაედება არსებითი განსხვავებები, რომლებიც ბუნებრივად არსებობს ცივილიზაციებს შორის: ისტორია, ენა, კულტურა, ტრადიცია და, რაც მთავარია, რელიგია; ისიც, რომ სხვადასხვა ცივილიზაციის ხალხებს განსხვავებული წარმოდგენა აქვთ ღმერთისა და ადამიანის, პიროვნებისა და ჯგუფის, მოქალაქისა და სახელმწიფოს, მშობლებისა და შვილების, ქმრისა და ცოლის ურთიერთობაზე. ცივილიზაციების მიხედვით, სხვადასხვაგვარად აღიქმება ისეთი ცნებებიც, როგორცაა უფლება და მოვალეობა, თავისუფლება და ძალაუფლება, თანასწორობა და იერარქია. ჰანტინგტონის თვალსაზრისით, ამ განსხვავებებს გაცილებით ღრმა საფუძველი აქვს, ვიდრე პოლიტიკურ იდეოლოგიებს.

თუ ბოლოდროინდელ მოვლენებს ჰანტინგტონის მოსაზრებების ჭრილში გავხედავთ, უნდა ვაღიაროთ, რომ მიმდინარეობს სწორედ ცივილიზაციათა შეჯახების პროცესი და ამ კუთხით, თითქოს, ჰანტინგტონის მეცნიერული ჰიპოთეზა დასტურდება.

რა ქმნის წინააღმდეგობას? სქემატურად თუ ჩამოვყალიბებთ, ფუკუიამას მოსაზრების თანახმად, ლიბერალური დემოკრატია დამკვიდრდება საყოველთაოდ და ეს პროცესი გარდაუვალია.

ჰანტინგტონი კი მიიჩნევს, რომ ლიბერალური დემოკრატიის საყოველთაოდ დამკვიდრების მცდელობა იქნება წარუმატებელი, რადგან შეუვალ წინააღმდეგობას წააწყდება სხვადასხვა ცივილიზაციის ხალხების მხრიდან.

რა არის საბოლოო პასუხი? მის მიღებას, სულ მცირე, ერთი ან რამდენიმე ათწლეული დასჭირდება, ათწლეულები ომებისა და საზარელი ტერაქტების გარეშე. საბრძოლო მოქმედებები დღეს თუ ხვალ დასრულდება. მაგრამ დასრულდება თუ არა ოდესმე შეჯახება ცივილიზაციებს შორის? ამ შეკითხვაზე დიდ სწავლულებს განსხვავებული პასუხი აქვთ.

<http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1527545.html>

სემიუელ ჰანტინგტონი და „მესამე მსოფლიო ომი“

დასავლეთში დიდი გამოხმაურება გამოიწვია ჰარვარდის უნივერსიტეტის ჰოლნის სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის თანამშრომლის, სემიუელ ჰანტინგტონის სტატია, რომელიც ჟურნალ „ფორინ აფერსში“ გამოქვეყნდა. ცოტა ხნის წინ კი არანაკლები რეზონანსი მოჰყვა იაპონელი პოლიტოლოგის - ფუკუიამას სენსაციურ სტატიას „ისტორიის დასასრული“, რომელშიც იგი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კაცობრიობის ისტორია თავის განვითარების დამასრულებელ ფაზაში შევიდა და არც ისე შორს არის ხანა, როდესაც მსოფლიოში ყოველგვარი ანტაგონიზმი მოისპობა.

ჰანტინგტონის კონცეფციით კი პირიქით - მსოფლიოს ისტორია კონფლიქტების ახალ ერაში შედის. ოღონდ ამ კონფლიქტებს უკვე აღარ წარმოშობს იდეოლოგია ან ეკონომიკა - ყველა დიდი შეჯახება კულტურათა შეჯახება იქნება.

მეცნიერის აზრით, „ცივი ომის“ დროს მსოფლიო სამ „სამყაროდ“ იქნა გაყოფილი. ეს დაყოფა მოძველდა. დღეს ქვეყნები უნდა დაიყოს არა მათი ეკონომიკური ან თუნდაც იდეოლოგიური სისტემების მიხედვით, არამედ იმის შესაბამისად, თუ რომელ კულტურას განეკუთვნებიან ისინი, ანუ რომელ ცივილიზაციას წარმოადგენენ.

დასავლურ ცივილიზაციას ორი ძირითადი ვარიანტი აქვს - ევროპული და ჩრდილოამერიკული. ისლამს კი სამი. - არაბული, თურქული და მალაური. მართალია ცივილიზაციათა შორის საზღვრები მკვეთრად განსაზღვრული არ არის, მაგრამ ეს ცივილიზაციები რეალურად არსებობენ. ისინი იყოფიან, ერთმანეთს ერწყმიან, ვითარდებიან და ქრებიან.

დასავლეთში ითვლება, რომ ისტორიის ძირითადი სუბიექტი ეროვნული სახელმწიფოა. ეს არასწორი შეხედულებაა - ნაციონალური სახელმწიფო ისტორიის უმთავრესი სუბიექტი იყო მხოლოდ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ისტორიის უდიდესი ნაწილი კი მოიცავს ცივილიზაციათა ურთიერთმოქმედების ისტორიას. დღეს მსოფლიო კვლავ უბრუნდება ამ სქემას.

ცივილიზაციათა თვითმყოფადობა იძენს სულ უფრო გამოკვეთილ ხასიათს, ხოლო მსოფლიოს მომავალი სახე შეიქმნება შვიდი-რვა მთავარი ცივილიზაციის ურთიერთობის შედეგად.

ეს ცივილიზაციებია: დასავლური, კონფუციონისტური (ჩინეთი, კორეა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნები), იაპონური, ისლამური, ინდუისტური, სლავურ-მართლმადიდებლური, ლათინო-ამერიკული და შესაძლოა, აფრიკული.

ყველაზე სისხლიანი კონფლიქტები ამ ცივილიზაციათა „საზღვარზე“ წარმოიშობა. რატომ? უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ძალზე ღრმაა სხვაობა ცივილიზაციათა შორის - ეს არის სხვადასხვაობა ენაში, ისტორიაში, კულტურაში, ტრადიციებში ანუ, მთლიანობაში, ღირებულებებში.

სხვადასხვა ცივილიზაციაში ადამიანს განსაკუთრებული შეხედულება აქვს ადამიანის და ღმერთის, მოქალაქისა და სახელმწიფოს, მშობლებისა და შვილების, თავისუფლებისა და ძალაუფლების, თანასწორუფლებიანობისა და იერარქიის შესახებ. ყველა ეს სხვაობა და თავისებურება უეჭველად წარმოშობს დაძაბულობას და გამოიწვევს ომებს.

მეორე მიზეზი ის არის, რომ მსოფლიო უფრო მჭიდროდ დასახლებული ხდება, ცივილიზაციათა შორის ურთიერთმოქმედება ღრმავდება. ეს ურთიერთქმედება კი არ შლის, არამედ აძლიერებს საკუთარი თვითმყოფადობის შეგრძნებას. მარტივი მაგალითი: ამერიკელები გაცილებით

უფრო მწვავედ რეაგირებენ იაპონურ ინვესტიციებზე, ვიდრე კიდევ უფრო დიდ ინვესტიციებზე კანადელთა ან ევროპელთა მხრიდან - ამერიკის ეკონომიკაში.

მესამე: ეკონომიკური და სოციალური ძვრები აშორებენ ადამიანს ადგილობრივი ტრადიციებისაგან. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ეს შრე რელიგიამ შეავსო. თანაც, მისმა იმ ფორმამ, რომელსაც „ფუნდამენტალისტურს“ უწოდებენ. ასეთი მიმდინარეობანი არსებობენ დასავლურ ქრისტიანობაში, იუდაიზმში, ბუდიზმსა და ისლამში. მსოფლიოს დესეკულარიზაცია დომინირებადი ფაქტორი ხდება.

მეოთხე: მაშინ, როდესაც დასავლური ცივილიზაცია თავისი განვითარების ზენიტში იმყოფება, სხვა ცივილიზაციები საკუთარ ფესვებს უბრუნდებიან.

დღეს იაპონიაში, მიუხედავად მისი ტექნიკური პროგრესისა, აშკარად იზრდება „აზიური ელემენტი“, ინდოეთში - ივიწყებენ ჯავაჰარლალ ნერუს და ინდუიზმს უბრუნდებიან, ირანში - ისლამს, ხოლო რუსეთში - სულ უფრო დიდ გაქანებას პოულობს სლავიანოფილური მოძრაობა.

დასავლური ცივილიზაციის აგრესიული მცდელობა, დაამკვიდროს მთელ მსოფლიოში თავისი ფასეულობანი (დემოკრატია, ლიბერალიზმი) სხვა ცივილიზაციათა საპასუხო რეაქციას იწვევს, ამიტომ უახლოეს ხანში უნდა ველოდოთ დასავლეთსა და დანარჩენ სამყაროს შორის მამუტებურ დაპირისპირებას თუ კონფლიქტს. ამის პირველი ნიშანია კონფუციონიზმსა და ისლამს შორის ურთიერთობათა გაცხოველება - „საერთო მტრის“ წინააღმდეგ.

მეხუთე: კულტურული თავისებურებანი უფრო მყარია, ვიდრე ეკონომიკური ან სოციალური. ყოფილ საბჭოთა კავშირში კომუნისტები - დემოკრატებად იქცევიან, მდიდრები - ღარიბებად და ღარიბები - მდიდრებად, მაგრამ შეუძლებელია ქართველები იქცნენ - ესტონელებად ან კათოლიკენი - მართლმადიდებლებად.

და ბოლოს, იზრდება ეკონომიკური რეგიონალიზმი. ეს კი გააძლიერებს საკუთარი თვითმყოფადობის შეგნებას. მეორე მხრივ, იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს წარმატებას, თუ დაფუძნებული იქნება ერთიან კულტურაზე. ევროპული ინტეგრაცია საერთო კულტურულ საფუძველს ემყარება. იაპონიას კი ძალზე უჭირს აღმოსავლეთ აზიაში ასეთივე

კავშირის შექმნა, რადგან, გარეგნული მსგავსების მიუხედავად, მისი ცივილიზაცია თავისთავად უნიკალურია და მწელად გუგუბა უცხოს.

მას შემდეგ, რაც დაინგრა ბერლინის კედელი და აღარ არსებობს ევროპის გამყოფი „რკინის ფარდა“, კვლავ წარმოიშვა დაპირისპირება ევროპაში მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმს შორის. დასავლურ და ისლამურ ცივილიზაციებს შორის კი კონფლიქტი ათასზე მეტი წელია გრძელდება. ისტორიულად არსებობდა ანტაგონიზმი არაბულ სამყაროსა და მათ სამხრეთით მცხოვრებ წარმართულ ცივილიზაციას შორის, რომელიც აფრიკის დიდ ნაწილს მოიცავს. ისლამის ჩრდილოეთ საზღვართან მძვინვარებს ბოსნიის კონფლიქტი - ისლამსა და მართლმადიდებლობას შორის.

ეს რიგი შეიძლება გავაგრძელოთ: ყოფილ საბჭოთა კავშირში იზრდება დაპირისპირება რუსებსა და ესტონელებს, ოსებსა და ინგუშებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს, სლავებსა და ტაჯიკებს შორის.

ისტორიულად მიმდინარე ბრძოლა ინდოსტანის ნახევარკუნძულზე ინდუისტებსა და მაჰმადიანებს შორის არა თუ არ ცხრება, არამედ ძლიერდება კიდევ.

სახელმწიფო ან ხალხები, რომლებიც ჩათრეულნი არიან ბრძოლაში სხვა ცივილიზაციის სახელმწიფოებთან, რა თქმა უნდა, შეეცდებიან საკუთარ ცივილიზაციებში იპოვონ მოკავშირენი. სახელმწიფოთა დაჯგუფების დაპირისპირება ცივილიზაციათა ომის ხასიათს შეიძენს და შემდეგი მსოფლიო ომი სწორედ „სამყაროთა ომი“ იქნება.

დასავლური ცივილიზაცია თანამედროვეა, მოდერნიზებულია, სხვები ცდილობენ გათანამედროვდნენ ისე, რომ დასავლურნი არ გახდნენ. ანუ, განახორციელონ მოდერნიზაცია-ვესტერნიზაციის გარეშე. ჯერჯერობით ეს მხოლოდ იაპონიამ შეძლო. სხვა ცივილიზაციებიც იაპონიის გზას დაადგებიან და ბოლოს და ბოლოს მიაღწევენ საწადელს. ამის შემდეგ მსოფლიო ერთნაირად ძლიერი და განვითარებული ცივილიზაციების ბრძოლისა და ურთიერთმოქმედების ასპარეზად იქცევა.

ამ საინტერესო კონცეფციის ანალიზი გვაიძულებს კიდევ ერთხელ გავიაზროთ ჩვენი პატარა, მაგრამ თვითმყოფადი სამშობლოს ადგილი თანამედროვე მსოფლიოში, რომლის

ისტორია, რა თქმა უნდა, არ დასრულებულა უკანასკნელი იმპერიის დაშლით.

„ივერია-ექსპრესი“, 12 აგვისტო, 1993 წელი

2014-03-18 11:27:45

http://www.for.ge/view.php?for_id=31457&cat=14

რა გვიწინასწარმეტყველა სემუელ ჰანტინგტონმა?



2008 წლის ბოლოს, 81 წლის ასაკში, გარდაიცვალა გახმაურებული წიგნის, “ცივილიზაციათა შეჯახების”, ავტორი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, სემუელ ჰანტინგტონი. მისი წიგნი, სრულად, 2005 წელს წავიკითხე ამერიკის კათოლიკურ უნივერსიტეტში მუშაობისას და რაკი ცოტა უკმაყოფილო დავრჩი იმით, რომ წიგნში საქართველოსთვის რუსეთის გავლენის ქვეშ დარჩენაა ნაწინასწარმეტყველები, წერილი მიეწერე. პასუხი არ მიმიღია და ვიფიქრე ღირსად არ ჩამთვალა მეთქი; დღეს უკვე ვიცი, რომ იმ დროს უკვე მძიმედ იყო ავად და ძალზე ცოტას კითხულობდა და წერდა.

მისი ბოლო წიგნის სათაურია “ვინ ვართ ჩვენ? ამერიკული თვითმყოფადობის გზები”. წიგნი ოთხი წლის წინ გამოქვეყნდა და კვლავ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამიტომაც განმარტავდა დიდი მეცნიერი, ამ წიგნში საკუთარი თვითმყოფადობის დადგენას ვცდილობ და, როგორც პატრიოტს, მეტად მადარდებს ჩემი ქვეყნის, როგორც თავისუფლებაზე დაფუძნებული საზოგადოების, ერთიანობა და ძლიერება, თანასწორობა, სამართლიანობა და პიროვნების უფლებებიო. ჰანტინგტონს არასოდეს ეშინოდა თავდასხმებისა, პირიქით, თვითონ ეძებდა შეტაკების საბაზს და ამის დასტურია მისი ბოლო წიგნი.

“ამერიკულ კრედოს”, ამერიკის ელიტარულ წრეებში, ლპობა შეეპარაო, ამბობს იგი. იშლება ისეთი ძირეული ელემენტები, როგორცაა, ინგლისური ენა, ქრისტიანობა, რწმენა, ბრიტანულზე დაფუძნებული სამართალი, მმართველთა პასუხისმგებლობა და პიროვნების უფლებები. მისი აზრით, ინგრევა ის, რაც მომდინარეობს

მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნის ამერიკის დამფუძნებელი ანგლო-პროტესტანტებისაგან.

კრიტიკოსებმა არ დააყოვნეს და ნაციონალიზმში დასდეს ბრალი, მაგრამ ის კი გამორჩათ, რომ ჰანტინგტონი ნაკლებად ეხება ანგლო-პროტესტანტებს, როგორც ხალხს და საუბრობს ანგლო-პროტესტანტული კულტურის მნიშვნელობაზე. ამ დიადი რესპუბლიკის წარმატება, ამბობს ჰანტინგტონი, ემყარება ძველ ღირებულებებს დამფუძნებელი ხალხისა და დამფუძნებელი მამებისა, რასაც საფრთხეს უქმნის გობალიზაცია და მულტიკულტურიზმი, ემიგრანტთა ახალი ტალღები, რომელთაც საერთოდ არ ესმით, თუ რას ნიშნავს ამერიკის ეროვნული თვითმყოფადობა. “ვარსკვლავები და ზოლები დაბლა დაეშვა და სხვა დროშები ფრიალებენ ამერიკული დროშის ტარზე”, წერს იგი.

ჰანტინგტონი წუხს კოსმოპოლიტიზმის მოძალემაზე ამერიკაში, რასაც სამი მიმართულება აქვს: გარედან მოსული, იმპერიული და შიდა ანუ ნაციონალური. პირველით, მსოფლიო ამერიკას უპირებს გარდაქმნას, გლობალიზაცია და მულტიკულტურიზმი საფრთხეს უქმნის ეროვნულ იდენტობას. მეორის საშუალებით ამერიკა, როგორც მძლეთამძლე სუპერსახელმწიფო გარდაქმნის მსოფლიოს, თავს ახვევს საკუთარ ღირებულებებს, დემოკრატიულ ნორმებსა და მისწრაფებებს. მესამე გზაზე, ამერიკა რჩება ამერიკად: დაძლევს მლიქვნელობასა და სიყალბეს კოსმოპოლიტიზმისა, ლაგამს ამოდებს იმპერიულ მისწრაფებებს. ჰანტინგტონი არ მალავდა თავის ნატვრას, ეხილა ამერიკული ნაციონალიზმი, შეენარჩუნებინათ და გაეძლიერებინათ ის თვისებები, რამაც განსაზღვრა ამერიკის სახე, დაფუძნების დღიდან. რეალიზმის მისეული მძაფრი გრძნობა ვერ ეგუებოდა კლინტონის ეპოქის გლობალისტურ ტენდენციებს. “დავოსელთა” კულტურა, გლობალურ ელიტას რომ შეარქვეს სახელად, დაშორდა ეროვნული ნიადაგის მშობლიურ განცდას.

იგი სკეპტიკურად უყურებდა ამერიკის “ექსპედიციას” ერაყში, განსხვავებით იმ ამერიკელი “კონსერვატორებისაგან”, ვინც ირწმუნეს ამერიკის იმპერიული “მისია”. მან განჭვრიტა უცხო ქვეყნების “დემოკრატიზაციის” კრახი. მისი აზრით ამერიკელი ხალხი მხარს არ დაუჭერდა ამ პროექტს და ეს მიაჩნდა “დემოკრატიის პარადოქსად”. დემოკრატიული ექსპერიმენტები აღვივებენ პოპულისტურ ნაციონალისტურ მოძრაობებს, ვთქვათ, ლათინურ ამერიკაში, ან ფუნდამენტალისტურ მოძრაობებს, ვთქვათ, მუსლიმანურ ქვეყნებში. მსოფლიო გემოს უსინჯავს უცხო ძალაუფლებას და უკუაგდებს მას,

ფიქრობდა ჰანტინგტონი; მას არც მონანიებისა სჯეროდა არც ფუჰი იმედებით იმშვიდებდა თავს.

1990 წელს, როცა დავოსში შეკრებილი ჯგუფი უსაზღვრებო მსოფლიოსა და შეუზღუდავ ძალაუფლებას ზეიმობდა, როცა ფრენსის ფუკუიმა ისტორიის დასასრულს წინასწარმეტყველებდა, ჰანტინგტონმა აკადემიური წრე გამოარღვია და დაგმო გლობალური განახლება, თავისი “ცივილიზაციების შეჯახებით”, რაც ჯერ წერილის სახით გამოაქვეყნა 1993 წელს და შემდეგ წიგნში განჭვრიტა ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს ბედი, იდეოლოგიების ბრძოლის გადაზრდა, მიწებისა და სისხლის შეჯახებაში, რასაც ცივილიზაციათა შეჯახება უწოდა. მისი აზრით დასავლეთს მოუწევდა შეჯახება რვა ცივილიზაციასთან: ლათინური ამერიკისა, აფრიკისა, ისლამისა, ჩინეთისა, ჰინდუსი, მართლმადიდებლურისა, ბუდისტურისა და იაპონურისა.

ცივილიზაციათა ამ ბრძოლაში დასავლეთის მთავარი მეტოქე ისლამი იქნება. ისლამსა და ქრისტიანობას _ მართლმადიდებლური იქნება თუ დასავლური _ შორის ურთიერთობა უფრო ხშირად მძვინვარე და შეურიგებელი იყო. ისინი ყოველთვის უცხონი იყვნენ ერთმანეთისათვის. მეოცე საუკუნის კონფლიქტი ლიბერალურ დემოკრატიასა და მარქსიზმ-ლენინიზმს შორის, წარმავალ და ზედაპირულ ისტორიულ ფენომენად მოჩანს, ისლამსა და ქრისტიანობას შორის წარმართულ გრძელსა და ღრმა კონფლიქტთან შედარებით, წერდა სემუელ ჰანტინგტონი.

იგი არ ეპუებოდა ეპოქის სულს. მსოფლიომ აღიარა მისი სიდიდე. მისი წიგნი ორმოცამდე ენაზე ითარგმნა. მისი კრიტიკოსები მაინც დაიჟინებდნენ, ხალხს მაღალი ტექნოლოგიები ურჩევნიათ მშობელ მიწასო; მაგრამ თერთმეტი სექტემბრის მომწყობმა მუსლიმებმა გაფანტეს ეპოქის ილუზიები და ჰანტინგტონის წინასწარმეტყველების სისწორე ცხადი გახდა.

<https://luarsabi.wordpress.com/2011/01/13/%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90-%E1%83%A1/>

ცივილიზაციათა შეჯახება

კონცეფცია, რომელიც ეკუთვნის ცნობილ ამერიკელ მეცნიერს სამუელ ჰანტინგტონს და გამოხატულია 1993 წელს ჟურნალ „ფორინ აფერზ-ში“ გამოქვეყნებულ და ფართოდ გახმაურებულ სტატიაში „ცივილიზაციათა შეჯახება“. ჰანტინგტონის აზრით, ცივი ომის დამთავრების შემდეგ შეიქმნა პირობები ახალი და უკიდურესად საშიში კონფლიქტების წარმოშობისათვის, რაც დაკავშირებულია კულტურულ-რელიგიურ და ეთნიკურ განსხვავებებთან. თუ აქამდე ომები დინასტიებს, იმპერიებსა და იდეოლოგიებს შორის წინააღმდეგობების შედეგი იყო, მომავალში კონფლიქტების მთავარი მიზეზი ცივილიზაციათა შორის დაპირისპირება იქნება. ჰანტინგტონი გამოყოფს რვა ძირითად ცივილიზაციას: დასავლურს, სლავურ-მართლმადიდებლურს, ისლამურს, კონფუციურს, იაპონურს, ინდუისტურს, ლათინო-ამერიკულს და (შესაძლო) აფრიკულს. სწორედ ამ ცივილიზაციათა შორის კულტურულ სხვაობას მიიჩნევს ჰანტინგტონი მომავალი მსოფლიო კონფლიქტების მიზეზად. ჰანტინგტონი თვლის, რომ ძირითადი დაპირისპირება დასავლურ და ისლამურ ცივილიზაციებს შორის მოხდება. დასავლურ ცივილიზაციას აქვს უნივერსალობის პრეტენზია და იბრძვის დასავლური ფასეულობების მთელ მსოფლიოში დამკვიდრებისათვის. ამას ყველაზე მეტად ისლამური ცივილიზაცია ეწინააღმდეგება, მიიჩნევს რა დასავლურ ღირებულებებს სრულიად მიუღებლად ისლამური ზნეობისათვის. ამ წინააღმდეგობამ აგრესიული, შეურთიგებელი სახე მიიღო, რაც ისლამურ ფუნდამენტალიზმში გამოიხატა. დასავლეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ისლამის მთავარ მოკავშირედ ჰანტინგტონს კონფუციური ცივილიზაცია მიაჩნია, მაგრამ არ გამოირცხავს ისლამურ-კონფუციურ ბლოკში სხვა ცივილიზაციების გაერთიანებასაც, რაც საბოლოოდ იღებს სახეს – „ყველანი დასავლეთის წინააღმდეგ“. თუმცა ჰანტინგტონის კონცეფცია მკვლევართა დიდი უმრავლესობის მიერ არ არის გაზიარებული, იგი მაინც რჩება ერთ-ერთ გავრცელებულ ჰიპოტეზად. ხოლო 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ მისი პოპულარობა საგრძნობლად გაიზარდა.

Source: სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. ; გამომც.: ლაშა ბერაია] - თბ. : ლოგოს პრესი, 2004 - 351გვ. ; 20სმ. - (სოციალურ მეცნ. სერია/რედ.: მარინე ჩიტაშვილი). - ISBN 99928-926-9-2 : [ფ.ა.]

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=7477>

ჰანთინგტონი სამუელ ფილიპსი

დაიბადა 1927 წელს. 1950 წლიდან ასწავლის ჰარვარდის უნივერსიტეტში. 1977-1978 წლებში მუშაობდა კარტერის ადმინისტრაციაში ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოში. ჰანთინგტონი ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული ჯონ ოლონის სტრატეგიულ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორია. 1993 წელს მეცნიერმა ამერიკულ ჟურნალში - „ფორინ ეფერსში“ გამოაქვეყნა სტატია „ცივილიზაციათა შეხლა“, რომლითაც დასავლეთს ინტელექტუალური სიმშვიდე დაურღვია. ეს სტატია დღეს უკვე პოლიტოლოგიის კლასიკადაა მიჩნეული.

Source: საზოგადოება და პოლიტიკა: [ალმანახი] / მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკას. ინ-ტი - თბ.: CIPDD [კრ.] 2 / [რედ.: ზეინაზ სარაძე] -, 1999

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10803>

დემოკრატიის გამოწვევები საქართველოში

პარასკევი, 25 ოქტომბერი 2013

By: Ia Vardishvili

ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი სამუელ ჰანთინგტონი წიგნში „მესამე ტალღა: დემოკრატიზაცია მეოცე საუკუნის ბოლოს“ (1991 წელი) მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიაში დაფიქსირებულ დემოკრატიზაციის სამ ტალღას აღწერს. პირველი ტალღის შედეგად წარმოიქმნა კლასიკური დემოკრატიის მქონე ქვეყნები, როგორცაა: გაერთიანებული სამეფო, ჩრდილოეთ ამერიკა. ამავე ტალღას მიეკუთვნებიან ხანგრძლივი დემოკრატიზაციის პროცესები საფრანგეთსა და სხვა ევროპულ სახელმწიფოებში, რომლებიც მე-19 საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. დემოკრატიზაციის მეორე ტალღა მოიცავს მეორე

მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს, როდესაც ახლად წარმოქმნილი დემოკრატიული სახელმწიფოები (გერმანია, იტალია, ესპანეთი და ა.შ) შეუერთდნენ უკვე არსებულ დემოკრატიულ სახელმწიფოთა რიგებს. საბოლოოდ, დემოკრატიის მესამე ტალღა (რომელიც უკვე ჩამოყალიბებული ტერმინია პოლიტიკურ მეცნიერებებში) მოიცავს იმ ქვეყნებს, რომელთა დემოკრატიზაციის პროცესი მე-20 საუკუნის ბოლოს დაიწყო. დემოკრატიზაციის მესამე ტალღას მიეკუთვნება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, მათ შორის საქართველო.

თუ ჩვენ გადავხედავთ მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიას და პოლიტიკური სისტემების ევოლუციას, ნათელი გახდება, რომ გზა დემოკრატიისკენ არ არის სწორხაზოვანი და უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში არც წარმატებით სრულდება. ჰანტიგტონი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ პირველი და მეორე ტალღის შემდეგ წარმატებით ჩამოყალიბებული დემოკრატიული სახელმწიფოების რიცხვს მნიშვნელოვანად ადმატება იმ ქვეყნების რაოდენობა, რომელთაც დემოკრატიის ჩამოყალიბების გზაზე კრაზი განიცადეს და ავტორიტარულ ან სხვა ტიპის პოლიტიკურ მმართველობას დაუბრუნდნენ. უფრო კონკრეტულად, პირველი ტალღა მოიცავდა 17 გარდამავალ ქვეყანას 1828-1926 წლებში, რომელთაგანაც მხოლოდ 4-მა მოახერხა დემოკრატიული მმართველობის შენარჩუნება 1930 წლის ბოლომდე. მეორე ტალღის დროს 32 ქვეყნიდან, რომელთაც გააჩნდათ დემოკრატიული ინსტიტუტები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, მხოლოდ 1/3 მოახერხა მათი შენარჩუნება 1970 წლისთვის.

დგას თუ არა დემოკრატიის უკუქცევის საფრთხის წინაშე მესამე ტალღა? რა საფრთხეებსა და გამოწვევებს უნდა ელოდოს დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში?

რთული გზა დემოკრატიზაციისაკენ

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ახლად წარმოქმნილ დამოუკიდებელი ქვეყნების უმეტესობამ დაიწყო გადასვლა, უმეტეს შემთხვევაში, ლიბერალური დემოკრატიული მმართველობის პოლიტიკურ რეჟიმზე. 22 წლიანი გარდამავალი პერიოდის შეფასება აჩვენებს, რომ დემოკრატიზაციის მესამე ტალღის შედეგები უფრო მეტად გაურკვეველია ვიდრე მისი წინა ანალოგები. ამერიკული საერთაშორისო ორგანიზაციის „Freedom House“-ის 2012 წლის ანგარიშის მიხედვით, 15 ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნიდან მხოლოდ ე.წ. ბალტიისპირეთის ქვეყნებმა მოახერხეს მოქმედი დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბება მაშინ, როცა 2012 წლის მონაცემების მიხედვით

15-დან 8 ქვეყანის პოლიტიკური სისტემა განიხილება როგორც კონსოლიდირებული ავტორიტარული რეჟიმი და დანარჩენი ოთხი ქვეყანა მერყეობს ავტორიტარულ და დემოკრატიულ მმართველობის სისტემებს შორის. „Freedom House“-ზე დაყრდნობით საქართველო მიეკუთვნება უკანასკნელ ქვეყანათა ჯგუფს.

ერთი შეხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმატება უპირველეს ყოვლისა განპირობებული იყო მათი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით. ლიტვა, ლატვია და ესტონეთის მეზობელი ქვეყნები წარმოადგენენ კარგად ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებს, რაც ხელს შეუწყობდა დასავლური სამოქალაქო საზოგადოებისა და დასავლური პოლიტიკური კულტურის ადვილად გავრცელებას ამ ქვეყნებში. მაგრამ საინტერესოა ხელსაყრელი ადგილმდებარეობა იყო თუ არა ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმატების ერთადერთი მიზეზი.

დაკვარტ როსტოუ (Dankwart Rustow) იყო პირველი პოლიტოლოგი, რომელმაც ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესი 4 ეტაპის სახით წარმოადგინა. როსტოუს მხედვით, ქვეყნის დემოკრატიზაციის ხანგრძლივობა და წარმატება დამოკიდებულია ამ ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაზე. მისი აზრით: „დემოკრატია ეს არის ცდებისა და შეცდომების ერთობლივი გაანალიზების შედეგად მიღებული გამოცდილება. (“democracy in particular involves a process of trial and error, a joint learning experience”). ამ კრიტერიუმის მიხედვით ბალტიის-პირეთის ქვეყნებს 1991 წლისთვის უკვე ჰქონდათ უწყვეტი დემოკრატიული სისტემის არსებობის 22-წლიანი გამოცდილება (1918-1940 წლები). მაშინ, როდესაც საქართველოში დემოკრატია მე-20 საუკუნის დასაწყისში მხოლოდ 3 წელი გასტანა.

როსტოუს აზრით, წარმატებული დემოკრატიზაციის პროცესი არ გულისხმობს მხოლოდ დემოკრატიული ინსტიტუტების დაარსებას, როგორცაა პარლამენტი, თავისუფალი სასამართლო, რომლებიც დემოკრატიის ფუნდამენტალური პრინციპებით ძალათა გაყოფის კანონს ემორჩილებიან. როდესაც ჯერი დემოკრატიის ფუნქციონირებაზე მიდგება ის საზოგადოების წევრების ღირებულებების და დამოკიდებულებების ცვლილებას მოითხოვს, რომელიც ყველაზე ძნელად მისაღწევ ნაწილს წარმოადგენს, ვინაიდან ის ინსტიტუციონალური ცვლილებებისგან განსხვავებით მხოლოდ პოლიტიკური ელიტის ნებაზე არ არის დამოკიდებული. .

საქართველოში არსებული პოლიტიკური სიტუაციის ანალიზი

როსტოუ მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტატიაში „გადასვლა დემოკრატიაზე: დინამიკური მოდელი, (Comparative Politics 2, pp. 337-362) წერს, რომ საზოგადოება დემოკრატიზაციის პროცესში 4 ეტაპს გადის. საწყის ეტაპზე აუცილებელია საზოგადოებაში არსებობდეს „ერთიანი ნაციონალობის“ განცდა. მეორე ეტაპზე იწყება ხანგრძლივი და შეუფასებელი პოლიტიკური ბრძოლები, ეს ფაზა ყველაზე მეტად შეიცავს საფრთხეს გარდამავალ პერიოდში. ამ დროს შესაძლებელია ყველაზე ძლიერმა პოლიტიკურმა ჯგუფმა ხელში ჩაიგდოს ქვეყნის სადავეები და ავტორიტარული მმართველობის რეჟიმზე გადაიყვანოს ქვეყანა. ამ ეტაპზე ადვილად შესაძლებელია ქვეყანა სამოქალაქო ომში აღმოჩნდეს. მესამე ეტაპი არის უკვე ე.წ. გადაწყვეტილების ფაზა, რომლის დროსაც ხდება სხვადასხვა მოწინააღმდეგე ჯგუფებს შორის კონსენსუსის მიღწევა და ზოგადი დემოკრატის ფუნდამენტალური წესების ფორმირება. უკანასკნელ ფაზაში, რომელიც შეთვისების (habituation) ფაზად იწოდება, დემოკრატია უკვე ცხოვრების წესი ხდება.

ხანგრძლივი პოლიტიკური არასტაბილურობა, მუდმივი კონფლიქტი სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებს შორის და საზოგადოებაში არსებული დამაბულობა საქართველოში შეიძლება მიანიშნებდეს იმ ფაქტზე, რომ როსტოუს მოდელის მიხედვით, დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში მეორე და მესამე ეტაპს შორის იმყოფება. საფრთხე იმისა, რომ დემოკრატიზაცია წარმატებით არ დასრულდება საფუძველს მოკლებული არ ჩანს. თუ გადავხედათ მსოფლიოს უახლეს ისტორიას, ჯერ კიდევ არ არის ნათელი „არაბული გაზაფხულის“ (“Arab Spring”) შედეგად მოხდება თუ არა დემოკრატიული სახელმწიფოების ჩამოყალიბება ეგვიპტეში, ლიბიასა და სხვა არაბულ სახელმწიფოებში. იმ შემთხვევაშიც კი თუ ქვეყანა მესამე საფეხურთან ახლოს იმყოფება, კვლავ რისკის ქვეშ დგას გარდამავალი პროცესის წარმატებით დასრულება, რის ნათელ მაგალითსაც უკრაინაში განხორციელებული „ნარინჯისფერი რევოლუციის“ კრაზი წარმოადგენს.

დემოკრატიული ჩვევების არ ქონამ, დემოკრატების ნაკლებობამ გაართულა დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში, რაც ჩვენი უახლოესი წარსულის შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ. საბჭოთა კავშირში ცხოვრებამ შეცვალა ადამიანების დამოკიდებულება და ხედვა: მათი წარმატება, მათი მდგომარეობა საზოგადოებაში მთლიანად სახელმწიფოს მიერ რეგულირდებოდა. შედეგად მივიღეთ ის, რომ საზოგადოების თვისებები რომლებიც მორგებული იყო საბჭოთა

სისტემაზე შეუსაბამო და გამოუსადეგარი აღმოჩნდა დემოკრატიული სისტემისთვის.

და ბოლოს, ქართველი საზოგადოებისთვის ახალი, დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირება დამოკიდებულია საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობაზე, ურთიერთნდობაზე, მათ მისწრაფებებსა და ფასეულობებზე. დღესდღეობით, ქვეყნის განვითარების პრობლემებზე მსჯელობისას აქცენტი ძირითადად გადატანილია ცვლილებებსა და გარდაქმნებზე, მაგრამ ნაკლები ყურადღება ეთმობა იმას, თუ რამდენად არის ამისთვის საზოგადოება მომზადებული. მაშინ როცა ამ პროცესის წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად ადვილად მოხდება ამ ცვლილების აღიარება და გათავისება საზოგადოების სოციალური ურთიერთობის რთული ქსელის მიერ.

შემდგომში თუ არა საქართველო მოქმედი დემოკრატიის ჩამოყალიბებას, ეს მთლიანად საზოგადოებაზეა დამოკიდებული.

<http://www.iset.ge/blog/?p=2293>

სემიუელ ჰანტინგტონი და „მესამე მსოფლიო ომი“

„ივერია-ექსპრესი“, 12 აგვისტო, 1993 წელი

2014-03-18 11:27:45

დასავლეთში დიდი გამოხმაურება გამოიწვია ჰარვარდის უნივერსიტეტის ჰოლნის სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის თანამშრომლის, სემიუელ ჰანტინგტონის სტატიაში, რომელიც ჟურნალ „ფორინ აფერსში“ გამოქვეყნდა. ცოტა ხნის წინ კი არანაკლები რეზონანსი მოჰყვა იაპონელი პოლიტოლოგის - ფუკუიამას სენსაციურ სტატიას „ისტორიის დასასრული“, რომელშიც იგი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კაცობრიობის ისტორია თავის განვითარების დამასრულებელ ფაზაში შევიდა და არც ისე შორს არის ხანა, როდესაც მსოფლიოში ყოველგვარი ანტაგონიზმი მოისპობა.

ჰანტინგტონის კონცეფციით კი პირიქით - მსოფლიოს ისტორია კონფლიქტების ახალ ერაში შედის. ოღონდ ამ კონფლიქტებს უკვე აღარ წარმოშობს იდეოლოგია ან ეკონომიკა - ყველა დიდი შეჯახება კულტურათა შეჯახება იქნება.

მეცნიერის აზრით, „ცივი ომის“ დროს მსოფლიო სამ „სამყაროდ“ იქნა გაყოფილი. ეს დაყოფა მოძველდა. დღეს ქვეყნები უნდა დაიყოს არა მათი ეკონომიკური ან თუნდაც იდეოლოგიური სისტემების მიხედვით, არამედ იმის შესაბამისად, თუ რომელ კულტურას განეკუთვნებიან ისინი, ანუ რომელ ცივილიზაციას წარმოადგენენ.

დასავლურ ცივილიზაციას ორი ძირითადი ვარიაცია აქვს - ევროპული და ჩრდილოამერიკული. ისლამს კი სამი. - არაბული, თურქული და მალაური. მართალია ცივილიზაციათა შორის საზღვრები მკვეთრად განსაზღვრული არ არის, მაგრამ ეს ცივილიზაციები რეალურად არსებობენ. ისინი იყოფიან, ერთმანეთს ერწყმიან, ვითარდებიან და ქრებიან.

დასავლეთში ითვლება, რომ ისტორიის ძირითადი სუბიექტი ეროვნული სახელმწიფოა. ეს არასწორი შეხედულებაა - ნაციონალური სახელმწიფო ისტორიის უმთავრესი სუბიექტი იყო მხოლოდ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ისტორიის უდიდესი ნაწილი კი მოიცავს ცივილიზაციათა ურთიერთმოქმედების ისტორიას. დღეს მსოფლიო კვლავ უბრუნდება ამ სქემას.

ცივილიზაციათა თვითმყოფადობა იძენს სულ უფრო გამოკვეთილ ხასიათს, ხოლო მსოფლიოს მომავალი სახე შეიქმნება შვიდი-რვა მთავარი ცივილიზაციის ურთიერთობის შედეგად.

ეს ცივილიზაციებია: დასავლური, კონფუციონისტური (ჩინეთი, კორეა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნები), იაპონური, ისლამური, ინდუისტური, სლავურ-მართლმადიდებლური, ლათინო-ამერიკული და შესაძლოა, აფრიკული.

ყველაზე სისხლიანი კონფლიქტები ამ ცივილიზაციათა „საზღვარზე“ წარმოიშობა. რატომ? უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ძალზე ღრმაა სხვაობა ცივილიზაციათა შორის - ეს არის სხვადასხვაობა ენაში, ისტორიაში, კულტურაში, ტრადიციებში ანუ, მთლიანობაში, ღირებულებებში.

სხვადასხვა ცივილიზაციაში ადამიანს განსაკუთრებული შეხედულება აქვს ადამიანის და ღმერთის, მოქალაქისა და სახელმწიფოს, მშობლებისა და შვილების, თავისუფლებისა და ძალაუფლების, თანასწორუფლებიანობისა და იერარქიის შესახებ. ყველა ეს სხვაობა და თავისებურება უქვეყლად წარმოშობს დამაბულობას და გამოიწვევს ომებს.

მეორე მიზეზი ის არის, რომ მსოფლიო უფრო მჭიდროდ დასახლებული ხდება, ცივილიზაციათა შორის ურთიერთმოქმედება ღრმავდება. ეს ურთიერთქმედება კი არ შლის, არამედ აძლიერებს

საკუთარი თვითმყოფადობის შეგრძნებას. მარტივი მაგალითი: ამერიკელები გაცილებით უფრო მწვავედ რეაგირებენ იაპონურ ინვესტიციებზე, ვიდრე კიდევ უფრო დიდ ინვესტიციებზე კანადელთა ან ევროპელთა მხრიდან - ამერიკის ეკონომიკაში.

მესამე: ეკონომიკური და სოციალური ძვრები აშორებენ ადამიანს ადგილობრივი ტრადიციებისაგან. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ეს შრე რელიგიამ შეავსო. თანაც, მისმა იმ ფორმამ, რომელსაც „ფუნდამენტალისტურს“ უწოდებენ. ასეთი მიმდინარეობანი არსებობენ დასავლურ ქრისტიანობაში, იუდაიზმში, ბუდიზმსა და ისლამში. მსოფლიოს დესეკულარიზაცია დომინირებადი ფაქტორი ხდება.

მეოთხე: მაშინ, როდესაც დასავლური ცივილიზაცია თავისი განვითარების ზენიტში იმყოფება, სხვა ცივილიზაციები საკუთარ ფესვებს უბრუნდებიან.

დღეს იაპონიაში, მიუხედავად მისი ტექნიკური პროგრესისა, აშკარად იზრდება „აზიური ელემენტი“, ინდოეთში - ივიწყებენ ჯავაპარლალ ნერუს და ინდუიზმს უბრუნდებიან, ირანში - ისლამს, ხოლო რუსეთში - სულ უფრო დიდ გაქანებას პოულობს სლავიანოფილური მოძრაობა.

დასავლური ცივილიზაციის აგრესიული მცდელობა, დაამკვიდროს მთელ მსოფლიოში თავისი ფასეულობანი (დემოკრატია, ლიბერალიზმი) სხვა ცივილიზაციათა საპასუხო რეაქციას იწვევს, ამიტომ უახლოეს ხანში უნდა ველოდოდთ დასავლეთსა და დანარჩენ სამყაროს შორის მამტაბურ დაპირისპირებას თუ კონფლიქტს. ამის პირველი ნიშანია კონფუციონიზმსა და ისლამს შორის ურთიერთობათა გაცხოველება - „საერთო მტრის“ წინააღმდეგ.

მეხუთე: კულტურული თავისებურებანი უფრო მყარია, ვიდრე ეკონომიკური ან სოციალური. ყოფილ საბჭოთა კავშირში კომუნისტები - დემოკრატებად იქცევიან, მდიდრები - ღარიბებად და ღარიბები - მდიდრებად, მაგრამ შეუძლებელია ქართველები იქცნენ - ესტონელებად ან კათოლიკენი - მართლმადიდებლებად.

და ბოლოს, იზრდება ეკონომიკური რეგიონალიზმი. ეს კი გააძლიერებს საკუთარი თვითმყოფადობის შეგნებას. მეორე მხრივ, იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს წარმატებას, თუ დაფუძნებული იქნება ერთიან კულტურაზე. ევროპული ინტეგრაცია საერთო კულტურულ საფუძველს ემყარება. იაპონიას კი ძალზე უჭირს აღმოსავლეთ აზიაში ასეთივე კავშირის შექმნა, რადგან, გარეგნული მსგავსების მიუხედავად, მისი ცივილიზაცია თავისთავად უნიკალურია და ძნელად ეგუება უცხოს.

მას შემდეგ, რაც დაინგრა ბერლინის კედელი და აღარ არსებობს ევროპის გამყოფი „რკინის ფარდა“, კვლავ წარმოიშვა დაპირისპირება ევროპაში მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმს შორის. დასავლურ და ისლამურ ცივილიზაციებს შორის კი კონფლიქტი ათასზე მეტი წელია გრძელდება. ისტორიულად არსებობდა ანტაგონიზმი არაბულ სამყაროსა და მათ სამხრეთით მცხოვრებ წარმართულ ცივილიზაციას შორის, რომელიც აფრიკის დიდ ნაწილს მოიცავს. ისლამის ჩრდილოეთ საზღვართან მძვინვარებს ბოსნიის კონფლიქტი - ისლამსა და მართლმადიდებლობას შორის.

ეს რიგი შეიძლება გავავრძელოთ: ყოფილ საბჭოთა კავშირში იზრდება დაპირისპირება რუსებსა და ესტონელებს, ოსებსა და ინგუშებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს, სლავებსა და ტაჯიკებს შორის.

ისტორიულად მიმდინარე ბრძოლა ინდოსტანის ნახევარკუნძულზე ინდუსტებსა და მაჰმადიანებს შორის არა თუ არ ცხრება, არამედ ძლიერდება კიდევ.

სახელმწიფო ან ხალხები, რომლებიც ჩათრეულნი არიან ბრძოლაში სხვა ცივილიზაციის სახელმწიფოებთან, რა თქმა უნდა, შეეცდებიან საკუთარ ცივილიზაციებში იპოვონ მოკავშირენი. სახელმწიფოთა დაჯგუფების დაპირისპირება ცივილიზაციათა ომის ხასიათს შეიძენს და შემდეგი მსოფლიო ომი სწორედ „სამყართა ომი“ იქნება.

დასავლური ცივილიზაცია თანამედროვეა, მოდერნიზებულია, სხვები ცდილობენ გათანამედროვდნენ ისე, რომ დასავლურნი არ გახდნენ. ანუ, განახორციელონ მოდერნიზაცია-ვესტერნიზაციის გარეშე. ჯერჯერობით ეს მხოლოდ იაპონიამ შეძლო. სხვა ცივილიზაციებიც იაპონიის გზას დაადგებიან და ბოლოს და ბოლოს მიაღწევენ საწადელს. ამის შემდეგ მსოფლიო ერთნაირად ძლიერი და განვითარებული ცივილიზაციების ბრძოლისა და ურთიერთმოქმედების ასპარეზად იქცევა.

ამ საინტერესო კონცეფციის ანალიზი გვაძილებს კიდევ ერთხელ გავიაზროთ ჩვენი პატარა, მაგრამ თვითმყოფადი სამშობლოს ადგილი თანამედროვე მსოფლიოში, რომლის ისტორია, რა თქმა უნდა, არ დასრულებულა უკანასკნელი იმპერიის დაშლით.

[ქვე://ფრე/ვქწ.ჰჰჰ?ფრ=31457&ცა=14](#)

„ისლამური სახელმწიფოს“ ტერაქტები და ჰანტინგტონის თეზისი

გიორგი ცხადაია

ნოემბერი 16, 2015

1993 წელს ამერიკელმა პოლიტოლოგმა სემუელ ჰანტინგტონმა ავტორიტეტთან ჟურნალ ორენჯ უფორში გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „ცივილიზაციათა შეჯახება?“ ამ სტატიაში ჰანტინგტონი წერს, რომ მსოფლიოში იდეოლოგიურ და ეროვნულ კონფლიქტებს ცივილიზაციათა შორის კონფლიქტი ჩაანაცვლებს. წერილს მოჰყვა ცხარე დებატები დასავლეთისა და, ზოგადად, მთელი მსოფლიოს აკადემიურსა და ინტელექტუალურ წრეებში, საჯარო სივრცეში. მოგვიანებით, 1996 წელს, ჰანტინგტონმა იმავე სათაურით გამოუშვა წიგნი, რომელიც დარგის კლასიკად იქცა. ჰანტინგტონის თეზისი აქტუალობას არც დღეს კარგავს, განსაკუთრებით 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ. მასზე დაფიქრება კიდევ ერთხელ მოგვიწევს 13 და 14 ნოემბერს, ბეირუთსა და პარიზში ექსტრემისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ მოწყობილი ტერაქტების შემდეგ, რომლებსაც 150-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ჰანტინგტონის უზარმაზარი გავლენა იგრძნობა ანტიდასავლელ ფილოსოფოსებშიც კი, მაგალითად, ქართველებისთვის კარგად ცნობილი რუსი გეოპოლიტიკოსის, ალექსანდრ დუგინის ნაწერებშიც. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჰანტინგტონმა საფუძველი ჩაუყარა მნიშვნელოვან თეორიულ მოდელს, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ასახსნელად გამოიყენება. როგორც თავად ავტორი აღნიშნავდა, ის სულაც არ ცდილობს დაამტკიცოს, რომ იდეოლოგიური და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი მთლიანად გაქრება, არამედ მხოლოდ იმას ამბობს, რომ ცივილიზაციათა შორის კონფლიქტი მათ მეორეხარისხოვნად აქცევს.

პოლიტიკურ დონეზე ეს თეზისი არ გამართლდა: არ ჩამოყალიბდა მკვეთრი რეგიონალური ბლოკები, რომლებიც სხვადასხვა ცივილიზაციებს ერთმანეთისგან გამოაცალკევებდა და რომლებიც ერთმანეთს დაუნდობლად დაუპირისპირდებოდა. ჰანტინგტონისთვის ცივილიზაციების რიცხვი 1990-იან წლებში ცხრით შემოიფარგლებოდა. ესენია: დასავლური, ლათინურამერიკული, იაპონური, ჩინური, ბუდისტური, ისლამური, ინდუისტური, აფრიკული და ქრისტიანულ-მართლმადიდებლური. მათგან მხოლოდ ერთი იაპონური

ცივილიზაციაა მოქცეული ერ-სახელმწიფოში. დანარჩენი ცივილიზაციები სხვადასხვა ერ-სახელმწიფოებს მოიცავენ. მაგალითად, ისლამური ცივილიზაცია მოიცავს ახლო აღმოსავლეთის სუნიტურ და შიიტურ ქვეყნებს, ასევე, ევროპის, აზიისა და აფრიკის ისლამურ ქვეყნებსაც (ალბანეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, პაკისტანი, ინდონეზია, მალაიზია, ლიბია, მალი, ნიგერია და ა.შ.). ჰანტიგტონის თეზისის მიხედვით, დროთა განმავლობაში ცივილიზაციები საერთო პოლიტიკურ ბლოკებად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ და ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ.

რეალურ ცხოვრებაში მოვლენები იმაზე გაცილებით უფრო კომპლექსურად განვითარდა, ვიდრე ჰანტიგტონმა იწინასწარმეტყველა. ცივილიზაციათა შორის კონფლიქტმა ვერ გადაწონა ვერც კონფლიქტი ერ-სახელმწიფოებს შორის, და ვერც ეკონომიკური და იდეოლოგიური ხასიათის კონფლიქტები. ქვემოთ ამის დამადასტურებელ მაგალითებს მოვიყვან და შემდეგ ვისაუბრებ იმაზე, თუ ვის სურს დღეს ყველაზე მეტად ჰანტიგტონის თეზისის გამართლება და რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ თეზისი არ გამართლდეს.

დავიწყოთ იმით, რომ ჰანტიგტონის თეზისის სისწორეს ვერ შევამოწმებთ იაპონიის მაგალითზე. რაკი იაპონური ცივილიზაცია ერთ ერ-სახელმწიფოშია მოქცეული, ძნელია თქმა, თუ რომელია ჰანტიგტონისეული ცივილიზაციის ინტერესები და რომელია ცალკეული ერ-სახელმწიფოს ან იდეოლოგიის ინტერესები (მაგალითად, რომელია იაპონიის ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს ინტერესები და რომელია იაპონური ცივილიზაციის ინტერესები და რის მიხედვით მოქმედებენ იაპონელები). რაც შეეხება ქრისტიანულ-მართლმადიდებელ ცივილიზაციას, აქ ვითარება ჰანტიგტონის თეზისის შესაბამისად არ განვითარებულა. მართლმადიდებელმა უკრაინამ და მათლმადიდებელმა საქართველომ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მართლმადიდებელი რუსეთის მცდელობას, გაეზარდა თავისი გავლენა. ამას გარდა, კათოლიკურმა და პროტესტანტულმა დასავლეთმა თავის პოლიტიკურ ბლოკში გააერთიანა მართლმადიდებელი საბერძნეთი, რუმინეთი და ბულგარეთი. ამ შემთხვევაში, ევროპული იდენტობა განსაზღვრა არა საერთო ცივილიზაციის ნიშნებმა, - ჰანტიგტონის მიხედვით, კათოლიკურმა და პროტესტანტულმა ქრისტიანობამ და განმანათლებლობის ისტორიულმა გამოცდილებამ - არამედ ქვეყნების საერთო პოლიტიკურმა იდეოლოგიებმა: მათმა ერთგულებამ ლიბერალური დემოკრატიისა და სეკულარიზმისადმი.

ვითარება ანალოგიურად განვითარდა ჩინური ცივილიზაციის შემთხვევაშიც. ჰანტინგტონის მიხედვით, კორეული და ჩინური კულტურები მსგავსი კულტურებია, თუმცა ამჟამად სამხრეთი კორეა რადიკალურად საპირისპირო ბანაკში მოიაზრება და იდეოლოგიურად აშშ-ისა და იაპონიის მხარე უფრო უკავია, ვიდრე ჩინეთისა (მაშინ, როდესაც კომუნისტური ჩრდილოეთი კორეა იდეოლოგიურად ჩინეთთან არის დაახლოებული). ცივილიზაცია იდენტობის სუსტი განმსაზღვრელია ლათინურ ამერიკაშიც, სადაც გვხვდება იდენტობის განმსაზღვრელი დამატებითი ნიშნები: მაგალითად, სალაპარაკო ენა ბრაზილიის შემთხვევაში (პორტუგალიური), ან სოციალიზმი ვენესუელის, ეკვადორისა და ბოლივიის შემთხვევებში.

ჰანტინგტონის ცივილიზაციების თეზისი ყველაზე მეტად არ მართლდება ისლამურ სამყაროში. დღეს ისლამური სამყარო არ არის გაერთიანებული საერთო „ცივილიზაციური“ ნიშნით. ამ სამყაროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. „სექტარიანული“ დაყოფები. მათგან უმთავრესია დაყოფა სუნიტებად და შიიტებად. სუნიტები თავს ტრადიციული ისლამის მიმდევრებად მიიჩნევენ და სჯერათ, რომ მუჰამედის ნამდვილი მემკვიდრე მისი სიმამრი, აბუ ბაქრი იყო. ამის საპირისპიროდ შიიტები მიიჩნევენ, რომ მუჰამედის ბიძაშვილი და სიძე ალი იყო მისი პირველი ხალიფა. ალი აბუ-ბაქრის მომხრეებმა ლოცვის დროს მოკლეს. მისი შვილები და მუჰამედის შვილიშვილები ჰასანი და ჰუსეინი ასევე საპირისპირო ბანაკთან დაპირისპირებას ემსხვერპლნენ. ჰასანი ცოლმა მოწამლა, ხოლო ჰუსეინი მოკლეს ქარბალის ბრძოლაში, სადაც დღემდე ყოველწლიურად იკრიბებიან შიიტი მუსლიმები ე.წ. „აშურას დღეს“ (გახსენების დღეს) და იმამ ჰუსეინის გლოვობენ. შიიტების უმრავლესობას ასევე სწამს, რომ მეთორმეტე იმამი მუჰამედ ალ-მაჰდი არ გარდაცვლილა, არამედ გაუჩინარდა და ერთ დღესაც სამართლიანობის დასამყარებლად მოველინება მსოფლიოს.

შიიტებისა და სუნიტების კონფლიქტი დღეს ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი დაპირისპირებაა. აშშ-ისა და კოალიციური ჯარების მიერ ერაყის ოკუპაციის შემდეგ, 2006 წელს, ერაყში გაჩაღდა სამოქალაქო კონფლიქტი სუნიტებსა და შიიტებს შორის. ოკუპაციამდე ერაყის დიქტატორი სადამ ჰუსეინი ქვეყანას რელიგიური იდეოლოგიით არ მართავდა (თავის პარტიას ის სოციალისტურს უწოდებდა). ამის მიუხედავად, თავად ჰუსეინი სუნიტური ოჯახიდან იყო, მაშინ, როდესაც ერაყის მოსახლეობის უმრავლესობას შიიტები შეადგენენ. ჰუსეინის ჩამოგდების შემდეგ, უმცირესობაში მყოფმა და „უპატრონოდ“ დარჩენილმა სუნიტებმა პრივილეგიები დაკარგეს,

ქვეყნის დემოკრატიულად არჩეული პრემიერ-მინისტრი კი შიიტი გახდა. სუნიტებმა დაიწყეს ტერორისტული თავდასხმების განხორციელება შიიტებზე. ისინი აფეთქებდნენ მეჩეთებს, ბაზრებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებს. პასუხად, შიიტი მებრძოლები იტაცებდნენ და აწამებდნენ სუნიტებს, სიკვდილით სჯიდნენ მათ. ერაყელ სუნიტებს ეხმარებოდნენ ფინანსური შემომწირველები და მებრძოლები სხვა სუნიტური ქვეყნებიდან (მათ შორის, „ალ-ყაიდის“ ექსტრემისტული ორგანიზაცია), ხოლო ერაყელ შიიტებს მხარდაჭერს უცხადებდა და დღემდე უცხადებს ყველაზე დიდი შიიტური ქვეყანა – ირანი.

ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“, რომელიც რადიკალურ სუნიტურ ისლამს მისდევს, სწორედ ერაყში განვითარებული მოვლენებიდან იღებს სათავეს. ის განსაკუთრებით გაძლიერდა სირიის სამოქალაქო ომის მსვლელობაში. ამავე დროს, დღეს მის მოწინააღმდეგეთა რიგებში არიან როგორც შიიტური, ისე სუნიტური ისლამის მიმდევრებით დასახლებული ქვეყნები. მაგალითად, 2015 წლის დასაწყისში, „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა შეიპყრეს და ცოცხლად დაწვეს იორდანიელი პილოტი. ამის პასუხად სუნიტური ქვეყნის, იორდანიის მეფე თავად გაუძღვა იორდანიის სამხედრო-საჰაერო ფლოტს „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციების დასაბომბად. „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ შექმნილ კოალიციაში, ასევე, გაერთიანებული არიან ისეთი სუნიტური ქვეყნები, როგორებიცაა თურქეთი, საურის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, მაროკო და ბაჰრეინი (აქვეა ლიბანიც, თუმცა ამ ქვეყანაში შიიტებისა და სუნიტების რაოდენობა დაახლოებით თანაბარია).

ისლამურ სამყაროში მიმდინარე მოვლენები ჰანტინგტონის წინასწარმეტყველებას გამანადგურებელ დარტყმას აყენებს. სუნიტებმა და შიიტებმა არათუ ვერ მოახერხეს გაერთიანება, არამედ სუნიტებს შორისაც პირველ ადგილზე გამოვიდა პოლიტიკური განსხვავებები, რომლებმაც გადაფარა საერთო „ცივილიზაციური“ ნიშნები. დღეს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ სეკულარულ, დასავლურ, ქრისტიანული კულტურის მქონე ქვეყნებთან ერთად იბრძვიან ახლო აღმოსავლეთის სუნიტური და შიიტური ისლამის მიმდევრებით დასახლებული ქვეყნებიც. ეს ჰანტინგტონისეულ ცივილიზაციებს შორის დაპირისპირება კი არა, პოლიტიკურ იდეოლოგიებზე, ეკონომიკურ ინტერესებსა და სექტარიანულ განსხვავებებზე დამყარებული დაპირისპირებებია.

ამავე დროს, „ისლამური სახელმწიფო“ სწორედ იმ ჯგუფებს მიეკუთვნება, რომელთა მიზანი ცივილიზაციათა ომის გაჩაღებაა. მათ არ

ასვენებთ ის, რომ ვერ ახერხებენ ყველა მუსლიმის, უპირველესად კი სუნიტი მუსლიმების გადაბირებას. პარიზში ევროპელებისა და ლიბანში შიიტების წინააღმდეგ ტერაქტებს ისინი სწორედ იმ მიზნით აწყობენ, რომ მთელი მსოფლიო ცივილიზაციათა ომში ჩაითრიონ. უპირველესად, ეს არის გამოწვევა დასავლეთისთვის, რომელმაც ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ არ მოხდეს გაუცხოება დასავლური ფასეულობების მიმდევრებსა და, ზოგადად, მუსლიმებს შორის. ეს არის გამოწვევა საქართველოსთვისაც, რადგან მას ჰყავს შიიტი და სუნიტი მოქალაქეები, რომლებიც ქართულ საზოგადოებაში ბოლომდე ინტეგრირებულნი არ არიან.

გასაკვირი არაფერია იმაში, რომ პარიზში მოწყობილ ტერაქტს დასავლეთში გაცილებით მეტი ყურადღება დაეთმო, ვიდრე ლიბანში მოწყობილს. მსგავსი კულტურის ხალხები თანაგრძნობას ერთმანეთის მიმართ უფრო გამოხატავენ, ვიდრე სხვა კულტურის ხალხებისადმი. არც ფეისბუქზე სამფეროვანი დროშების პროფილის სურათებად დაყენება არის მაინცდამაინც იმის ნიშანი, რომ დასავლეთის მკვიდრებს და მათ გულშემატკივრებს გული არ შესტკივათ ლიბანზე. ერთის დატირება არამც და არამც არ ნიშნავს მეორისადმი გულგრილობას. ომში ჩაბმული ქვეყნები უფრო მეტად თავიანთ დახოცილებს გლოვობენ, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვების ბედი არ ანალვლებთ.

ამის მიუხედავად, რბილად თუ ვიტყვით, სრულიად არაადეკვატური მგონია იმის გამოცხადება, რომ ევროპელის სიცოცხლე უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ლიბანელისა. ეს აზრი, ძირითადად, ქართულ ფეისბუქზე გაკეთებულ სტატუსებსა და კომენტარებში ამოვიკითხე და უკიდურესად შეწუხებულები ვარ იმის გამო, რომ ზოგიერთი ჩვენი მოქალაქე ასე ფიქრობს. მეორე მხრივ, ვიცი, რომ ეს არის სამწუხარო გამოძახილი ჩვენი ორასწლიანი კოლონიური წარსულისა, რომელიც დღემდე სწორედ ასეთი პერვერსიული ფორმებით იჩენს თავს.

როგორც უნდა იყოს, ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ის მგონია, რომ ხელი არ შევუწყოთ რადიკალურ ჯგუფებს, აახდინონ ცივილიზაციათა დაპირისპირების პროგნოზი. ჰანტინგტონი წერდა, რომ ამ წინასწარმეტყველების ახდენა იქნება კატასტროფა, რომელიც ძირს გამოუთხრის მშვიდობას მსოფლიოში და ერთმანეთის წინააღმდეგ ომში ჩააბამს ადამიანთა ფართო მასებს. ამ წინასწარმეტყველების ახდენა დღეს ყველაზე მეტად სურს ტერორისტულ ორგანიზაციას „ისლამურ სახელმწიფოს“, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ცალკე დასავლელები და მათი მხარდამჭერები, და ცალკე მუსლიმები ერთ

ჰომოგენურ მასად აქციოს. თუ ეს მოახერხეს, მაშინ ველარაფერი დაუდგება წინ ახალ ჯვაროსნულ ომებსა და ცივილიზაციათა შეჯახებებს. ამის თავიდან აცილებას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუ კრიტიკულად გავიაზრებთ ჩვენივე დამოკიდებულებას განსხვავებული იდენტობის მქონე ადამიანთა მიმართ.

<https://www.rudolfhummer.com/ვინ-ა-გონიერ-საკადა-ბილ-პოსტ/27369109.3ტლ>